პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— საბჭოთა ელჩმა ტოკიოში ამხ. დოვგალევსკიმ რწმუნების სიგელი ჩააბარა იაპონიის იმპერატორს.
— ბელგიის კომპარტიის კონფერენცია.
— საფრანგეთის რევოლიუციონური პროფკავშირების მოძრაობა.
— კომუნისტების პროცესი იაპონიაში.
— ამერიკამ უარი უთხრა ფილიპინებს დამოუკიდებლობის მინიჭებაზე.
— იტალიის აფრიკის კოლონიებში მღელვარება დაიწყო.
— პროფ. ვავილოვის ექსპედიცია აბისინიაში.

პარასკევი, 8 აპრილი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 78 (1833)

„სოციალისტები“ იმპერიალისტების სამსახურში

ჩვენი მკითხველებისათვის „ახალ ამბავს“ არ წარმოადგენს ის, რასაც ლაპარაკობს ამ წერილის სათაური. სოციალისტები, თვით მათი ზომიერი ნაწილი, თვით ისინი, რომლებიც ცნობილი იყვნენ ეგრედწოდებული „ცენტრის“ სახელწოდებით მეორე ინტერნაციონალში მსოფლიო ომამდე—ვიმეორებთ, თვით ასეთი სოციალისტებიც კი შორეულ წარსულს ჩაბარდნენ. ჩვენ ამით, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ გვინდა, რომ რაიმე დიდი პრინციპიალური განსხვავება იყოს წინანდელ ზომიერ და დღევანდელ „სოციალისტებს“ შორის,—მაგრამ ფაქტია, რომ ის სპეციალური ტიპი, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს დღეს, გაიფურჩქნა და გაიშალა ომის დროს გამოცხადებულ და ამ ომის შემდეგ ხანაში წარმოებული „სამოქალაქო ზავის“ პოლიტიკის ნიადაგზე. როგორც ყველასათვის ცნობილია, ეს „სამოქალაქო ზავის“ პრაქტიკა ე. ი. პრაქტიკა მუშათა კლასის თანამშრომლობისა მის კლასიურ მტრებთან, ბურჟუაზიასთან და ბურჟუაზიულ სახელმწიფოსთან, უფრო, ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვინემ ამას პირდებოდნენ „სოციალისტები“ ხალხს, მის მოსატყუებლად. ჩვენ ვიცით, რომ არა ერთხელ განუცხადებიათ სოციალისტური პარტიების პასუხისმგებელ პოლიტიკოსებს იმპერიალისტური ომის დროს, რომ კლასთა შორის თანამშრომლობა, „სამოქალაქო ზავი“ ომის დროის მოვლენა არის, რომელიც დასრულდება ომთან ერთად, როდესაც „სამშობლო“ თავიდან აიცდენს საფრთხესო. ომი გათავდა. მალე ათი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც თითქოს „მშვიდობიანობის“ პირობებში ვიმყოფებით ევროპის კონტინენტზე მაინც. მიუხედავად ამისა „სამოქალაქო ზავის“ პოლიტიკა ისეთსავე ძალაში დარჩა და კიდევ უფრო გაძლიერდა, ვინემ ამ ომის დროს იყო. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ამ „ზავის“ შინაარსს წარმოადგენდა წინად შინაური ფრონტის გამაგრება იმ დროის მძვინვარე ომის ყოველდღიურათ საწარმოებლად, დღეს კი „სამოქალაქო ზავის“ მიზანია ისეთივე და კვლავ უარესი იმპერიალისტური ომის მომზადება „საერთო ძალით“ და მუშათა კლასის გაბმევა ამ ომის ალში.

ამ უკანასკნელ მიზანს ისახავს ის სამხედრო კანონი (წოდებული ბონკურის კანონად), რომელიც საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ მიიღო ამას წინად ყველა სოციალისტების თანხმობითა და აქტიური დახმარებით წინააღმდეგ კომუნისტური ფრაქციისა. კანონი გავიდა 500 ხმით 31-ის წინააღმდეგ. მით გათვალისწინებულია მთელი მოსახლეობის (განურჩევლად ჰასაკისა და სქესისა) მილიტარიზაცია, ქალის, მამა-კაცის, პატარასი და მოხუცის დაქვემდებარება სამხედრო უწყებისათვის. „აკვნიდან კუბომდეო“, ასე „მოხაზა“ ვიღაცამ ამ კანონის მოქმედების არე.

ფაქტიურად კანონის ავტორია საფრანგეთის სამხედრო გენერალური შტაბი, ხოლო მისი მოციქული და აქტიური დამცველი შეიქნა საფრანგეთის ბურჟუაზიის და მილიტარიზმის ნოქარი პოლ-ბონკური (ის განიარაღებაზე ლაყბობს ხოლმე ჟენევაში) სოციალისტური პარტიის ბიუროკრატიასთან ერთად, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში ასამდე დეპუტატით. თავისთავად ცხადია საფრანგეთის მილიტარისტული რეაქცია ვერ გაბედავდა და ვერც შესძლებდა მის გატარებას თვით პარლამენტის დღევანდელ შემადგენლობაში. არაჩვეულებრივი სიჩქარე და ნერვიულობა, რომელიც თან ახლდა მის გარჩევას და კენჭისყრას დეპუტატთა პალატაში, მოწმობს ამის შესახებ. მხოლოდ სოციალისტური პარტიის დახმარებითა და აქტიური ჩარევით შეიქნა შესაძლებელი ის, რაც ძნელი იქნებოდა ბურჟუაზიისათვის და ამ შემთხვევაშიც ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა ის როლი, რომლისთვისაც მოწოდებულია დღეს ბურჟუაზიის მიერ ოფიციალური სოციალიზმი, სოციალიზმი მეორე ინტერნაციონალის. და შთაბეჭდილება საფრანგეთის „სოციალისტების“ ამ მოღალატური საპარლამენტო აქტისაგან იმდენად ძლიერი შეიქნა, რომ თვალგაშტერებული დარჩენ ფრანგ აქტიორების მეგობრები უცხოეთში. აი, რას სწერს მაგალითად ინგლისის „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ოფიციალური ორგანო „ნიუ ლიდერ“: 18 მარტის ნომერში ამის შესახებ:

„საფრანგეთის სოციალიზმისათვის სოციალისტ-დეპუტატების საქციელი გამანადგურებელია. ასე თუ ისე სოციალისტურმა პარტიამ ხმა თუ არ ამოიღო, ეს იქნება მომასწავებელი მისი პოლიტიკური თვითმკვლელობის. მილიტარიზაცია მთელი ერის, ჰასაკისა და სქესის მიუხედავად, მიუტევებელი დანაშაულება არის. ჩვენის აზრით ერთად ერთი ხსნა სოციალისტური პარტიისათვის არის თვით პარტიის მასების აჯანყება დეპუტატების წინააღმდეგ თუ პარტია არ დაგმობს თავის საპარლამენტო წარმომადგენლობის საქციელს. ჩვენ მოწამენი შევიქნებით იმისი—და ეს უკვე ფაქტია დღესაც, — რომ კომუნისტური პარტია დაიპყრობს სოციალისტების ხმებს ყოველ ცალკე არჩევნებში, გააძლიერებს არაჩვეულებრივად თავის ძალებს და შეიძლება ადრე თუ გვიან მან შესცვალოს სოციალისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი და ხელთ იგდოს საფრანგეთის მშრომელთა ხელმძღვანელობა“.

ასეთია პოლ-ბონკურის ინგლისელ კოლეგების მსჯავრი საფრანგეთის პარლამენტარული სოციალიზმისა და მით მთელი სოციალისტური ბიუროკრატიის შესახებ. სრულ სიმართლეს აღნიშნავს „დამოუკიდებელი მუშათა პარტიის“ ორგანო, რომ ბონკურ-ბლიუმ-რენოდელების პარტიის „მუშაობა“ გააძლიერებს კომუნისტურ პარტიას, აამხედრებს რა საფრანგეთის მშრომელთ სოციალისტების წინააღმდეგ. მაგრამ ზედმეტი არ იქნება სხვა ქვეყნის სოციალისტებმაც (და თუ გინდ თვით იმავე „დამოუკიდებლებმა“) ჩაიხედონ სარკეში, რომ იქ დაინახონ ჯერ მკრთალად და შემდეგ კარგად გარჩიონ ბონკურ-ბლიუმ-რენოდელები. საქმე ამა თუ იმ მოღვაწეებში. სოციალისტების ამა თუ იმ საპარლამენტო ფრაქციაში კი არ გახლავთ, არამედ იმ პოზიციაში, იმ პრაქტიკულ პოლიტიკურ პროგრამაში, რომელსაც ადგია დღეს ოფიციალური სოციალიზმი. ეს პროგრამა გახლავთ უარყოფა კლასიური პროლეტარული თვალსაზრისის, აღიარება და გაღრმავება კლასთა თანამშრომლობის, „სამოქალაქო ზავის“ პრაქტიკის, ეს პოზიცია გახლავთ ღალატი პროლეტარიატის და დამარხვა რევოლიუციის. მაგრამ რევოლიუცია თვით დამარხავს მათ, ვინც თავზე იღებს მისი მესაფლავეების როლს. და აკი ამას არ უწინასწარმეტყველებს საფრანგეთის სოციალისტების „დამოუკიდებელთა“ ორგანო ე. ი. უწინასწარმეტყველებს ამასვე საბოლოო ანგარიშით თავის პარტიას“.

ყოველ მდგომარეობას აქვს თავისი ლოღიკა. პოლ-ბონკურმა და მისმა პარტიამ ამის შემდეგ სთქვეს ბანი და ეს არ არის კიდევ „სიბრძნის“ უკანასკნელი სიტყვა, უკანასკნელი სადგური მათი მოღალატეობის გზაზე. საფრანგეთის მუშათა კლასი უნდა მოელოდეს მათგან უარესს. ეს იქნება სამოქალაქო ომის დროს. პოლ-ბონკურებმა ჯალათებათ უნდა დაათავონ თავიანთი პოლიტიკური კარიერა, მათ უკან დასაქანებელი გზა გადაჭრილი აქვთ. საფრანგეთის რევოლიუციონური პროლეტარიატი კომპარტიის მეთაურობით შეეცდება, რომ მათი ჯალათობა არ გასცილდეს განძრახვის ფარგლებს და რომ მოღალატეებმა დროზე მიიღონ დამსახურებული „ჯილდო“.

რაციონალიზაციის სიძნელენი და მუშათა კლასი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

სავსებით გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც პარტია აქცევს წარმოების რაციონალიზაციის საკითხებს. ის საზოგადოებრივი სისტემა, რომლისათვისაც მუშათა კლასმა აიღო ხელში ძალა - უფლება ოქტომბერში, არის წარმოების მაქსიმალური რაციონალიზაციის სისტემა, ეს არის ის მეურნეობა, რომელსაც მშრომელი მასსები უნდა გაუძღვნენ უდიდესი მიზანშეწონილების და გეგმიანობის პრინციპების თანახმად, ტეხნიკისა და მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. წარმოების რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია სოციალიზმის აშენება. რაციონალიზაციის გარეშე ჩვენ ვერ შევასრულებთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ისტორიულ დირექტივას. რაციონალიზაციის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევთ საზოგადოებრივი შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას, ვერ დავამტკიცებთ საქმით სოციალიზმის უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე. თუ ჩვენი სამრეწველო - სამეურნეო პოლიტიკის უმთავრესი ლოზუნგია „მასსიური წარმოება“, „უმაღლესი ხარისხის პროდუქცია“, „დაკლებული ფასები“, ცხადია ჩვენ ვალდებული ვართ მთელის ენერგიით შევუდგეთ წარმოების რაციონალიზაციის საკითხების გადაწყვეტას, რომელიც მთელი ჩვენი მრეწველობის და მაშასადამე სოციალისტური განვითარების გასაღებს წარმოადგენს. წარმოების რაციონალიზაცია ადვილი ამოცანა არ არის. იგი მოითხოვს უდიდესი ენერგიის დახარჯვას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მრეწველობის რაციონალურად აშენება და გარდაქმნა ნიშნავს მეცნიერების მონაპოვართა დანერგვას წარმოებაში, ძალების ახალ საფუძველზე შეკავშირებას და განლაგებას ფაბრიკებსა და ქარხნებში, ახალი მუშაობის უმაღლესი ტემპის შექმნას. რაციონალიზაციის პროცესი არის ძნელი და მძიმე პროცესი, ვინაიდან იგი აუცილებლად შეეხება ჩვენი მუშათა კლასის ცოცხალ ადამიანებს, შეეხება თავისი მტკივნეული მხარეებით, ვინაიდან იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ენერგიას და ზოგჯერ ერთგვარ მსხვერპლსაც პროლეტარიატის მხრივ. მხოლოდ შეგნებულ ბოროტმოქმედს და პოლიტიკურ გაიძვერას შეუძლია სთქვას, რომ რაციონალიზაციის გზა არის ადვილი და უბრალო გზა და რომ იგი არ შექმნის არავითარ სიძნელეს მუშათა კლასისათვის. სოციალისტური მრეწველობის რაციონალიზაციას თან სდევს ჩვენი პროლეტარიატის აბსოლიუტური ზრდა და მისი ცხოვრების დონის ამაღლება. ამაში არის ძირითადი პლიუსის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტი. რომელიც ჩვენ რაციონალიზაციას განასხვავებს რაციონალიზაციისაგან ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც რაციონალიზაცია ნიშნავს ხანგრძლივ პერიოდებს მომქმედი პროლეტარიატის შემცირებას მისი ცხოვრების პირობათა გაუარესებას და კაპიტალისტური მოგების ზრდას. უეჭველია, რომ ჩვენ რაციონალიზაციასაც უნდა სდევდეს თან ცოცხალი შრომის შედარებითი შემცირება წარმოებაში. სხვანაირად შეუძლებელი იქნებოდა საწარმოო ძალთა პროგრესი და შრომის ნაყოფიერების ზრდა. რაციონალიზაცია გამოიწვევს მუშა ხელის ნაწილობრივ გადანაწილებას ჩვენი მეურნეობის სამრეწველო სექტორში. სამრეწველო ფრონტის ცალკე დარგებში, ცალკე წარმოებებში, დროის ცალკე მომენტებში შესაძლოა მუშათა კლასის ერთგვარი მოჭარბებული რაოდენობით შექმნა და საქმეზე მყოფი მუშების ნაწილობრივი განთავისუფლება სამუშაოდან. თუმცა პროლეტარიატის რიცხვი საერთოდ და მთლიანად არა თუ არ შემცირდება, არამედ გაიზრდება კიდეც, მაგრამ მუშა ხელის გადანაწილების საკითხს განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიეცემა. ეს დაკავშირებულია ჩვენს სიღარიბესთან, მწვავე საბინაო კრიზისთან, მთელ რიგ ძნელ საორგანიზაციო ამოცანებთან და მუშების ყოფა - ცხოვრების პირობებთან. ამ საკითხებზე მოუხდება სერიოზული და მტკიცე მუშაობა პარტიას, სამეურნეო მუშაკებს, პროფკავშირებს და ყველა პროლეტარულ ორგანიზაციებს.

მაგრამ როგორც ძნელი არ უნდა იყოს, განსაკუთრებით პირველ ხანებში, რაციონალიზაციის გზა, იგი აბსოლიუტური და აუცილებელია. წარმოების რაციონალიზაცია გარდაუვალი აუცილებლობაა საბჭოთა მრეწველობისათვის. მხოლოდ რაციონალიზაციის მეთოდებით შეგვიძლია ვაწარმოოთ შეტევა სამრეწველო პროდუქტების მაღალი თვით ღირებულების წინააღმდეგ. თვითღირებულობის დაკლების გარეშე ჩვენი მრეწველობა დიდხანს ვერ წავა წინ.

მშრომელთა მასსების ინტერესები უპირველეს ყოვლისა, თვით მუშათა კლასის ღრმა ინტერესები გვიკარნახებენ ენერგიულ ბრძოლას რაციონალიზაციისათვის. რაციონალიზაციის გზა ჩვენთვის ერთად - ერთი გზაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალი ფასები მძიმე ტვირთად დააწვება მშრომელ მომხმარებლებს, წინააღმდეგ შემთხვევაში გადიდებული თვითღირებულება შეავიწროებს ჩვენს მრეწველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში გაწყდება კავშირი პროლეტარიატისა და გლეხობის შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიო და ჩვენი სამრეწველო ფასების მაკრატელი კი არ შეიკვეცება, არამედ გაიშლება და ჩვენ ჩამოვრჩებით კაპიტალისტურ გარემოცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში სამეურნეო და სხვაგვარი ბიუროკრატიზმის ასთავიანი ვეშაპი ფესვებს შეუბორკავს პროლეტარულ სახელმწიფოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძლიერ შეფერხდება მრეწველობის ზრდა და ამით პროლეტარიატის ზრდა.

სრული ანგარიში უნდა მივცეთ ჩვენს თავს იმაში, რომ თუ წარმოების რაციონალიზაცია მოითხოვს უფრო მტკიცე ბრძოლას შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და ცალკე შემთხვევებში მუშა - ხელის ხელახლად განაწილებას, ყოველგვარი დაყოვნება რაციონალიზაციის გატარებაში, ამ მეტად არსებითი საქმის გადადება „შემდეგისათვის“, უფრო მეტ საფრთხეს გვიმზადებს. წარმოების გაფართოება, მისი რაციონალიზაციის გარეშე, ნიშნავს მის აშენებას უსაძირკვლოდ, ნიშნავს მისი ზრდის შეჩერებას და ამით უმუშევრობის გადიდების პოლიტიკის წარმოებას. თუ ჩვენ ეს არ გვინდა მოხდეს, მთელი ჩვენი ძალით უნდა შევეცადოთ რაციონალიზაციის გატარებას.

წარმოების უკეთესი მეთოდების შემოღება, ტეხნიკის გაუმჯობესება და შრომითი დისციპლინის განმტკიცება, მეურნეობის მოხერხებულად, ყაირათიანად და რაციონალურად გაძღოლა, სამეურნეო საქმიანობა სოციალისტურად, ბრძოლა ყოველგვარ „ობლომოვშჩინასთან“ და უყაირათობასთან, — პირველ ხარისხოვანი ამოცანაა ჩვენთვის. პროლეტარიატის ნებისყოფა შენებისა, სოციალიზმის შენებისა, რაციონალური საზოგადოებრივი მეურნეობის შენებისა, ძლიერია და შეურყეველი. ეს ნებისყოფა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ პარტიასთან ერთად იქნას გადაწყვეტილი რაციონალიზაციის საკითხები. ეს საკითხები გადაწყდება.

მოსკოვი, 7 აპრილი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

კამათი ამ.-კავკასიის მთავრობის მოხსენების გარშემო

ექვსი აპრილის დილის სხდომა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების დამთავრებისთანავე იწყება კამათი მოხსენების გარშემო.

ამხ. აბრამაშვილი
(გორის მაზრა)

ორატორი აღნიშნავს რა ამიერ-კავკასიის მთავრობის უდიდეს მიღწევებს საბჭოთა მშენებლობის ყველა დარგებში, ხაზს უსვამს საბჭოთა ორგანოების საქმიანობის ერთს მნიშვნელოვან ნაკლს—სახელდობრ:—ხშირია შემთხვევა, როცა ამა თუ იმ ორგანიზაციას ჯერ ერთი საქმის გაკეთება არ დაუმთავრებია და მეორეს საქმეს კიდებს ხელს.

მაგალითად ორატორს მოჰყავს გორის რკინის გზის სადგური, რომლის აგებაც დღემდე არ არის დამთავრებული, ხოლო რკინის გზის სამმართველო კი ამავე დროს რამდენიმე სადგურის აგებას შეუდგა.

ორატორის აზრით ამ სადგურის დამთავრება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მთელი მაზრისათვის, რომელიც მეხილეობის მთავარი ცენტრია ამიერ-კავკასიაში, და რომელიც ამ სადგურის საშუალებით აწარმოებს ხილის გატანას ამიერ-კავკასიის და რუსეთის ბაზარზე.

ამხ. კურნიკოვი
(ქ. განჯა)

ორატორი ყრილობას აცნობს ქ. განჯაში და მის მაზრაში წარმოებულ საფაბრიკო-საქარხნო მშენებლობას და ჩერდება განჯის საფეიქრო ფაბრიკის საამშენებლო მუშაობის დღევანდელ მდგომარეობაზე.

ორატორის გადმოცემით ფაბრიკის დამთავრებას დაადგვიანდა, რადგან დროზე დამზადებული ვერ იქნა სათანადო ნახაზები.

საამშენებლო მუშაობის წარმოებით მსვლელობას აბრკოლებს აგრეთვე ორი საამშენებლო აპარატის არსებობა.

მომჭირნეობის რეჟიმის ინტერესების თვალსაზრისით და აგრეთვე თვით მუშაობის დაჩქარების მიზნით ორატორი მოითხოვს განჯის საფეიქრო ფაბრიკის აშენების საქმე ჩაბარდეს ერთს ორგანოს.

ამხ. რასულ-მამედ ზადე
(ნუხის მაზრა)

ორატორი ეხება სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას ნუხის მაზრაში და ამბობს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშა საქონლის ჭირით გაწყვეტის გამო მაზრა დიდ გაჭირვებას განიცდის. გლეხობა აწყობს სამანქანო ამხანაგობებს, რომ ამ საშუალებით შეიმსუბუქონ მუშა საქონლის კრიზისი, მაგრამ სამანქანო ამხანაგობათა დიდი ნაწილი უსახსროა და საჭიროებს მთავრობის დახმარებას. მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს აგრეთვე აბრეშუმის პარკის რეალიზაციის საქმეს, რომელიც გასულ წლებში კერძო ვაჭრების ხელში იყო და მათგან გლეხობა დიდათ ზარალობდა. ორატორი მცირეთ სთვლის აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტს, რომელიც ეძლევა გლეხობის მეურნეობის აღორძინებლად.

ამხ. აზიზბეკოვი
(ქ. ბაქო).

ორატორი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს სახალხო სასამართლოების მუშაობაზე, რომელსაც ახასიათებს საქმის გაჭიანურება, საქმეების რამდენიმეჯერ გადადება, რაც გლეხობას ძალიან დიდ დროს აკარგვინებსო.

სათანადოთ ვერ არის მოწესრიგებული აგრეთვე საექიმო დახმარების საქმე, განსაკუთრებით ვენერიულ სნეულებებთან ბრძოლა.

შემდეგ ორატორი ეხება მუშათა და გლეხთა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე წამოყენების საკითხს. მისი აზრით, საკმაო არ არის მუშის და გლეხის მთავრობის ან სხვა რომელიმე დიდი ორგანიზაციის მხოლოდ წევრად არჩევა. მთავრობის ამა თუ იმ ორგანოში არჩეული გლეხი მიმაგრებული უნდა იქნეს რომელიმე დაწესებულებებზე და დაეკისროს მას განსაზღვრული ფუნქციები. მხოლოდ ასეთ საშუალებით შეიძლება მათი გაწრთვნა და საპასუხისმგებლო მუშაობისათვის მომზადებაო. დასასრულ ორატორი ეხება რა განათლების საქმეს აზერბეიჯანის მაზრებში, ამბობს, რომ მისწრაფება განათლებისადმი აზერ. სოფლებში საოცრად გაიზარდა. მოსახლეობას აღარ აკმაყოფილებს არსებული სასკოლო ქსელი.—თუ ორი გირვანქა პური გვერგება, მოგვეცით ერთი, ოღონდ გახსენით სკოლებიო“. ათავებს თავის სიტყვას ორატორი.

ამხ. კრილოვა

აუცილებლად დიდი მიღწევაა,—ამბობს ორატორი,—სასამართლო აპარატის მუშებით შევსება, მაგრამ რევოლიუციონური კანონიერების გასატარებლად არ კმარა მარტო მუშურ-რევოლიუციონური სინდისი, საჭიროა სასამართლოს მუშაკთა მომზადება იურიდიულ საკითხებში, რისთვისაც უნდა მოიწყოს იურიდიული ფაკულტეტი მუშებისათვის. სასამართლოები დატვირთული არიან წვრიმალი საქმეებით. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად საჭიროა თვით მასსაში გავრცელდეს საბჭოთა კანონმდებლობის ცოდნა,—იმ მიზნით, რომ მუშამ და გლეხმა იცოდეს, რა შემთხვევაში და რისთვის მიმართოს სასამართლოს. უნდა აღმოიფხვრას აგრეთვე დამნაშავეებისადმი ამნისტიის ხშირი გამოყენება და სასჯელის ზომაზე მეტად შემსუბუქება.

ჩერდება რა უპატრონო ბავშვების საკითხზე, ორატორი ამბობს, რომ მუშათა და გლეხთა მასსები არც ერთს მოვლენას ისეთი ყურადღებით და თანაგრძნობით არ ეკიდებიან, როგორც უპატრონო ბავშვთა მოვლა-პატრონობის საქმეს. საჭიროა მხოლოდ ორგანიზაციული მუშაობა, რომ ხალხის ეს თანაგრძნობა სათანადოთ იქნეს გამოყენებული.

ამხ. ჯუარი
(განჯის მაზრა)

სხვა საკითხებს შორის, ორატორი ეხება კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობას ეროვნულ უმცირესობათა შორის. ვინაიდან რესპუბლიკების განათლების კომისარიატებს იმდენი საშუალება არ აქვთ, რომ ყველა ეროვნული უმცირესობისათვის მათ ენაზე გამოსცეს სათანადო ლიტერატურა, საჭიროა კომისარიატებმა შეუთანხმდენ ერთმანეთს საგამომცემლო მუშაობის შესახებ,—აზერბეიჯანის სახ. განათ. კომისარიატმა თურქული ლიტერატურა უნდა მიაწოდოს სომხეთში მცხოვრებ თურქებს, ხოლო სომხეთის განათლების კომისარიატმა აზერბეიჯანში მცხოვრებს სომხებს ასევე უნდა მოექცეს საქართველოც და სხვ.

ამხ. ენუქიძე
(რაჭის მაზრა)

ამხ. ენუქიძე ეხება სამრეწველო საქონელზე ფასების დაკლების საკითხს და აღნიშნავს, რომ სოფლად ფასების დაკლება ძალიან ძნელი ხდება იმ გარემოების გამო, რომ ძვირი ჯდება საქონლის გადატანა, როგორც რკინის გზით, ისე გზატკეცილებით. სოფლად ფასების შემცირებისათვის აუცილებლად საჭიროა მოხდეს გადატვირთვის ნაწილობრივი მექანიზაცია მაინც.

ორატორი ეხება სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხსაც; ამბობს, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისათვის უნდა ვიზრუნოთ არა მარტო ბარი ადგილებისათვის, არამედ მთაგორიანი ადგილებისათვისაც,—სადაც ადგილობრივი ტოპოგრაფიული პირობების მიუხედავად, შესაძლებელია სხვადასხვა მანქანის გამოყენება.

ამხ ენუქიძის სიტყვით თავდება ყრილობის მეორე დღის დილის სხდომა.

საღამოს სხდომა

გრძელდება კამათი ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გარშემო. თავმჯდომარეობს ამხ. აღამალი-ოღლი.

ამხ. ბაირამ-ალი-ახვერდოვი

იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად გაიზარდა გლეხობის აქტივობა და ინტერესი სწავლა-განათლებისადმი ორატორს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: 1923 წელს ერთი სოფლის გლეხობამ ახლოს არ მიიკარა მთავრობისაგან გაგზავნილი მასწავლებელი, ეხლა იმავე სოფლის გლეხობა მოითხოვს სკოლის შენობის აგებას და მასწავლებლის გამოგზავნას. შემდეგ ორატორი ეხება სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საკითხებს და ამბობს, რომ ამ საკითხების მოწესრიგება შეუძლებელია მანამდე, სანამდის ხალხს წესიერი მისვლა-მოსვლის საშუალება არ ექნებაო.

ამხ. დოლუხანიანი

აღნიშნავს რა დიდ მიღწევებს სასოფლო მეურნეობის დარგში, ორატორი ჩერდება გზების მდგომარეობაზე რომლის უვარგისობა დიდათ აბრკოლებს მეურნეობის გაუმჯობესებასო. ორატორი მოითხოვს ყურადღება მიექცეს მაზრაში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას, საექიმო დახმარების საქმეს და ჭირთან ბრძოლას.

ამხ. ხამედ ჰასანოვი

ორატორი ხაზს უსვამს ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის პოლიტიკურ შედეგებს და ამბობს, რომ სასოფლო მეურნეობის ჩქარი ტემპით განვითარებას მაზრაში აბრკოლებს უგზოობა, წყლის მეურნეობის საკითხების, საძოვრებით სარგებლობის საკითხის მოუწესრიგებლობა.

ამხ. მოძღვრიშვილი
(სიღნაღის მაზრა)

ორატორი ეხება სწავლა-განათლების ზრდას კახელ გლეხობაში და მაგალითად თავისთავი მოჰყავს. საბჭოთა ხელისუფლების წყალობით, —ამბობს იგი, 1923 წელს შევისწავლე წერა-კითხვა, 1925 წელს სიღნაღის სამაზრო ყრილობაზე თითქოს ეგზამენს ვიჭერდი საშუალო კურსის დასამთავრებლად. ამ ყრილობაზე კი ისე ვგრძნობ, თავს თითქოს ეგზამენს ვაბარებდე უმაღლეს სასწავლებელში. მშრომელი მასსის კულტურული წინსვლა ასეთი ტემპით შესაძლებელია მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილ პირობებში.

ამხ. მუსაევი
(ნახიჩევანის ავტონომიური ოლქი)

ყველაზე უფრო მტკივნეულ საკითხს, ამბობს ნახიჩევანის ავტონომიური ოლქის მოსახლეობისათვის წარმოადგენს წყლის მეურნეობის საკითხი. ამჟამად მთელ ოლქში წყლით უზრუნველყოფილია მხოლოდ 40 პროცენტი. მეტია ლაპარაკი მეურნეობის სხვადასხვა დარგის ზრდაზე, თუ ეს საკითხი არ მოგვარდაო.

პროფ. შალვა ნუცუბიძე

მთავრობის მოხსენებაში,—ამბობს ორატორი პოლიტიკურ მომენტს უფრო ნაკლები ყურადღება ჰქონდა მიქცეული, ვიდრე სამეურნეო ეკონომიური ხასიათის საკითხებს.

ჩვენთვის ინტელიგენციის ერთი წრისათვის, მთავრობის თავმჯდომარის მიერ მოხსენებული ფაქტები საყურადღებო არიან არა მარტო, როგორც დიდი ეკონომიური მშენებლობის მაჩვენებელი, არამედ როგორც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტები.

ორ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი; ერთი ის, რომ ამიერ-კავკასიის ერებს შორის დამყარებულია სრული მშვიდობიანობა და მეზობლური თანამშრომლობა, რომელიც აუცილებელი პირობა არის ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობისათვის.

სავსებით მართალი იყო მომხსენებელი,—როდესაც განაცხადა, რომ პოლიტიკური ცხოვრების იმ ფორმის საუკეთესო ატესტაციას, რომელშიდაც ამჟამად ნორმალურად ვითარდება ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრება, წარმოადგენს საზღვარგარეთ გადახვეწილ ემიგრანტების ცდა შექმნან იქ ამიერ-კავკასიის ერებისათვის პოლიტიკური ცხოვრების ასეთივე ფორმა. ის პირები, რომელნიც ეხლა ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნას მიზანშეწონილად და სწორად სთვლიან, თავის დროზე უძლური აღმოჩნდენ შექმნათ ამიერ-კავკასიის ერების ურთიერთობის ასეთი ფორმა.

მეორე მომენტი,—ეს არის გაძლიერებული მუშაობა ჩვენი ქვეყნის მეურნეობის განსავითარებლად. როცა ჩვენი ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში ჩვენ ვხედავთ ახალი ფაბრიკის აკვამლებულ მილს, ყოველ ასეთ მილს ჩვენ ვაფასებთ არა მარტო როგორც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების მომასწავებელ მოვლენას, არამედ როგორც ეკონომიური საძირკვლის ჩადგმას ჩვენი ეროვნული კულტურის განსავითარებლად ჩვენი ეროვნულ დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად და უზრუნველსაყოფად.

ამხ. ბუნიატ ზადე

ორატორი მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ტეხნიკური კულტურების განვითარებას. უნდა მივიღოთ ყოველგვარი ზომები, რომ ის ბამბა, რომელსაც ამერიკაში ვყიდულობთ, მოვიყვანოთ ჩვენში. ამ მხრივ ამიერ-კავკასიის მთავრობის წინაშე მეტად დიდი ამოცანა სდგას, ბამბის მოსავლიანობის ასამაღლებლად საჭიროა გავაუმჯობესოთ ბამბის თესლი, შემოვიღოთ მიწის მექანიკური დამუშავება, გავაძლიეროთ მებამბე გლეხობის აგრონომიული დახმარება და შემოვიღოთ მიწის ხელოვნური განოყიერება.

ორატორი საჭიროდ სთვლის აგრეთვე ამიერ-კავკასიის მიწის ნიადაგის შესწავლას, რომლის შესახებ გასაბჭოებამდე არავის არ უზრუნვია. აზერბეიჯანში ნიადაგის გამოკვლევა უკვე დამთავრებულია. საქართველოსა და სომხეთში კი ეხლა იწყება. ამ გამოკვლევის დამთავრება საშუალებას მოგვცემს შევადგინოთ ამიერ-კავკასიის ნიადაგის ქარტა, რომელიც გამოგვადგება ამა თუ იმ რაიონში სათანადო სააგრიკულტურო მუშაობის დასაწყებად. რევოლიუციამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა აგრეთვე მესაქონლეობის გაუმჯობესებას. ამჟამად აზერბეიჯანსა და საქართველოში დაწყებულია მესაქონლეობის გამოკვლევა, რომლის ჩასატარებლად მოწვეულნი არიან ცნობილი სპეციალისტები, ეწყობა აგრეთვე ალპიური ფერმები და შენდება ზოოტეხნიკური სადგური. ამიერ-კავკასიაში ვითარდება აგრეთვე მთელი რიგი ახალი კულტურები, როგორც არის მაგალითად კანაფი. ამხ. ბუნიად-ზადეს გადაუდებელ ამოცანათ მიაჩნია აგრეთვე წყალთა მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

ამხ. მუფტა-ზადე

ორატორი საჭიროდ სთვლის მუშაობის გაძლიერებას სხვადასხვა თანამდებობებზე წამოყენებულ ქალთა შორის იმ მიზნით, რომ მათ შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ აზერბეიჯანის სოფლელი მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ შეგუებია ქორწინებისა და განქორწინების ახალ კანონს. მაგალითად მმაჩ-ის საშუალებით განქორწინებული ქალი ისევ ქმრიანად ითვლება, ვიდრე განქორწინებას მოლა არ მოახდენსო. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მცირე წლოვანი (8-12 წ.) გოგოების დანიშვნას, რომელთაც მართალია, არ აქორწინებენ, მაგრამ 16 წლამდე სახლში გამომწყვდეული ყავთ.

პაოლო იაშვილი

ამიერ - კავკასიის ერების ერთობა და თანამშრომლობა ამბობს ორატორი, სავსებით სრული და მიღწეული არ იქნება, თუ არ მოხდა მათი კულტურისა და ხელოვნების ერთმანეთთან დაახლოვება. ჩვენმა სახელმწიფო გამომცემლობებმა ხელი უნდა აიღონ ევროპიელ რომანისტების გამოცემაზე და შეუდგენ ჩვენი მეზობლების მხატვრულ ნაწარმოებთა გამოცემას. ამიერ - კავკასიის ერთა მიღწევები კულტურის სხვადასხვა დარგში საყოველთაო კუთვნილებათ უნდა შეიქნენ არა მარტო ამიერ-კავკასიის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის მცხოვრებლებისათვის. უნდა გაჩაღდეს ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა ამიერ - კავკასიის ერების მწერალთა და კულტურულ მოღვაწეთა შორის. საჭიროა ამიერ - კავკასიის მთავრობასთან მოეწყოს საგანგებო ლიტერატურული ფონდი, რომ ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკების მხატვრობის, მუსიკის და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებს საშუალება ექნეს ერთი-მეორეს გააცნონ მიღწევები ხელოვნების ამ დარგებში.

ამხ. გაშინ ზადე

ორატორი აღნიშნავს, რომ სასოფლო საბჭოებს ძალიან მცირე თანხა ეძლევათ ლიტერატურის შესაძენად და ჟურნალ - გაზეთების გამოსაწერად. გაშინ-ზადე მოითხოვს თურქულ სკოლებში გაძლიერდეს რუსული ენის სწავლება და იგი შემოღებულ იქნეს ყველა ტიპის სკოლებში. ორატორი საჭიროდ სთვლის აგრეთვე საკრედიტო დახმარება მიეცეს შინა-მრეწველ ქალებს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილი

ორატორი ჩერდება საყოველთაო სწავლის შემოღების საკითხზე და საჭიროდ სცნობს ამ თავითვე დაწყებულ იქნეს მოსამზადებელი მუშაობა ამ უდიდესი საქმის ჩასატარებლად. საჭიროა ეხლავე სასწრაფოდ დაიწყოს სასკოლო შენობათა აგება და მრავალრიცხოვან მასწავლებელთა მომზადება. საბჭოთა რუსეთის და უკრაინის მაგალითების მსგავსად ამ მიზნისათვის უნდა შეიქმნეს მომავალი საბიუჯეტო წლიდან სპეციალური ფონდი. შემდეგ ამხ. მარიამ ორახელაშვილი ეხება კვალიფიციურ მუშა ხელის მომზადებას, რომლის მოგვარებაც უნდა დაეკისროს მომავალ ამიერ - კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა მოეწყოს.

ამხ. მარიამ ორახელაშვილის სიტყვით თავდება 6 აპრილის სალამოს სხდომა.

შვიდი აპრილის დილის სხდომა

მუსაევი გადირი

ორატორი აღნიშნავს, რომ სავაჭრო აპარატის ზედმეტი რგოლის შემცირება საკმაო ინტენსივობით ვერ მიმდინარეობს. შემდეგ იგი ყრილობის ყურადღებას მიაქცევს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე არსებულ შრომის დისციპლინის უქონლობასა და დაუდევრობაზე. დასასრულ იგი ეხება მის მიერ საბჭოთა გადარჩევის კამპანიის ჩატარების დროს შემჩნეულ ნაკლულოვანებებს: სოფლად არ არის კოოპერატივები, სასკოლო შენობები შეუფერებელნი არიან მეცადინეობისათვის და სხვ.

ამხ. იმედაშვილი

ორატორი ეხება უბედურ შემთხვევებს რკინის გზებზე და მათ მიზეზათ სთვლის არასაკმარის მეთვალყურეობას და ზედამხედველობას გზებზე. მას საჭიროდ მიაჩნია სადგურსა და სადგურს შუა მოწყობილ იქნას სადარაჯო ბუდკები.

ამხ. ხეჩუმიანი
(ქ. ერევანი)

ორატორი საჭიროდ სცნობს მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს მწვავე საბინაო კრიზისს ერევანში, სადაც მოსახლეობის რიცხვი თანდათან იზრდება. საკუთარი საშუალებებით ამ კრიზისის დაძლევას სომხეთი ვერ შესძლებსო. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, თუ როგორ უარყოფითად მოქმედობს ადგილობრივი აღმასკომების მუშაობაზე ბიუჯეტის დაგვიანებით დამტკიცება.

ამხ. ატა ოჰანესიანი
(ზანგეზურის მაზრა)

ორატორი მოითხოვს, რომ სრულიად გადაკეთებული იქნეს კატარის ქარხნები; გაყვანილი იქნეს კატარის მიდამოებში რკინის გზა და უზრუნველყოფილი იქნენ მუშები საცხოვრებელი ბინებით.

ამხ. ჭამარაული
(ფოსტა-ტელეგრაფის სახკომისარიატის რწმუნებული)

ორატორი აღნიშნავს იმ ცუდ მემკვიდრეობას, რომელიც დარჩა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას ამიერ-კავკასიაში. საფოსტო კავშირი თითქმის ყველგან მოშლილი იყო. აზერბეიჯანის ზოგიერთ რაიონებში ფოსტა დაჰქონდათ ურმებით და ისიც ორ კვირაში ერთხელ. საფოსტო კავშირის აღსადგენად და განსავითარებლად გაწეულია დიდი მუშაობა. განსაკუთრებით დიდი მიღწევებია სასოფლო ფოსტის მოწყობის დარგში. მთელ რიგ რაიონებში შემოღებულია საფოსტო კავშირის სრულიად ახალი ფორმა ე. წ. რგოლისებური ფოსტა. მიუხედავად დიდი შედეგებისა ამ დარგში, ლაპარაკი მოსახლეობის სრულ დაკმაყოფილებაზე ამ დარგში ჯერ-ჯერობით ნაადრევია. შემდეგ მომხსენებელი ეხება წყალთა მეურნეობას, რომლის მუშაობასაც მისი აზრით აბრკოლებს მტკიცე კანონმდებლობის უქონლობა.

ამხ. ნათიევი
(ჯებრაილის მაზრა)

ორატორი დიდი სარწყავი არხების გაყვანასთან ერთად საჭიროდ სცნობს ყურადღება მიექცეს ყანების მორწყვას კიარგისების (ჭების) საშუალებით. არავითარი ყურადღება არ ექცევა კიარგიზების შეკეთებას და აღდგენას. მაგ. ჯებრაილის მაზრაში შეუკეთებელია 400 მეტი კიარგიზი. ორატორი საჭიროდ სთვლის აგრეთვე საძოვრების საკითხის მოწესრიგებას.

ამხ. ბაბა ბაბაევი
(ნახიჩევანის ცაკის თავმჯდომარე)

ორატორი ეხება ნახიჩევანის მხარის საჭიროებებს. იგი საჭიროდ სთვლის წყლის კრიზისის შესანელებლად არხის გაყვანას მდინარე ბაგარჩაიდან ნახიჩევანში. ამიერ-კავკასიის ელექტროფიკაციის გეგმაში მას საჭიროდ მიაჩნია შეტანილ იქნეს ნახიჩევანის მხარეც. ნახიჩევანის ქალაქებისა და სოფლების აღსადგენად ორატორი წინადადებას იძლევა გახსნილ იქნეს კომუნალური ბანკი, რომელიც სესხს მიაწოდებს საამშენებლო ორგანიზაციებს.

ავდიევი
(ეზიდების წარმომადგენელი)

ორატორი აღნიშნავს, რომ სუსტად სწარმოებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ეზიდებს შორისო. აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალაქში მცხოვრებ ეზიდებს შორის დიდი მისწრაფებაა დაუბრუნდენ სასოფლო მეურნეობას. ტფილისში ცხოვრობს 4 ათასი ეზიდი, რომელთა შორის ბევრია მსურველი სამშობლოში დაბრუნების. მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს ისინი იმ თავისუფალი მიწის ნაჭრებით, რომელიც სომხეთში მოიპოვება.

ამხ. ლაკობა
(აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე)

ორატორი მოითხოვს, რომ მეტი ყურადღება მიექცეს შავი ზღვის რკინის გზას, რომელსაც აქვს არა მარტო რესპუბლიკანური, არამედ საკავშირო მნიშვნელობაო. ამ გზის გაყვანასთან არის დაკავშირებული საკითხი ტყვარჩელის ნახშირის დამუშავების შესახებ. ტყვარჩელის ნახშირი, ამბობს იგი, —იზიდავდა იტალიელ კონცესიონერების ყურადღებას, მითი დაინტერესებული იყო ჩვენი ბელადი ილიჩი, იგი გვაინტერესებს ჩვენც, მაგრამ საქმის დაჩქარება მაინც ბრკოლდება. ტყვარჩელის ნახშირი, რომლის ღირსებაში არავის ეჭვი არ ეპარება, იძლევა კოკსს, რაც ასე აუცილებელია ჩვენი ლითონის მრეწველობისთვის. შავი ზღვის გზის გაყვანის საკითხთან არის დაკავშირებული აგრეთვე საკითხი ბზიბის კომბინატის მოწყობის შესახებ. ყველა ამ საკითხებს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რა მეთამბაქოების აღორძინებას, ამბობს, რომ ამ მეურნეობაზე არსებობს გადასახადის დიდი ნორმა, რამაც, შეიძლება, ცუდათ იმოქმედოს მეთამბაქოების შემდგომ განვითარებაზეო.

ამხ. ლაკობას სიტყვით თავდება კამათი ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გარშემო და საბოლოო სიტყვა ეძლევა მომხსენებელს ამხ. მამია ორახელაშვილს.

ამხ. მამია ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო! ჩემი მოხსენება იყო საანგარიშო, მე ამავე დროს შევეცადე გადამევლო თვალი იმ მომავალი გზისათვის, რომელზედაც ჩვენ უკვე გამოვედით, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და რომლიდანაც ჩვენი აცდენა უკვე აღარ შეიძლება.

მოხსენების გამო აქ გამოსულმა დელეგატებმა საერთოდ ცხადჰყვეს არა მარტო თავისი სიყვარული ამიერ - კავკასიის ფედერაციისადმი, რომელიც ოქტომბრის გადატრიალების, პროლეტარული რევოლიუციის კერძოობითი შედეგია, არამედ მათ დაადასტურეს აგრეთვე იმ ძირითადი ხაზის სისწორე სამეურნეო და კულტურულ პოლიტიკაში, რომელსაც მთავრობა ატარებდა. გზა და გზა ისინი შეეხენ ადგილობრივ დეფექტებს და გამოსთქვეს მთელი რიგი სურვილებისა იმის შესახებ, თუ როგორი გზებით უნდა გამოსწორდეს ეს დეფექტები და როგორი მეთოდებით უნდა გადაწყდეს შედარებით მოკლე ხანში ჩვენი წყობილების ძირითადი ამოცანა, — ამოცანა იმის შესახებ; რომ არა მარტო დავეწიოთ მოწინავე ქვეყნებს, არამედ გავუსწროთ მათ.

დავა ამ სურვილების და დებულებების წინააღმდეგ, რასაკვირველია, არ შეიძლება.

ჩვენს ყრილობაზე იქნება მოხსენება ბიუჯეტის შესახებ. თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა, გაიზარდა კოლოსალურად, რაიც გამოხატავს მთელი ამიერ - კავკასიის მეურნეობის საწარმოო ძალთა ზრდას.

სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით ჩვენ გვაქვს 150 მილ. მან.-მდე. ეს ციფრი საკმაოდ მნიშვნელოვანია, და ერთად-ერთი საყვედური, რომელიც აქ შეიძლება იქნას წარმოთქმული, ეს არის ის, რომ ჩვენ შეიძლება სისწორით არ გავანაწილეთ ბიუჯეტი სხვადასხვა ხარჯების მიხედვით, რომ მეურნეობის, ან კულტურული ფრონტის ზოგიერთი დარგები შეიძლება საკმაოდ ვერ არიან უზრუნველყოფილი სხვებთან შედარებით. ყოველივე ეს შეიძლება იქნას მხედველობაში მიღებული შემდგომი საბიუჯეტო წლისათვის.

ამით მე სრულიადაც არ მინდა გვერდი აუხვიო იმ მეტად სერიოზულ შენიშვნებს, შესწორებებს და სურვილებს, რომელნიც აქ იყო გამოთქმული რამოდენიმე ათეული დელეგატის სიტყვებში. მაგრამ რა შეიძლება ითქვას პოლემიკის წესით ამხ. ბუნიატ - ზადეს და მუფტი-ზადეს გამოსვლების წინააღმდეგ, რომელმაც დაგვიხატა საშუალო საუკუნოების ყოფა-ცხოვრების ნაშთების სურათი, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს საბჭოთა ქვეყანაში, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს აზერბეიჯანის გლეხის ქალებს; რა შეიძლება ითქვას ამხ. აზიზბეკოვას და კრილოვას გამოსვლების წინააღმდეგ? უკანასკნელის მიმართ მე შემიძლია მხოლოდ გამოვსთქვა ეჭვი იმის შესახებ, რომ საჭიროა და აუცილებელია თუ არა იურიდიული ფაკულტეტი. მაგრამ ყველა დანარჩენი ამხანაგების გამოსვლები იყო ისეთი, რომ მათი შენიშვნები ერთგვარ სკოლას წარმოადგენს მთავრობისათვის, რომელიც ყრილობის შემდეგ დარჩება აქ ამიერ - კავკასიის მართვისათვის. პრეზიდიუმს უკვე აქვს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შექმნას კომპეტენტური კომისია, რომ შესწავლილ იქნას ყრილობის ოქმები, ყველა პრაქტიკული მითითებანი, სურვილები, ჯამი გაუკეთოს ყოველივე ამას და დაამუშაოს ისე, რომ ის, რაც ეხლა შეიძლება გატარდეს, — გავატაროთ ეხლავე; და რაც მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მომავალი საბიუჯეტო წლისათვის, მოვამზადოთ სწორედ მისი დასაწყისისათვის.

მე ვფიქრობ, რომ რესპუბლიკების და ადგილობრივი ამხანაგების ყველა მნიშვნელოვან მითითებათა საქმიანი გამოყენებისათვის ეს იქნება ყველაზე უფრო ნაყოფიერი მეთოდი, ვიდრე ის, რომ ყოველ დელეგატს უპასუხო.

ამიტომ ნება მიბოძეთ ჩემი საბოლოო სიტყვით ვისარგებლო იმ საერთო საკითხებზე პასუხის გასაცემად, რომელნიც წამოაყენეს აქ გამოსულმა ზოგიერთმა ამხანაგებმა.

ამიერ-კავკ. ფედერაცია და ინტელიგენცია

საკითხების ცენტრში მე მინდა დავაყენო საკითხი ჩვენი ფედერაციის შესახებ: რამდენადაც 5 წელია არსებობს ეს ფედერაცია, იმდენად ამ ყრილობაზე გვაქვს ზოგიერთი ფაქტები, რომელნიც გვიჩვენებენ განწყობილების ერთგვარ გარდატეხას ინტელიგენციის წრეებში; მე თავს მივსცემ ნებას შევჩერდე მხოლოდ ამ ფაქტებზე.

სჩანს, რომ ჩვენი არსებობის ფაქტით და ჩვენი მუშაობით 5 წლის განმავლობაში ჩვენ ძალიან ბევრი იჭვიანი დავაჯერეთ. თუ ინტელიგენციის ერთ ნაწილს ვეჯავრებოდით ჩვენ მისი კონტრ-რევოლიუციონერობის გამო, თუ მეორე ნაწილი კეთილსინდისიერად სცდებოდა და კარგს არაფერს ელოდა აქ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, სამაგიეროდ მესამე ნაწილი იყო. გზა-ჯვარედინზე. იგი უპირატესობას აძლევდა დემოკრატიზმის გზებს პროლეტარული დიქტატურის გზებთან შედარებით. ეს ასე იყო. ეხლა კი ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი აღმშენებლობა უკვე აკეთებს თავის საქმეს, იჭვიანი ხალხი რწმუნდება, რომ მათი შეფასება საბჭოთა გადატრიალებისა არ იყო სწორი, რომ საჭიროა გზის შეცვლა. მე არ მსურს თანასწორობის ნიშანი დავსვა ინტელიგენციის აქ გამოსული წარმომადგენლისა და რუსეთის ბურჟუაზიის იმ წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც საბჭოთა ხელისუფლებასთან მტრობის პოზიცია შესცვალეს ამ ხელისუფლებასთან შეგუების პოზიციად, მაგრამ ერთგვარი ანალოგია აქ კანონიერია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიციების შეცვლა ხდება ჩვენში, ეს სასიხარულო ფაქტია.

ინტელიგენციას ჩვენ ვაფასებთ ჩვენს სასწორზე, ეს სასწორი გამოვიდა მარქსიზმის დარგიდან ყრილობის უდიდესი ნაწილისათვის ეს ტერმინი ცნობილია. ამ სასწორზე ჩვენ ვწონით ინტელექტის აუწონავ ნივთიერებას და გამოგვაქვს დასკვნა, რომ მხოლოდ მაშინ აქვს მას ძალა, როდესაც ის მიდის მილიონი მასებისათვის სამსახურის გასაწევად, ამის გარეშე ჩვენ არ ვაძლევთ მას თვით დამოუკიდებელ, განსაკუთრებით გადამწყვეტ მნიშვნელობას.

„უპარტიო“ ინტელიგენცია

განა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ამ იარაღის — ინტელექტის მატარებელი რომელიმე ინტელიგენტი ნამდვილად პოლიტიკის გარეშე დგას? ეს იქნებოდა ბუნების გაუგებრობა.

დღეს, როდესაც მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად, ამას არავინ არ უარყოფს, — არ უარყოფს არც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი, არც რამზეი მაკდონალდი, და არ უარყოფთ აგრეთვე ჩვენც. მსოფლიო გაიყო ორ ბანაკად; ამ ინტელიგენტს, რომელსაც თავისი თავი ზეციურ არსებად მიაჩნია, რომელიც ფლობს ინტელექტის იარაღს, განა შეუძლია მას გულახდილად განაცხადოს, რომ ის პოლიტიკის გარეშე დგას, რომ ის არც რევოლიუციის და არც კონტრრევოლიუციის მომხრეა? ასეთი მდგომარეობა წარმოუდგენელია. თუ ჩვენ წინედ ვამბობდით, რომ არის ობივატელური, მეშჩანური თვალსაზრისი, ე. ი. თვალსაზრისი, რომელიც არც აქეთაა და არც იქით, დღეს ამას უკვე ველარავინ ვერ მოახერხებს. მენშევიკები შეეცადენ მასების მოტყუებას, რომ თითქოს მათ სურთ ქანაობა რევოლიუციასა და კონტრ - რევოლიუციას შორის, იმპერიალიზმსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის, რომ თითქოს ისინი ნეიტრალური არიან. მაგრამ ეს უკვე გამოაშკარავებულია. ისინი ქანაობდენ ერთის მხრივ მეორე ინტერნაციონალს შორის, ხოლო მეორე მხრივ აწარმოებდენ მოლაპარაკებას ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვთან. აქ გარკვეულია პოზიცია — არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე საშუალო ადგილი; სოციალ - დემოკრატიას ვერ მივაკუთვნებთ საშუალო პარტიებს, ის გადაიქცა ბურჟუაზიის მესამე პარტიად: ლიბერალიზმი. კონსერვატიზმი და სოციალ - დემოკრატიზმი — აი, ბურჟუაზიის სამი პარტია.

რევოლიუციის, პროლეტარული რევოლიუციის ძალები თავს იყრიან საწინააღმდეგო ბანაკში. ამჟამად ნურავინ ნუღარ შეეცდება თეზისის წამოყენებას, მისი დამარწმუნებლობის იმედით, რომ თითქოს არსებობს უპარტიო ინტელიგენცია. ასეთი ინტელიგენცია არ არსებობს. მაგრამ ასეთი ინტელიგენტებიც რომ იყვნენ ისინი გროშის ფასადაც არ ღირან, რადგან არიან ობივატელები, რომლებმაც გაიარეს რევოლიუციის წინამორბედი, იმპერიალისტური ომის ეპოქა, და რომლებიც ამჟამად წარმოადგენენ უკვე განვლილი ეპოქის ნაშთს. ამჟამად არის მსოფლიო რევოლიუციის ეპოქა, რომელსაც, რასაკვირველია, თან სდევს კონტრ - რევოლიუციონური აფეთქება. ორში ერთი: ან პროლეტარული რევოლიუცია; ანდა კონტრ - რევოლიუცია—შუა ჯდომა შეუძლებელია. ამიტომ მე ვამბობ; რომ აქ გუშინ გამოსულმა პროფ. ნუცუბიძემ დაუშვა შეცდომა თავისი გამოსვლის სწორედ ამ ნაწილში. მას უკვე გუშინვე გაეცა პასუხი. მე დიდხანს არ შევჩერდები ამაზე, მხოლოდ აღვნიშნავ იმ შეცდომას, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ამ შეცდომისაგან, თავის მოტყუებისაგან, რომ თითქოს მას შეუძლია იყოს უპარტიო ინტელიგენტად.

რატომ შევიმარჯვეთ ჩვენ

როგორ აფასებდა ის ამიერ - კავკასიის სეიმს და როგორ აფასებს ჩვენს ფედერაციას? რასაკვირველია, სეიმს მან დაასო ჯვარი ჩვენს კონტრ - რევოლიუციონურ წინამორბედების ამ პოლიტიკურ ქმნილებას, მაგრამ რით დაასაბუთა მან სეიმის დამარცხება? მან ამ უბადრუკ სეიმის მოღვაწეებს პოლიტიკური კოტრები უწოდა.

ამის თქმა არ არის საკმარისი. საჭიროა იმის ნათლად შეგნება, თუ ისტორიულმა ტალღამ რატომ გადაისროლა ისინი ამიერ - კავკასიიდან. რატომ იქნენ გადასროლილნი? გადასროლილ იქნენ იმიტომ, რომ მათ არ მოისურვეს ის, რაც ამჟამად ჩვენ გვაძლევს ძალას. ჩვენც ხომ ფიზიკურად წარმოვადგენთ იმ ხალხს, რასაც ისინი წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ერთი მეორეს ჰღადრავდენ ყელს. ხოლო ჩვენ ისე „ვღრღნით“ ერთი მეორეს რომ ისინიც კი, რომელთაც ჩვენში ეჭვი ეპარებოდათ, ამჟამად ჩვენთან არიან და, ხედავენ რა ჩვენი მშენებლობის უნარიანობას და ამ მშენებლობის მიღწევებს, გვიწონებენ ჩვენ. რატომ არის ასეთი განსხვავება? იმიტომ, რომ ამ ხალხს უნდოდა ყოფნა კონტრ - რევოლიუციის ბანაკში რევოლიუციის წინააღმდეგ, თვით კონტრ - რევოლიუციის სიღრმეში. მსოფლიოში ავარდა პროლეტარული რევოლიუციის სუნი, რევოლიუციის; რომელიც უპჯყოფს კერძო საკუთრებას, როგორც იცით, ეს საკუთრება ქსაქსავს, ხოლო სოციალისტური მეურნეობა აერთიანებს. რასაკვირველია, გაერთიანება ჩვენში არ არის სრული, იმიტომ, რომ სოციალიზმიც არ არის სრული, მაგრამ ჯერ მალე ვერ მივაღწევთ სრულქმნილი სოციალისტური მშენებლობის საზღვარს. **მაგრამ სწორედ იმან, რომ ჩვენ აღმოვჩნდით მეურნეობისა და მშენებლობის სოციალისტური მეთოდის მხარეზე, საშუალება მოგვცა შედარებით ადვილად მივეღწია იმამდე, რომ დღეს გვაქვს ამიერ - კავკასიის ფედერაცია, ისეთი მჭიდრო კავშირი, ისეთი ორგანიულად მთლიანი კავშირი, რომლის დაშლასაც დღეს ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს.** მე მახსოვს, როდესაც ერთ-ერთ მენშევიკურ გაზეთში გესლიანად ითქვა, რომ „ბოლშევიკები ამიერ - კავკასიაში ტრაბახობენ იმით, რომ მათ არა აქვთ ერთა შორის ომი; მაგრამ რანაირად შეიძლება მათ შორის ომი, როდესაც ერევანში დგას ერთი არმიის ერთი დივიზია, თბილისში იმავე არმიის მეორე დივიზია და ბაქოშიც იმავე არმიის მესამე დივიზია. ხომ არ შეეტაკებიან ერთი მეორეს ერთი და იმავე არმიის დივიზიები!“ რასაკვირველია, ეს ძალიან გესლიანად არის ნათქვამი; მაგრამ გესლიანად ნათქვამია სწორედ მეშჩანინისათვის, რომელიც შეგნებულად კონტრ - რევოლიუციის ბანაკში აღმოჩნდა. განა დღეს ჩვენი წითელი არმია წარმოადგენს მხოლოდ მშვიდობიანობის ელემენტს? რასაკვირველია, წითელი არმია არის მშვიდობიანობის ელემენტი, რამდენადაც ის იცავს მუშებისა და გლეხების მშვიდობიან შრომას. მაგრამ იგივე წარმოადგენს მნიშვნელოვან თანამონაწილე ელემენტს ჩვენს კულტურულ მშენებლობაში. რასაკვირველია, ერთა შორის მშვიდობიანობა ამიერ - კავკასიაში პირდაპირი აზრით ყველაზე ნაკლებია დამოკიდებული წითელი არმიისაგან, იმიტომ, რომ არას დროს წითელი არმია არ ყოფილა გამოყენებული ამ მიმართულებით. ჩვენ რომ ასეთი უბედურება დაგვატყდეს თავს, რასაკვირველია, არ გავგზავნიდით წითელ არმიას; არამედ გამოვნახავდით სხვა საშუალებებს. მაგრამ ეს არ ყოფილა და არც იქნება, რადგან ჩვენმა ფედერაციამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ჩვენ თანა ვცხოვრობთ ამიერ - კავკასიის ფედერაციის ერთ ჭერს ქვეშ. ეს არის მშვიდობიანი და ძმური ფედერაცია, და ასეთი მჭიდრო კავშირი მასში შემავალ ერებს შორის დროთა განმავლობაში თანდათან გაძლიერდება, რადგან მას საფუძვლად უდევს მტკიცე სამეურნეო და პროლეტარული ინტერესები.

ინდუსტრიალიზაცია და ეროვნული კულტურა

ჩვენ ომი გამოუცხადეთ კერძო საკუთრების ფეტიშს; ამ ნიადაგზე, კერძო საკუთრების ნიადაგზე იზრდება მხეცური ნაციონალიზმი და შოვინიზმი, იზრდებოდა სათანადო კონტრ-რევოლიუციაც. ამხ. ნუცუბიძეს გუშინ სწორედ ამ მომენტისათვის უნდა გაესვა ხაზი, როდესაც სთქვა, რომ თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ინდუსტრიალიზაციას, როგორც ბაზას, უფარდებს „ეროვნულ კულტურას“. მე ვშიშობ, რომ სწორედ საზამთროს ამ პატარა ქერქზე დაუცდება მას ფეხი. ხოლო როდესაც დაუცდება ფეხი, შესაძლებელია გადავარდეს, როგორც მარჯვნივ, ისე მარცხნივაც. რას ნიშნავს ინდუსტრიალიზაციის შეფარდება ეროვნულ კულტურასთან? ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ წინ ვაყენებთ ნაციონალურ მომენტს? არას დროს, ამხანაგებო! ჩვენ, მგონია, ვამბობდით და შემდეგში ვიტყვით კიდეც, რომ ჩვენ ვართ საუკეთესო მშენებლები ნაციონალური კულტურის დარგში, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ამ მშენებლობას ჩვენში უჭირავს თანამორჩილი ადგილი: ჩვენს ხელშია კლასიური დროშა, და ეს კლასიური დროშა გვაძლევს ძალას და შესაძლებლობას დავაგროვოთ რესურსები ნაციონალური კულტურის ჯანსაღი ელემენტების უკეთესი სამსახურისათვის. დღეს თუ ჩვენ ხევსურეთს ვაწაფებთ კულტურას, თუ ჩვენ ვაწაფებთ სვანეთს და ამიერ - კავკასიის სხვა მიყრუებულ რაიონებს ამას ვშვრებით არა იმიტომ, რომ თითქოს მუხლს ვიდრეკთ ეროვნული კულტურის ხატის წინაშე.

ჩვენ ვართ კლასიური პარტია, კოსმოპოლიტიკური პარტია და სრულიად სისწორით უდგებით ეროვნული ხასიათის საკითხებს.

გუშინ ამის შესახებ არაფერი არ თქმულა და დავეხმარები ამხ. ნუცუბიძეს და განვმარტავ მის მაგივრად, ვინაიდან განუმარტებლობა შექმნიდა შთაბეჭდილებას, რომ მას არ სურს ჩვენი აღმშენებლობა და ჩვენი პოლიტიკა განიხილოს სწორედ ისე, როგორც მე ვსთქვი ზემოდ; ნამდვილად კი ეს ასე არ არის—ჩვენ არ გვაქვს ეროვნული დროშა, ჩვენი დროშა კლასიურია, ეროვნული დროშა კი ჩვენ ჩამოვგლიჯეთ ყველა სასახლეებიდან (მხურვალე ტაში).

ეროვნულ კულტურას ჩვენ უწყობთ ხელს და შეუწყობთ ხელს იმ მიმართულებით, რომელსაც მივყევართ არა განცალკევებისაკენ, არამედ ყველა ერების გაერთიანებისაკენ კომუნიზმის წიაღში.

ა.-კავკ. ხალხთა კულტურული კავშირი

მეორე ორატორი პაოლო იაშვილი არ არის საქართველოს ყველა მწერალთა წარმომადგენელი,—ეს არ იქნებოდა სწორი,—იგი არის მწერალთა ერთი ჯგუფის წარმომადგენელი. მე არ ვიცი, რა გავლენა აქვს ამ ჯგუფს ეხლა საქართველოს მწერალთა საერთო ოჯახში, ამ საკითხს სპეციალური გარკვევა ესაჭიროება, მაგრამ მაინც დამახასიათებელია, რომ ეს პოეტი გამოდის სწორედ ამიერ-კავკასიის ყრილობის ტრიბუნაზე, პოეტი, რომელიც ალბად ეხლაც ფიქრობს (მე ამაში, რასაკვირველია არ ვსდებ ბრალს), რომ არ არსებობს საქართველოზე უკეთესი ქვეყანა და არ არსებობს უკეთესი პოეტები, ვიდრე საქართველოში (სიცილი. ტაში). მე ამაში არაფერს ვხედავ უარყოფითს, ეს ადამიანის ბუნების საქმეა. მაგრამ ამასთან ერთად მე აღვნიშნავ, რომ ეს დიდი ნაბიჯია წინ, რომ ასეთმა ნიჭიერმა პოეტმა შეაბიჯა ამიერ-კავკასიის ყრილობის კარებში. რამდენადაც მე ვიცი, მწერალთა ის ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის იაშვილი, წარმოადგენს მესამე ჯგუფს. იგი სრული ლოიალურია საბჭოთა ძალაუფლებისადმი, მაგრამ მის გულში ცოტა რყევა იყო, მას ეგონა, რომ დემოკრატიის გზა, არაა ისეთი, როგორიცაა ბურჟუაზიული, მაგრამ საზოგადოდ კულტურული, დასავლეთ-ევროპიული, ეს გზა უკეთესი, უფრო მისაღები ეგონა, ვიდრე შავბლუზიანების დიქტატურა, გლეხობის დიქტატურა. ისინი რასაკვირველია, სცდებოდენ და ეხლა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი ამ შეცდომას აღიარებენ. ჩვენ ამას ვესალმებით და ყოველმხრივ დავეხმარებით მათ. მაგრამ როგორ დავეხმაროთ? აქ უნდა გავარკვიოთ ეს „მაგრამ“.

ამხ. იაშვილი მეტად დროულად აყენებს საკითხს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების კულტურული ერთობის აუცილებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, რომ მან, მაგალითად, არ იცის, თუ რა წიგნები გამოიცა თურქულ ენაზე მეზობელ აზერბეიჯანში უკანასკნელ წლებში. პოეზიის, ბელეტრისტიკის და საზოგადოდ ხელოვნების დარგში. მართალია, ამხ. იაშვილო, მე ვისურვებდი, რომ ეს ერთობა, სტუმრად მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან დაიწყოს სწორედ იქ, სადაც ეს უფრო ადვილია, ე. ი. აქ, თბილისში. რატომ უნდა წავიდან ქართველი მწერლები ერევანში იმისათვის, რომ ურთიერთობა დაიჭირონ, გაეცნონ სომეხ მწერლებს, როცა თბილისში არის საკმაო სომეხ მწერალთა საკმაო რიცხვი? აქ არის მთელი ორგანიზაცია „აიარ-

(გაგრძელება იხილე მეორე გვ.)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეოთხე ყრილობა

ტუნი". ქართველ მწერლებს აქვთ თავიანთი კლუბი, აქვთ თავიანთი თავშესაფარიც, მათ საუკეთესო შენობა უჭირავთ თბილისში—ხელოვანთა სახახლე. დაინახეთ თქვენ როდისმე, რომ ისინი დადიოდნენ სტუმრად „აიარტუნ"-ში და პირიქით.

პაოლო იაშვილი „...ამხანაგები დაადასტურებენ, რომ დავდივართ"

თუ ეს ასეა, თუ თქვენ აქ გაქვთ კონტაქტი, მაშინ რატომ დამთავრებული სახე არ მიეცით ამ კონტაქტს და არ გაერთიანდით საქართველოს მწერალთა ერთ ორგანიზაციაში. (ტაში). ძალიან კარგია, ძალიან ხანგრძლივი მტრობის პერიოდის შემდეგ გადაეხვიოთ ერთმანეთს ძმურად, მაგრამ ამის დაწყებისათვის რატომ აქ, თბილისში არ უნდა გადაეხვიოთ ერთმანეთს და შემდეგ კი ამიერ-კავკასიის დანარჩენ ადგილებში.

მე ვიცი, მაგალითად, ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა კავშირი. თითქოს არ უნდა დაისვას საკითხი—ქართული მეცნიერება, სომხური, თურქული მეცნიერება. მართალია, არსებობს ასეთი გამოთქმა: „რუსული მეცნიერება, ფრანგული", მაგრამ სამწუხაროდ, ამიერ-კავკასიის არც ერთ ერს არ აქვს თავისი მეცნიერება. მეფის რუსეთში არ იყო სათანადო პირობები ასეთი მეცნიერების განვითარებისათვის. ჩვენ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს ვსდგამთ მეცნიერულ იმუშაობის საკუთარი ძალებით დაყენებისაკენ მაგრამ მეცნიერება თავის თავად არასოდეს არ იყო დაყოფილი ეროვნულ უჯრედებად. მეცნიერება მთლიანი და ინტერნაციონალურია. მაგრამ უნდა არსებობდეს საქართველოში ქართველების საექიმო საზოგადოება და მის გვერდით კავკასიის საექიმო საზოგადოება, რომელშიაც უმთავრესად თავს იყრიან ეროვნების მიხედვით—სომხები და რუსები? განა ეს ნორმალურია? განა ასე ძნელია ყველა საექიმო ძალთა ერთობა საქართველოს ექიმთა ერთ მთლიან საზოგადოებაში?

ამხანაგებო, მოდი ახე მოვიქცეთ: ხანამ შევქმნით ამიერ-კავკასიის ლიტერატურულ ფონდს მწერლების ერთმანეთთან მიმოსვლის ხარჯების უზრუნველსაყოფად (რაიც თავის დროზე აუცილებელი და საჭირო იქნება), თუ გარდატეხა ნამდვილი არის, თუ ყველა ეჭვები აღმოფხვრილია, თუ არ არის ასეთი მდგომარეობა: სომეხი—მაშასადამე საქართვ. მოწინააღმდეგეა, ან პირიქით, ქართველი—ეს მენშევიკია, მაშასადამე სომხების მტერია, მოდი დაახლოება განვახორციელოთ და გავატაროთ ცხოვრებაში. ჯერ იქ, სადაც ეს უფრო ადვილია. საქართველოში მივხცეთ იმის მაგალითი, რომ ყველა გაუგებრობანი ხელოვნურია და „ბუნებრივი" გაუგებრობანი საბოლოოდ აღმოფხვრილია. მაშინ ამიერ-კავკასიის მთავრობისათვის ადვილი იქნება შეუდგეს იმ პროექტის გატარებას, რომელსაც ამხ. იაშვილი აყენებდა. მე ვფიქრობ, რომ ლიტერატურული ფონდის, ამ კონკრეტიული საკითხის შესახებ ყრილობაზე არაა საჭირო ლაპარაკი, მაგრამ შეიძლება ვილაპარაკოთ იმ ფონდზე, რომელიც ჩვენ გვაქვს განზრახული შევქმნათ პრემიების მისაცემად საუკეთესო თხზულებისათვის, საუკეთესო თარგმანისათვის ამიერ-კავკასიის ეროვნულ ენებზე. ეს მე მესმის. მაგრამ კერძო მიმოსვლათა უზრუნველყოფა ეს კერძო საქმეა პირველ რიგში იმ ორგანიზაციების, რომლებმაც დაწყეს კულტურულ მუშაკთა, ხელოვნების დარგში მოძმეთა ერთმანეთთან დაახლოების კეთილი საქმე.

მე ვფიქრობ, რომ მათ უნდა გვიჩვენონ იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს დაახლოება, ეს ძმური სოლიდარობა. ვინაიდან თუ ხელოვნებისა და მეცნიერების ხალხს არ სურს ერთმანეთთან დაახლოება, მაშინ უნდა დაისვას ინტელიგენციის ისტორიული მისიის მარცხის საკითხი.

დასკვნა

მე ვათავებ. ჩვენმა მრავალმა მონაპოვარმა ამ.-კავკ. ხოც. ფედ. საბჭ. რესპ. 5 წლის არსებობის განმავლობაში, იმ ხუთი წლის, რომელიც, განსაკუთრებით დასაწყის წლებში, იყო კოშმარული—ცარიელი ხალარო, უკანასკნელი ომითა და შინაური შეტაკებებით განადგურებული ქვეყანა, სიმშილი და სხ., გამოიწვიეს ის, რომ ურწმუნო თომები ეხლა ჩვენთან არიან. ამ უძიმეს წლებში გავიტანეთ ჩვენი დროშა და რაის შეგროვებაც შეიძლებოდა, შევაგროვეთ, და ახალი რამ დავამატეთ. ეხლა ყოველ ჩვენთაგანს აქვს ხრული რწმენა იმისა, რომ მიუხედავად საერთო სიღარიბისა, ჩვენ ამ წლებში მტკიცედ გამოვიყურებით და უფრო მხნედ ვაბიჯებთ, ვიდრე წარსულ წლებში. და რამდენი დროც გავა, მით უფრო და უფრო მეტად განვმტკიცდებით. თუ ეს ახეა, მაშინ ჩვენ არ შეგვიძლია ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ამიერ-კავკასიის გაერთიანების შემდგომ ხუთ წელში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის 10 წლის იუბილეს თავზე, ჩვენ გამაგრებული ვიქნებით ყოველი მხრივ და გაერთიანებული ვიქნებით მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის ფოლადისებურ ბლოკში. და მაშინ მე ვფიქრობ, ჩვენ არ მოგვიხდება პოლემიკის გამართვა არც პერსონალურად იაშვილთან და არც ინტელიგენციასთან მთლიანად, რომელიც მტკიცედ და მჭიდროდ დაუკავშირდა მუშათა კლასს, მის პროლეტარულ რევოლიუციას, რომელიც აუცილებლად არის საერთაშორისო, ინტერნაციონალური რევოლიუცია. (მხურვალე, ხანგრძლივი ტაში).

რეზოლიუცია

ა.-კ. მთავრობის მოხსენების გარშემო

ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გამო ყრილობამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

1) მოისმინა რა ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება, ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოთა მეოთხე ყრილობა მთლიანად და სავსებით იწონებს მის მუშაობას საანგარიშო პერიოდში და სწორად აღიარებს მის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

2) ყრილობა განსაკუთრებული კმაყოფილებით ადასტურებს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის ღონისძიებებით მოპოვებულია მნიშვნელოვანი მიღწევები ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების, ამიერ-კავკასიის მოძმე ერთა შორის ეროვნული მშვიდობიანობის განმტკიცების, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ინდუსტრიალიზაციის ნიადაგზე სოციალისტური მეურნეობის მშენებლობის, მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კავშირის განმტკიცებისა და მშრომელთა მასების კულტურულ - მატერიალური დონის ამაღლების საქმეში.

საგზაო მშენებლობა ამიერ-კავკასიაში

ამხ. შ. ელიავას მოხსენება

ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობაზე—ამბობს მომხსენებელი, საგზაო მშენებლობის შესახებ გამოტანილ იქნა დადგენილება, რომელიც განხორციელებული იქნა სავსებით. მიუხედავად ამისა ჩვენი გზატკეცილებისა და შარა-გზების მდგომარეობა მრავალ დამაბრკოლებელი მიზეზების გამო საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა.

გზატკეცილებისა და შარა-გზების გაყვანის საკითხი ჩვენი ქვეყნისათვის პირველი მნიშვნელობის საკითხია. ჩვენში სარკინიგზო ქსელი განვითარებული არ არის. გვაქვს ერთი მაგისტრალი—ბაქო-ბათომის რკინის გზა და რამოდენიმე რკინისგზის შტო, რომელნიც დაშორებულნი არიან დასახელებულ რაიონებს. ეს ქსელი სრულიად საკმაო არ არის; მასზე შეუძლებელია დაეყრდნოს ჩვენი სახალხო მეურნეობა, რადგან იგ ვერ აკმაყოფილებს ჩვენი მეურნეობის მიმდინარე საჭიროებასაც კი. ასეთ პირობებში გზატკეცილებსა და შარა-გზებს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, რომელსაც აძლიერებს ის გარემოება, რომ ჩვენ გეოგრაფიულ და ტოპოგრაფიულ სინამდვილეში ახალ რკინისგზების გაყვანა მეტად ძნელია და ძვირი.

ამიერ-კავკასიის უმრავლეს რაიონებში გზატკეცილები წარმოადგენენ მიმოსვლის ერთადერთ საშუალებას, რომლითაც რაიონები უკავშირდებიან თავიანთ ცენტრებს და მოსახლეობას მიმოსვლა აქვს რკინისგზის მაგისტრალთან. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რევოლიუციის შემდეგ შეიქნა ახალი ადმინისტრატიული ერთეულები, ახალი სამეურნეო ცენტრები (მთის ყარაბახი, ქურთისტანი, სამხრეთ ოსეთი, ზანგეზური, აჭარისტანი და სხვა) რომელნიც რკინისგზის მთავარ მაგისტრალს უკავშირდებიან მხოლოდ გზატკეცილებით და შარა-გზებით, აშკარა გახდება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ეძლევათ დღევანდელ პირობებში გზატკეცილებსა და შარა-გზებს.

იმ გარემოების გამო, რომ გზების მდგომარეობა მეტად ცუდია, ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი დანართი ხარჯები, რაც ხელს უშლის იმ ამოცანის შესრულებას, რომელიც ჩვენს წინაშე ფასების დაკლების სახით სდგას. გზების ცუდი მდგომარეობა არის მიზეზი, რომელიც აბრკოლებს ჩვენი საქონლის ბრუნვის გადიდებას. ყოფილი რუსეთის ტერიტორია ყოველ წლიურად უგზოობის გამო კარგავდა შვიდას მილიონ მანეთს. წინანდელთან შედარებით ეხლანდელი უგზოობა, განსაკუთრებით, ამიერ-კავკასიაში უფრო მწვავეა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გზატკეცილებზე ამჟამად ყველგან დიდათ გავრცელებულია მექანიკური ტრანსპორტი, რომელიც დიდათ აძლიერებს საქონლის ბრუნვას, კიდევ უფრო ცხადი გახდება გზატკეცილების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის.

ევროპა-ამერიკაში ისეთ პატარა მანძილზე, როგორიც 150 კილომეტრია, საქონელს ეზიდებიან არა რკინისგზით, არამედ მექანიკური ტრანსპორტით. რკინისგზის გაყვანა პატარა მანძილზე ძალიან ძვირი ჯდება, ხოლო ამიერ-კავკასიის პირობებში კიდევ უფრო მძიმე და მოუხერხებელია. აი რატომ უნდა მიეცეს უპირატესობა ამ უახლოეს ათი წლის განმავლობაში მაინც გზატკეცილების და შარა-გზების მშენებლობას. რესპუბლიკის წინაშე ამჟამად გადაუდებელი ამოცანა სდგას გზატკეცილების საშუალებით მოსახლეობა დაუკავშიროთ სავაჭრო ეკონომიურ ცენტრებს და რკინისგზებს.

უგზოობით გამოწვეულ ჩვენს საერთო გაჭირვებას სათანადო ყურადღება მიაქცია საკავშირო ცაკის ა.-წ. თებერვლის სესიამ, რომელმაც მთელი ასი პროცენტით უპასუხა იმ კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა და მუშაობა საგზაო მშენებლობის დარგში.

შემდეგ მომხსენებელი მიმოხილავს უკეთებს საკავშირო, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების დღევანდელ მდგომარეობას და ამბობს, რომ არც ერთი მათგანი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. თუ რამდენად გაცვეთე ჩვენი გზები მოწმობს შემდეგი ციფრები: 1914—17 წელს გზატკეცილების სამოძრაო გამძლეობა უდრიდა 95 პროცენტს. 17 წლიდან ეს გამძლეობა ყოველ წლიურად ეცემა და 1921 წელს იგი აღწევს ათ პროცენტს. ამ წლიდან კი იგი თანდათან უმჯობესდება და ამჟამად იგი უკვე 30 პროცენტს უდრის. წელს, თუ ნორმალურად იწარმოებს თანხების მოწოდება, გზების გამძლეობა აყვანილ იქნება 35 პროცენტამდე. გაცვეთილია აგრეთვე გზატკეცილების ზედა პირი. გზების 60 პროცენტის ზედაპირის სისქე, რომელიც ჩვეულებრივ 7 დიუმს უნდა უდრიდეს, ამჟამად უდრის 0-3,5 დიუმს, 30 პროცენტის—3 ნახ.—2—5 დიუმს, 8 პროცენტის—5—7 დიუმს, ხოლო 2 პროცენტის 7 დიუმს. ხელოვნურ ნაგებობათა—ხიდების, მილების, თხრილების და გალერების მდგომარეობა ამჟამად ისეთია, რომ მათი 30 პროცენტი მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას. ნაპირების გასამაგრებელი ნაგებობანი მიმდინარე წლისათვის აღდგენილ იქნენ და ეხლა საჭიროა ზრუნვა მათი სრული განახლებისათვის. სამოქალაქო შენობები ალაგ კაპიტალურ რემონტს მოითხოვენ, ხოლო ალაგს სრულ აღდგენას. შარა-გზები კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაშია და ხიდების უქონლობის გამო მათზე მოგზაურობა ყველგან უხიფათო არ არის.

ჩვენი საგზატკეცილო გზების მდგომარეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იწარმოებს თანხების მიწოდება საგზაო მშენებლობისათვის. 1923—24 წელს საკავშირო გზების საჭიროებისათვის გამოთხოვილი იყო 3.400.000 მანეთი, ფაქტიურად მიღებულ იქნა 1.300.000 მანეთი, 1924—25 წელს გამოთხოვილი იყო 4 მილიონი მანეთი, მოვცეცა 1.550.000 მანეთი, 1925—26 წელს გამოთხოვილი იყო 8.400.000 მანეთი, ფაქტიურად მივიღეთ 1.930.000 მანეთი, ანუ 23 პროცენტი. მიმდინარე წლისათვის გამოთხოვილია 10.300.000 მანეთი, ბიუჯეტით კი დამტკიცებულია 2.930.000 მანეთი. ცხადია ეს თანხები ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. 1914—17 წელს თვითეულ ვერსზე იხარჯებოდა 514 მანეთი,—1918 წელს ეს თანხა 140 მანეთამდე შემცირდა, ხოლო 1921 წელს 14 მანეთამდე; 1922—23 წლიდან იწყო ზრდა—ამ წელს თვითეულ ვერსზე იხარჯებოდა 315 მანეთი, 1923—24 წელს—616 მანეთი, 1924—25 წელს—739 მან. 1925—26 წ. 601 მან., ხოლო 1926—27 წლისათვის ყოველ ვერსზე განზრახულია დაიხარჯოს—824 მან.

გზებისათვის გადადებული თანხები იზრდება, მაგრამ არა ისეთი ტემპით, როგორც მოითხოვს ჩვენი საჭიროება.

ჩვენი გზების რეალური მდგომარეობის მიხედვით ჩვენ გამოვითხოვეთ 10 მილიონი მანეთი, ხოლო ბიუჯეტით დაგვიმტკიცეს მხოლოდ იმ თანხის 30 პროც. თუ ფინანსების მოწოდება იმ დონეს ვერ გასცდა, ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ გზა-ტკეცილების დღევანდელ მდგომარეობას.

უფრო უარესია რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზატკეცილების ფინანსიური მდგომარეობა, რომლის უზრუნველსაყოფად ბიუჯეტში შეტანილი არ არის სათანადო თანხა.

1923—24 წელს ამ გზებს მოხმარდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 10 პროცენტიანი დანარიცხები. ხულ 1.100.000 მანეთი; შემდეგ წელში ეს დანარიცხი გაუქმებულ იქნა და 1925—26 წელს მახზე დაიხარჯა 1.700.000 მანეთი სასუბვენციო ფონდიდან. მიმდინარე წლისათვის ამავე წყაროებიდან განზრახულია დაიხარჯოს კიდევ 1.700.000 მანეთი. ცხადია, რესპუბლიკანურ გზატკეცილებს ვერ უზრუნველყოფს ასეთი მცირე თანხა. უფრო უნუგეშოა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების ფინანსიური მდგომარეობა.



ამხ. შ. ელიავა

მარეობა. 1924—25 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 750 ათასი მანეთის დახარჯვა, ნამდვილად კი დაიხარჯა—330 ათასი მანეთი, 1925—26 წელს—702.000 მანეთი, ხოლო ფაქტიურად დაიხარჯა—497 ათ. მანეთი, ანუ საშუალოდ თვითეულ ვერსზე—50 მანეთი; ყოველი ვერსის შეკეთებას კი სჭირია მინიმუმი—200 მანეთი.

ეხლა ჩვენ ვამუშავებთ საგზაო მშენებლობის 5 წლიან საპერსპექტივო გეგმას, რომლის მიხედვით გზების აღდგენას და დაცვას სჭირია 65 მილიონი მანეთი. ხოლო ყოველწლიურად ვღებულობთ 3 მილიონ მან. 5 წლის განმავლობაში მივიღებთ არა უმეტესს 15 მილიონი მანეთისა. ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება სხვა საშუალებების და ღონისძიებების გამოძებნა, რომ უზრუნველვყოთ საგზაო მშენებლობის მომავალი განვითარება.

უპირველესად ყოვლისა, საჭიროა შემოსავლით და განვამტკიცოდ ბიუჯეტით თანხების გადადება, როგორც საკავშირო, ისე რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზატკეცილებისათვის. საგზაო მშენებლობისათვის იმავე წესით უნდა იდებოდეს თანხები, როგორც მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის აღორძინებისათვის, რადგან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის გზებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. არავითარი გეგმიანობის განხორციელება არ შეიძლება, თუ გეგმაში შეტანილი არ იქნა თანხები საგზაო საჭიროებისათვის.

გზების სამი კატეგორიის მიხედვით ჩვენ გვაქვს მათი მმართველობის სამგვარი წესი. საკავშირო მნიშვნელობის სტრატეგიულ გზატკეცილებს მართავს „ზაკომეხი", რომელიც აგრეთვე საერთო მეთვალყურეობას უწევს დანარჩენ გზატკეცილებსაც. ყველა გზების გამგეობა დაკისრებული აქვს რესპუბლიკანურ აპარატებს. ადგილობრივ მნიშვნელობის გზები კი აღმასკომების ხელშია, რომელიც აუცილებლად უნდა დაექვემდებარონ გზათა მიმოსვლის კომისარიატის უშუალო ზედამხედველობას იმ მიზნით, რომ დაწესებულ იქნეს კონტროლის ერთგვარი წესი.

შემდეგ მომხსენებელი გადადის იმ კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომელიც ადგილობრივ უნდა იქნეს მიღებული საგზაო მშენებლობის გასაძლიერებლად. გასულ წელს გამოცემულ იქნა კანონი საგზაო ბეგარის შესახებ. ეს კანონი პირობითია და ემყარება ნებაყოფლობის პრინციპს; გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ კანონის მიხედვით შესრულებული სამუშაოების ღირებულება უდრის 450.000 მანეთს. ეს თანხა საკმარისი არ არის. ცხადია. სავსებით გამოუყენებული არ ყოფილა ის მუშა-ხელი, რომლის სამუშაოდ გამოწვევა გათვალისწინებული იყო კანონით. ნებაყოფლობითი პრინციპი ჩვენი სინამდვილისათვის შეუფერებელია. ხელისუფლებამ უფრო ენერგიულ ღონისძიებას უნდა მიმართოს, უნდა გამოიცეს კანონი, რომელიც ყოველ მეურნე გლეხს ვალდებულს გახდის თავისი სამეურნეო მდგომარეობის მიხედვით გაიღოს დღეების განსაზღვრული რიცხვი. ასეთი კანონი არსებობს ყოველ ევროპიულ სახელმწიფოებში. ამ კანონის წინააღმდეგი არ იქნება ჩვენი გლეხობის ღარიბი ნაწილი, რომელიც განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან და რომელიც ვერ იტყვის უარს გადასდოს რამდენიმე დღე თავისივე საჭიროებისათვის. უნდა მოისპოს აგრეთვე ჩვენი გზებისათვის თანხების შემთხვევითი გაღება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილ იქნეს მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს გზებისათვის განსაზღვრულ თანხების გადადებას. ამ ორ მთავარ ღონისძიებას ესაჭიროება კანონმდებლობითი დადასტურება და ჩამოყალიბება. შემდეგი ღონისძიება—ეს არის საფუთო გადასახადის გამოყენება საგზაო მშენებლობისათვის. ზოგს საბჭოთა რესპუბლიკაში საფუთო შემოსავალი ხმარდება უკვე საგზაო მშენებლობას. ჩვენშიდაც ასე უნდა მოხდეს. გარდა ამისა, გამონახულ უნდა იქნეს აგრეთვე სხვა მიზნობრივი წყაროები. შემოღებულ უნდა იქნეს იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების დაბეგვრა, რომელნიც გზებით სარგებლობენ. ამ ღონისძიებასთან ერთად უნდა გაძლიერდეს გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის ორგანოების როლი ტექნიკური კონტროლისა და ტექნიკური ხელმძღვანელობის დარგში. საბოლოოდ უნდა მოისპოს საგზაო მშენებლობისადმი ფორმალური მიდგომა.

თუ ჩვენ გავაძლიერებთ შემოსავალს იმ წყაროებიდან, რომელიც დასახელებული იყო სახელდობრ—საფუთო გადასახადიდან, სავაჭრო ორგანიზაციების დაბეგვრიდან, სარკინისგზო ტვირთ-ბრუნვიდან, გავაძლიერებთ (ბეგარის საშუალებით) გლეხობის მონაწილეობას საგზაო მშენებლობაში, უახლოეს წლებში დიდ შედეგებს მივაღწევთ. მხოლოდ ამ ღონისძიებების გატარებით შევიძლია დავსძლიოთ ის ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას საგზაო მშენებლობის დარგში. სხვა გზით, რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ვერ შევსძლებთ ვერც ფასების დაკლების გატარებას, ვერც საქონლის ბრუნვის გადიდებას, ვერც ჩვენი მეურნეობის აღორძინებას. (ტაში).

ამხ. ელიავას მოხსენებით დასრულდა 7 აპრილის დილის სხდომა.

7 აპრილის საღამოს სხდომა

კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო

7 აპრილის, საღამოს სხდომაზე, გაიხსნა კამათი ამხ. შ. ელიავას მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ამხანაგებმა: **ბერიამ** (ზუგდიდი), **თონიანცმა** (განჯა), **მირ-ბაში კასუმოვმა** (სალიანის მაზრა), **მოძღვრიშვილმა** (ქუთაისის მაზრა), **გაჯიევმა** (კუბა), **გოდერძიანმა** (ზანგეზური), **ჯორჯაძემ** (ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველო), **ტაგიევმა** (აზერბეიჯანი), **მაჭაოშვილმა** (შორაპნის მაზრა), **ბეგლარბეგოვმა ავანესიანმა** (სომხეთი), **აბდულაევმა** (ზაქათალა), **გ. სტურუამ** (აფხაზეთი), **ჟვანიამ** (ზუგდიდის მაზრა), **ჰუსეინ ჰუსეინოვმა** (ნახიჩევანი) და **თედეევმა** (სამხ. ოსეთი).

ორატორები ეხებოდენ გზების უმწეო მდგომარეობას. გზების შეკეთება არ სწარმოებს, ან თუ სწარმოებს ისე მცირე, რომ გავლენას ვერ ახდენს მათზე. ორატორები აღნიშნავდენ აგრეთვე კრედიტების სიმცირეს და მოითხოვდენ საგზაო მშენებლობისათვის მეტი თანხების გადადებას. ისინი უსაყვედურებდენ ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველოს, რომ ეს დაწესებულება სათანადოთ არ ზრუნავს გზების კეთილმოწყობაზე. ზოგიერთი ორატორები აღნიშნავდენ გლეხობის აქტივობას საგზაო მშენებლობის დარგში და მიუთითებდენ იმ გარემოებაზე, რომ ეს აქტივობა სათანადოთ ვერ არის გამოყენებული. ამავე დროს უგზოობის გამო ფრიად შეფერხებულია სოფლის მეურნეობის განვითარების საქმე, რადგან ზოგიერთი მაზრები თვეობით მოწყვეტილი არიან ცენტრს.

ამხ. ჯორჯაძემ (ამ.-კავკასიის გზათა სამმართველო) ნაწილობრივ პასუხი გასცა ორატორებს. გზების სამოცი პროცენტი, განაცხადა მან, ისეთ მდგომარეობაშია, რომ თუ არ იქნა მიღებული ზომები მათ შესაკეთებლად, ახლო მომავალში ისინი სრულიად გაფუჭდებიან. უპასუხებს რა საყვედურზე იმის შესახებ, თითქოს გზათა სამმართველოს არ ყავს სათანადო ტექნიკური ძალები, ორატორი აღნიშნავს, რომ ეს საყვედური ვერ არის საფუძვლიანი. სამმართველოს კარგი კვალიფიკაციის ინჟინრები და ტექნიკოსები მოეპოვება, რომელთაც სურთ და კიდევაც შეუძლიათ მუშაობა. ვერ კეთდება ის, რაც გასაკეთებელია, ეს აიხსნება იმით, რომ ნივთიერი საშუალებები მცირე მოგვეპოვება, ხოლო გასაკეთებელი კი ძალიან ბევრია. დასასრულ ორატორი აღნიშნავს, რომ ადგილებმა მეტი დახმარება უნდა აღმოუჩინოს სამმართველოს გზების შეკეთების საქმეში.

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. შ. ელიავას საბოლოო სიტყვა

ადგილებიდან გამოსული ამხანაგები, ამბობს ამხ. ელიავა, უმთავრესად ეხებოდენ საკითხებს თავიანთ რაიონების ინტერესების მიხედვით. ეს სავსებით გასაგებია, მე კარგათ მესმის ამხანაგების გოდება იმის შესახებ, რომ მთელ რიგ ადგილებში საგზაო საქმე ვერ არის რიგიანად. აქ სამხრეთ-ოსეთიდან გამოვიდა ამხანაგი თედეევი, რომელმაც განაცხადა, რომ იქ გზების შეკეთებაზე არ სჭირდებათ ლაპარაკი, რადგან გზები საერთოდ არ არის. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არის, მაგრამ ისიც უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, რომ იმაზე მეტს, რასაც ჩვენ წელს გვაძლევს სახელმწიფო თავის ბიუჯეტიდან, მიმდინარე წლის განმავლობაში ვერ მივიღებთ. მე უკვე ავღნიშნე აქ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში საგზაო მშენებლობა თანდათანობით მეტ ადგილს იჭერს. ასე მაგალითად, შარშან საგზაო მშენებლობაზე გაოიდო მეტი თანხა, ვიდრე შარშანწინ. წელს გადადებულია უფრო მეტი, ვიდრე იყო შარშან, გაისათ ალბათ ეს თანხა კიდევ იყო შარშან, გაისათ ალრიგად ჩვენ თანდათანობით უფრო და უფრო გავაფართოვებთ ამ საქმეს, მაგრამ ისიც არ კმარა. მე ვფიქრობ, რომ გარდა სახელმწიფოს ბიუჯეტისა აქ კიდევ სხვა ზომებიც არის საჭირო. მაგრამ არა ისეთი, რომლებზედაც აქ ლაპარაკობდენ ამხ. ბერია და ჟვანია (ორივე ზუგდიდის მაზრიდან). ზოგიერთები მოითხოვდენ, რომ ჩვენ გავაუქმოთ ამიერ-კავკასიის გზათა სამმართველო, რადგან მათი აზრით ეს ორგანო ცუდათ მუშაობს. ამხანაგი ჟვანია მოითხოვს, რომ ჩვენს საგზაო ბეგარაში გავიყვანოთ სოფლის მასწავლებლები. რასაკვირველია, ჩვენ ამას ვერ ვიზამთ, რადგან მასწავლებლობა, რომ გზებზე გავიყვანოთ სამუშაოთ, მაშინ სკოლებში ბავშვებს ვინღა უნდა ასწავლოს?! ვერ გავაუქმებთ აგრეთვე ვერც გზათა სამმართველოს, სადაც გამოცდილი, საქმის მცოდნე ტექნიკური ძალები მოგვეპოვება, რომლებიც ჩვენთვის ფრიად საჭირონი არიან.

ჩვენ გვაქვს ნაკლი, ამ ნაკლს კიდევაც ვგრძნობთ, ჩვენ დღემდის არა გვაქვს მაგალითად ახალი საგაკვეთილო დებულება (урочное положение) და, ვსარგებლობთ ძველით. მხოლოდ ეხლა მუშავდება ეს დებულება საკავშირო საგეგმო კომისიაში. არის სხვა ნაკლიც. აქ ლაპარაკი იყო აგრეთვე იმაზე, თითქოს აპარატის ხელფასზე დიდი თანხები იხარჯება. ეს არ არის მართალი, ბიუჯეტით სისწორით არის გათვალისწინებული, როგორც საოპერაციო, ისე ხელფასის ხარჯები. არას შემთხვევაში არ შეიძლება ხელფასზე დაიხარჯოს საოპერაციო თანხა. უპასუხებს რა იმ ორატორებს, რომელიც სჩიოდენ საგზაო აღმშენებლობისათვის საჭირო იარაღების სიმცირეზე, ორატორი აღნიშნავს, რომ ეს ჩივილი სამართლიანია. იარაღების სიმცირე საგრძნობია, მთელ ამიერ-კავკასიაში მაგალითად სულ 22 სატკეპნი მანქანა მოიპოვება. ეს რასაკვირველია არ კმარა.

რას უნდა მიექცეს მომავალში მთავარი ყურადღება? უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ საგზაო მშენებლობის ფინანსიური მხარის მოწესრიგებას, საფუთო გადასახადი უნდა გადაეცეს სათანადო ორგანოებს და უნდა მოხმარდეს ამ საქმეს. გარდა ამისა, ყრილობამ უნდა დაადგინოს, რომ საგზაო მშენებლობის ბიუჯეტი გარკვეული და მტკიცე იყოს. საჭიროა, ამ საქმეში ჩათრეულ იქნეს ავტო-ტრანსპორტი და ის ორგანიზაციები, რომლებიც დღეს სარგებლობენ გზებით, მაგრამ მათ შეკეთებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ. უნდა იქნეს გამოცემული კანონი, რომლის ძალითაც გარკვეულ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს მოსახლეობის მონაწილეობა საგზაო აღმშენებლობაში.

ვფიქრობ, რომ ყრილობა სათანადო ყურადღებას მიაქცევს ამ საკითხს და მიიღებს დადგენილებას, რომელიც ხელს შეუწყობს საგზაო აღმშენებლობის შემდეგ განვითარებას, (ტაში).

ამხ. ელიავას საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია კომისია 22 დელეგატის შემადგენლობით, რომელსაც დაავალა ამ საკითხის გარშემო რეზოლიუციის შემუშავება. ამის შემდეგ საღამოს სხდომა დაიხურა.

სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობა

ხარკოვი, 7 აპრ. გაიხსნა სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობა. ყრილობა გახსნა ამხ. პეტროვსკიმ. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულია 95 კაცი, მათ შორის ამხ. პეტროვსკი, ჩუბარი, კაგანოვიჩი, სკრიპნიკი, ზატონსკი და სხვ. მეცნიერთაგან პრეზიდიუმში შევიდენ აკადემიკოსი კორჩაკ ჩეპურკოვსკი და პროფესორი მაკოვსკი. საპატიო პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, ბუხარინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი ტომსკი, რუძუტაკი, ორჯონიკიძე და კუიბიშევი. შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის კომპარტიის ცეკას გენერალურმა მდივანმა კაგანოვიჩმა. საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. რადჩენკო. (ადს)

უკრაინის მთავრობის ანგარიში

ხარკოვი, 7 აპრილი. დღეს დილიდან დაიწყო სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობის საქმიანი მუშაობა.

უკრაინის მთავრობის მოქმედების შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჩუბარი. მომხსენებელი შეჩერდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე და განმარტა უკრაინის მთავრობის მიერ ჩატარებული მტკიცე კლასიური და ნაციონალური პოლიტიკის შინაარსი, რომელიც მდგომარეობდა უკრაინიზაციის გატარებაში და ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების უზრუნველყოფაში. შემდეგ ამხ. ჩუბარი აღნიშნავს ანტისემიტიზმთან ბრძოლის საჭიროებას, ვინაიდან თეთრგვარდიელები ყოველი მხრივ ისარგებლებენ ეროვნებათა შორის ჩამოვარდნილი მტრობით და შურით.

ებრაელთა დასასახლებლათ მთავრობის მიერ შესაფერი მიწის ფონდის გამოყოფა, მომხსენებლის სიტყვით, თეთრგვარდიელებმა და საბჭოთა ხელისუფლების სხვა მტრებმა—გამოიყენეს თავიანთი უტიფარი სააგიტაციო მიზნებისათვის. საბჭოთა ხელისუფლება კი, შეძლების დაგვარათ ეხმარება ყველა მათ, ვისაც უნდა თავისი ცხოვრება და მეურნეობა მოაწყოს ახალ საფუძვლებზე.

შემდეგ ამხ. ჩუბარი შესდგება მეურნეობის საკითხზე და ამბობს, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ამჟამად დამდგარია საკითხი ინდუსტრიალიზაციის შესახებ. ინდუსტრიალიზაციის გატარება დამოუკიდებლათ გახდის საბჭოთა კავშირს უცხოეთიდან. ამ მხრივ, მომხსენებლის აზრით, უკვე არის გამარჯვების სრული იმედები: შენდება „დნეპროსტროი", თანდათან მტკიცე ხასიათს ღებულობს ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა და სხ.

ფასების დაკლების კამპანია, ინდუსტრიალიზაცია და სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაცია, ხელს შეუწყობს, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახულ გეგმათა განხორციელებას. (ადს).

ბელორუსიის საბჭოთა ყრილობა

ამხ. ადამოვიჩის მოხსენება

მინსკი, 7 აპრილი. სრულიად ბელორუსიის საბჭოთა ყრილობაზე მთავრობის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ბელორუსიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ადამოვიჩმა. „ბელორუსიის სახ. კომისარიატები, განაცხადა ადამოვიჩმა, უმთავრესად აწარმოებენ მუშაობას გეგმიანობის და კონტროლის დარგში. მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ადგილებზედ. რაიონებს ეძლევათ მეტი დამოუკიდებლობა და ინიციატივა. რაიონებმა რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოიყენონ თავისი უფლებები და უნდა განამტკიცონ კავშირი მასებთან. ცენტრალურ აპარატების შემცირებასთან ერთად შემცირებულ იქნება ბელორუსიის ოლქების რიცხვიც. ახლო მომავალში განზრახულია 4 ოლქის გაუქმება. ეს ოლქები ნაწილ-ნაწილად შეუერთდებიან მეზობელ ოლქებს. გაუქმებულ იქნება აგრეთვე 12 რაიონი. სახალხო კომისარიატის რეორგანიზაცია, ზოგიერთ ოლქების და რაიონების გაუქმება საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ხარჯები აპარატის შენახვაზე და გადარჩენილი საშუალებები მოვახმაროთ სამრეწველო აღმშენებლობის განვითარებას". (ადს).

ყოფ. თავად დოლგორუკოვის დასკვნა

ხარკოვი, 7 აპრილი. მთავრობის საანგარიშო მოხსენებაში სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე ამხ. ჩუბარმა, სხვათაშორის, სთქვა:

„დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, მეფე ნიკოლოზის ბიძამ, გამოგზავნა ჩვენში თავისი აგიტატორის სახით თავადი დოლგორუკოვი. ის ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, დაათვალიერა რა ხდება ჩვენში, დაბრუნდა საზღვარ-გარეთ, გააკეთა მოხსენება და კვლავ წამოვიდა, ეხლა უკვე ხარკოვში. იმუშავა აქ დაახლოვებით თვენახევარი, შემდეგ კი დააპატიმრა სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ და ეხლა ჩვენ გვიამბობს თავის საქმეებს. დოლგორუკოვი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენში ნიადაგი არ არის ბურჟუაზიული ხელისუფლების აღდგენისათვის. (ადს).

ნედლეულის მიწოდება შინა-მრეწველებისათვის

მოსკოვი, 7 აპრ. საკავშირო სახ. მეურ. უმაღ. საბჭოსთან გაიმართა თათბირი, რომელმაც განიხილა საკითხი სამრეწველო კოოპერაციისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდების შესახებ. ამიერ-კავკასიის საშინამრეწველო აბრეშუმის წარმოების ნედლეულით მომარაგების შესახებ თათბირმა დაადგინა, რომ სახელმწიფო აბრეშუმის მრეწველობის ზრდის გამო, ნედლეულით მომარაგოს მხოლოდ კოოპერატიულად გაერთიანებული შინამრეწველნი. (ადს)

ჩინელ მილიტარისტების თავხედობა

თავდასხმა საბჭოთა საელჩოს თანამშრომლების ბინებზე პეკინში

კანტონის მთავრობის წარმომადგენლის პროტესტი მომხდარ ამბების გამო

ინგლისი დახმარებას სთხოვს იაპონიას ჩრდ. ჩინეთში უცხოელთა დასაცავად

გერმანელი მენშევიკები კანტონის მთავრობის ცნობის წინააღმდეგ

თავდასხმა

საბჭოთა თანამშრომლების ბინებზე პეკინში

როგორ მოხდა თავდასხმა

მოსკოვი, 7 აპრილი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობა:

„6 აპრილს პეკინში შეიარაღებული ჩინელი ჯარისკაცები და პოლიცია თავს დაესხნენ იმ შენობებს, რომლებშიაც ცხოვრობდენ საელჩოს თანამშრომლები. ვეებერთელა ეზოს, რომელიც ათზე მეტ შენობას იტევს თანამშრომლების ბინებთან ერთად, ალყა შემოარტყეს პოლიციის და ჯარისკაცების რაზმებმა. ეზო და ეს შენობები მდებარეობენ საელჩოს გვერდით, მხოლოდ შესახვევი ჰყოფს მათ ერთმანეთისაგან. შეიარაღებული რაზმები გამოჩნდენ დაახლოვებით დილის 10½ საათზე. მათ ერთბაშად შეკრეს ყველა გასავალი და არავინ არ გაატარეს არც იქით—არც აქეთ. პოლიცია შეუდგა ჩხრეკას ყველა შენობებში, რომლებიც ამ ეზოში მდებარეობდენ, მათ შორის თანამშრომლების კლუბშიაც. ჩხრეკის დროს ცეცხლი გაჩნდა ერთ-ერთ სახლში. ჯარისკაცები და პოლიციელები ჩხრეკასთან ერთად ძარცვავდენ თანამშრომლების ბინებს.

თუმცა, როგორც სჩანს, ჩხრეკა კიდევ არ არის დამთავრებული, მაგრამ ჩინელმა ჯარისკაცებმა გამოიტანეს კლუბის ბიბლიოთეკა და პლაკატები, რომლებიც იქ ნახეს. ამავე დროს დაპატიმრებულ იქნენ ჩინელი მოსამსახურეები და ზოგიერთი რუსი თანამშრომელიც. თავდასხმის შესახებ დაწვრილებით ცნობები კიდევ არ არის მიღებული, გამოურკვეველია ვინ და რა პირობებში იქნა დაპატიმრებული.

საბჭოთა კავშირის საკონსულო შანხაიში ალყა შემორტყმულია

შანხაი, 7 აპრილი. უცხოელების ცნობით, საბჭოთა კავშირის საკონსულო შანხაიში ალყა შემორტყმულია შეიარაღებულ რუს თეთრგვარდიელების და ინგლისელ ჯარისკაცების რაზმების მიერ, რომლებიც ჩხრეკენ შემსვლელთ და გამომსვლელთ.

საბჭოთა კონსულის პროტესტი

შანხაი, 7 აპრილი. საბჭოთა კავშირის გენერალურმა კონსულმა შანხაიში ამხ. ლინდემ პროტესტი განუცხადა საკონსულო კორპუსის უხუცეს ჩინეთის გარეშე საქმეთა კომისარს. (ადს).

გარეშე საქმეთა კომისარიატის დეპეშა

მოსკოვი, 7 აპრილი. როცა მიღებულ იქნა პირველი ცნობები თავდასხმის შესახებ, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა განმარტებისათვის მიმართა ჩინეთის საქმეთა რწმუნებულს ჩენს, რომელსაც არავითარი განმარტების მიცემა არ შეეძლო, რადგან არ იცოდა არაფერი თვით თავდასხმის ფაქტის შესახებ.

იმავე დღეს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა დეპეშა გაუგზავნა პეკინში გარეშე საქმეთა მინისტრს და საელჩოს თანამშრომლების თავდასხმის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო სთხოვა დაუყოვნებლივ ეცნობებია, თუ რა ხდება ჩვენს საელჩოს გარშემო პეკინში. ჯერ კიდევ არ არის მიღებული არავითარი განმარტება არც ჩინეთის საელჩოსაგან მოსკოვში, არც ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრისაგან. ამჟამად კიდევ ხარის მიღებული საკმაო ინფორმაცია იმის შესახებ, რაც მოხდა. კერძოდ გამოურკვეველია, თავდასხმა მოხდა ჩინეთის მთავრობის და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა ბრძანებით, თუ ეს ჩადენილია მუკდენელმა გენერლებმა. აგრეთვე გამოურკვეველია საკითხი, როგორ გაჩნდა პოლიციის და ჯარისკაცების შეიარაღებული რაზმი დიპლომატიური უბნის ტერიტორიაზე. საქმე იმაშია, რომ დიპლომატიური უბანი ხელშეუხებელია და შეიარაღებული ჩინელები, რომ არ ვილაპარაკოთ რამდენიმე ათეულ კაცისაგან შემდგარ რაზმებზე, მის ტერიტორიაზე მოხვდებოდენ მხოლოდ იმპერიალისტურ სახელმწიფოების—ინგლისის, შეერთებულ შტატების, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, ესპანეთის, ჰოლანდიის და ბელგიის უშუალო ნებართვით.

შეუმოწმებელ ხმების თანახმად, დიპლომატიური კორპუსის მეთაურმა ჰოლენდიის ელჩმა უდიდესეიკმა ზემოთჩამოთვლილ სახელმწიფოების სახელით ნება დართო ჩინელების რაზმს შესულიყო აღნიშნულ შენობებში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს მიერ მიღებულ ცნობებით, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული ინფორმაცია, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი თავს იკავებს საჭირო ნაბიჯებისაგან. (ადს).

ჩინეთის რევოლიუციონური მთავრობის წარმომადგენელი ამხ. ლინდესთან

შანხაი, 7 აპრილი. ძიან-სუს პროვინციის მთავრობის გარეშე საქმეთა კომისარმა გუოტ-აი-ჩიმ 8 ნახ. საათზე ინახულა საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული შანხაიში ამხ. ლინდე და უამბო შემდეგი: ის უფრო ადრე მოვიდა მასთან, მაგრამ ვერ მოახერხა შესვლა შანხაიში, რადგან ის გაჩხრიკეს პოლიციელებმა, რომელსაც ალყაშემორტყმული ჰქონდათ საკონსულოს შენობა. გოუტ-აი-ჩი გაემგზავრა ინგლისის კონსულთან ბერტონთან, მაგრამ უკანასკნელმა განუცხადა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცის. იქიდან გოუტ-აი-ჩი გაემგზავრა მუნიციპალიტეტის პოლიციის უფროსთან, სადაც მას გამოატანეს მხლებლები, რომელიც გოუტ-აი-ჩის მოჰყვა და ელოდებოდა მის გამოსვლას საელჩოდან. გოუტ-აი-ჩი ამ შემთხვევაში არ გაუჩხრეკიათ და ისე შემოვიდა საკონსულოს შენობაში. მან თავისი და მთავარსარდლის სახელით გამოსთქვა მწუხარება, მოიხადა ბოდიში პეკინში მომხდარ ამბების გამო, რომ ეს არის ჩრდილოელ მილიტარისტების აგონია. აქაური ამბები კი გოუტ-აი-ჩისათვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენს. ხვალ ის პირადათ პროტესტს განუცხადებს უცხოეთის კონსულებს და მიუთითებს იმაზე, რომ საბჭოთა საკონსულო იმყოფება ჩინეთის მთავრობასთან. არავის უფლება არ აქვს ასეთ ზომებს მიმართოს საბჭოთა საელჩოს მიმართ, მის დაუკითხავად და ნებადაურთველად. გოუტ-აი-ჩიმ თავისი და მთავარსარდლის სახელით უკიდურესი აღშფოთება გამოსთქვა იმის გამო, რაც მოხდა. საკონსულო კიდევ ალყაშემორტყმულია. წერილები და დეპეშები მიაქვს პოლიციას, მაგრამ საკონსულოში ჯერ კიდევ არ შეჭრილა ის. მდგომარეობა კვლავ გამწვავებული რჩება. (ადს).

ჩინეთი და იმპერიალისტები

მაკდონალდი „მოითხოვს"

ლონდონი, 6 აპრილი. რეიტერი იუწყება, რომ 6 აპრილს თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდმა გახსნა კამათი ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. მაკდონალდმა განაცხადა, რომ შანხაიში ჯარების გაგზავნა ძლიერ დააბრკოლა მოლაპარაკების შესაძლებლობას.

„რასაკვირველია, განაცხადა მაკდონალდმა—ნანკინში ადგილი ჰქონდა სამწუხარო ინციდენტებს, რომლებიც არ შეიძლება უშედეგოდ დარჩეს. მაგრამ გამოძიების მოხდენამდე, არავის არ შეუძლია გადაჭრით სთქვას, თუ რა მოხდა ნანკინში".

მაკდონალდმა კატეგორიულად მოითხოვა, რათა მთავრობა შეუდგეს ინციდენტის მოგვარებას გამოძიების დანიშვნის გზით.

„შეუძლებელია ჩინეთის პრობლემის გადაჭრა სამხედრო მეთოდებით. თუ ჩვენ ჩინეთის რევოლიუციას შევხვდებით ისე, როგორც შევხვდით რუსეთის რევოლიუციას მისი განვითარების პირველ პერიოდში, როცა დახმარებას ვაწვდიდით დენიკინს და კოლჩაკს, ჩვენ აღმოსავლეთის მიმართ მოვხვდებით ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიაც სამწუხაროდ ვიმყოფებით რუსეთის მიმართ".

სოლიდარობის დემონსტრაცია ბერლინში

ბერლინი, 6 აპრილი. 5 აპრილს მასიურ დემონსტრაციაში რომელიც მოაწყო გერმანიის კომპარტიამ ჩინეთის ნაციონალური მოძრაობასთან სოლიდარობის და ფაშიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, მონაწილეობა მიიღო 20.000 კაცმა, რომლებიც მწყობრი რიგებით მიემართებოდენ ქუჩებზე დროშებით და ორკესტრით. სიტყვები წარმოსთქვეს პიკმა და ტელმანმა, რომელთაც ხალხი მხურვალე ოვაციით შეხვდა. თავიანთ სიტყვებში მათ აღნიშნეს ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვებები და მიუთითეს ინტერვენციის საშიშროებაზე. ჩინეთის წარმომადგენლის ჩის გამოსვლა დამთავრდა ტელმანთან დაძმობილების სცენით. ტელმანს ჩიმ გადასცა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა გაერთიანების დროშა და აგრეთვე ჩინელ გლეხთა დროშა. მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები ჩინეთის რევოლიუციისათვის სოლიდარობის გამოცხადებით და აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუციები უნგრეთში, ბულგარეთში, პოლონეთში, ლიტვაში და იტალიაში გამეფებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ. არჩეულ იქნა დელეგაციები, რომელთაც უნდა გადასცენ პროტესტი ამ ქვეყნების საელჩოებს ბერლინში.

ინგლისი დახმარებას სთხოვს იაპონიას

შანხაი, 6 აპრილი. იაპონიის დეპეშათა სააგენტოს პეკინელი კორესპონდენტის ცნობით, ინგლისის ელჩმა პეკინში მიმართა თხოვნით იაპონიის ელჩს, რომ იზრუნოს უცხოელთა დაცვა ჩრდილოეთ ჩინეთში. ზუსტად ასევე ინგლისმა იკისრა უცხოელთა დაცვა შანხაის რაიონში.

„ინგლისიდან გაგზავნილი დამატებითი ჯარები,—ნათქვამია ცნობაში,—მოვლენ ჩინეთში მხოლოდ ივნისში, და ამიტომ ინგლისს სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა დახმარების თხოვნისა იაპონიისაგან".

ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იაპონია ჩრდილოეთ-ჩინეთში არ სთვლის მდგომარეობას იმდენად სერიოზულად, რომ საჭირო იყოს ჯარების გაგზავნა, და ამიტომ იაპონია არ აპირობს დადებითი პასუხის გაცემას ინგლისის თხოვნაზე. (ადს).

ამერიკელი ვაჭრები მოითხოვენ ინტერვენციას ჩინეთში

შანხაი, 7 აპრილი. შანხაიში მცხოვრებ ამერიკელ ვაჭრების ჯგუფმა ამერიკის სავაჭრო პალატას შანხაიში წარუდგინა დეკლარაცია, რომელშიაც მოითხოვს შეერთებული შტატების შეიარაღებულ ინტერვენციას სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებით. როგორც გამოირკვა, დეკლარაცია შედგენილი ყოფილა პალატის აღმასრულებელი კომიტეტის მიერ და არ ყოფილა წარდგენილი დასამტკიცებლად პალატის წევრებისათვის, რომელთა რიცხვი 100-ს აღემატება.

პალატის აღმასრულებელი კომიტეტი შესდგება მსხვილი წარმომადგენლებისაგან. დეკლარაცია გადაეცა უცხოეთის გაზეთების შანხაელ კორესპონდენტებს იმ პირობით, რომ ეს დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნება შანხაიში. მიუხედავად ამისა, ინგლისის ერთ-ერთმა გაზეთმა დაარღვია თავისი დაპირება და არ გამოაქვეყნა დეკლარაცია. (ადს).

გერმანიის სოციალ-დემოკრატია და ნაციონალური მთავრობის ცნობის საკითხი

ბერლინი, 7 აპრილი. 5 აპრილს გერმანიის რაიხსტაგის სხდომაზე კომუნისტმა დეპუტატმა შტეკერმა დაასაბუთა კომფრაქციის წინადადება გერმანიის მიერ ჩინეთის ნაციონალური მთავრობის ცნობის შესახებ და პროტესტი იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში.

შტეკერმა განაცხადა: „გერმანიის საგარეო პოლიტიკა კუდში მისჩანჩალებს ინგლისს. ამას ამტკიცებს გერმანიის მიერ ვაშინგტონის შეთანხმებაზე ხელისმოწერა, ჰამბურგიდან ინგლისის ტრანსპორტის გაგზავნა ჩინეთში ინგლისის აგენტებისათვის, შტრეზემანის მიერ გაზეთებისათვის მიცემული წინადადება არ გააშუქონ ნაციონალური ჯარების გამარჯვება და შანხაის გერმანელთა კოლონიის მიერ მადლობის გაგზავნა ინგლისის მთავრობისათვის".

დასასრულ შტეკერმა დაგმო გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა ჩინეთის საკითხში.

ბრეიტშეიდის (სოციალ-დემოკრატი) სიტყვამ გამოააშკარავა წინანდელ დეკლარაციების ორპირობა სოციალ-დემოკრატიის თანაგრძნობაში ჩინეთის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობისადმი.

ბრეიტშეიდმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატია უარს ამბობს იმ გზით სიარულზე, რომელიც შეიძლება საბედისწერო გახდეს გერმანიისათვის.

„ამის გამო,—სთქვა ბრეიტშეიდმა,—სოციალ-დემოკრატია ვერ დაეთანხმება კანტონის მთავრობის ცნობაზე. სწორედ ასევე გერმანიის სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლია მხარის დაჭერა კომუნისტური ფრაქციის წინადადებისათვის პროტესტის გამოცხადების შესახებ სახელმწიფოთა იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ჩინეთში, ვინაიდან გერმანიის რეიხსტაგს არა აქვს საშუალება ცხოვრებაში გაატაროს თავისი მოთხოვნილებები" (ადს).

პოლიციის ამუშავება

ხარბინი, 7 აპრილი. გავრცელებული ხმების გამო იმის შესახებ, რომ თითქოს აღმოსავლეთ ჩინეთის სამი პროვინციის განსაზღვრულ ადგილში არსებობდეს საგაფიცვო კომიტეტი ამ რაიონებში გაფიცვების მოწყობის მიზნით, პოლიციამ უკანასკნელ ხუთ დღის მოხდინა რაიონის პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ჩხრეკა.

ჩხრეკის დროს პოლიციამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა (ადს).

საფრანგეთის პროფმოძრაობის გაერთიანებისათვის

საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირების მოწოდება

პარიზი, 6 აპრილი. შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ გამოაქვეყნა მოწოდება მუშების მიმართ, რომელშიაც ნათქვამია:

„საფრანგეთის პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის მიზნით, შრომის კონფედერაციამ მნიშვნელოვანი მსხვერპლი გაიღო. მიუხედავად ამისა, შრომის რეფორმისტულ კონფედერაციის ბელადებმა შეურიგებელი პოზიცია დაიკავეს; მათ სურთ უნიტარულ კონფედერაციის გაწმენდა ზოგიერთ წევრებისაგან ორივე ორგანიზაციის გაერთიანების დროს და აპირებენ, აგრეთვე იმ წევრების გამორიცხვას თავის ორგანიზაციიდან, რომელნიც მთლიანი ფრონტის მომხრე არიან.

შრომის უნიტარულ კონფედერაციის არც ერთი წევრი არ დასთანხმდება რეფორმისტულ კონფედერაციაში ინდივიდუალურად შესვლაზე. საფრანგეთის პროფესიონალურ მოძრაობის მთლიანობის ბედი ამჟამად დამოკიდებულია მუშათა მასებისაგან, რომელნიც შედიან რეფორმისტულ კონფედერაციაში. მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილებების განხორციელება მჭიდროდ დაკავშირებულია უნიტარულ რეფორმისტულ მუშათა მთლიანი ფრონტის შექმნასთან.

რეფორმისტულ კონფედერაციის რეზოლიუცია

პარიზი, 6 აპრილი. შრომის უნიტარულ კონფედერაციის ნაციონალურმა საბჭომ, კაპიტალისტების სასტიკი იერიშების გამო მუშათა კლასის წინააღმდეგ, დაადგინა წინადადება მისცეს შრომის რეფორმისტულ კონფედერაციას მოხდეს ორივე ორგანიზაციის გაერთიანება იმ პირობით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ფართოდ წევრთა აზრის და კრიტიკის თავისუფლება. შრომის რეფორმისტულ საყოველთაო კონფედერაციის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში შრომის უნიტარულ კონფედერაციასთან გაერთიანების საკითხის შესახებ, ნათქვამია:

„ღებულობს რა შრომის უნიტარულ კონფედერაციის წინადადებას ორივე კავშირის გაერთიანების შესახებ, საბჭო ფიქრობს, რომ უნიტარულ კონფედერაციის წევრები მიმართავენ თხოვნით მათი მიღების შესახებ შრომის საყოველთაო კონფედერაციის სათანადო კავშირებს. კონფედერაციის გაერთიანება არ შეიძლება განსაზღვრული იქნეს არავითარი სხვა წესებით, გარდა კონგრესების გადაწყვეტილებათა და შრომის საყოველთაო კონფედერაციის წესდებისა". საბჭო აცხადებს, რომ კონფედერაციას არასოდეს არ შეუზღუდავს აზრთა თავისუფლება, მაგრამ ის ვერ დაუშვებს პოლიტიკურ პარტიების და უცხო ჯგუფების ჩარევას კავშირის ცხოვრებაში.

ბელგიის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 6 აპრილი. ბრიუსელში შესდგა ბელგიის კომპარტიის კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ასზე მეტი დელეგატი. საორგანიზაციო საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა **ჟენომ**, რომელმაც აღნიშნა პარტიის გავლენის ზრდა, რაც სხვათა შორის გამოიხატა ნაწილობრივ გამარჯვებაში უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე, და აგრეთვე იმაში, რომ პარტიის წევრთა რიცხვი 25 პროცენტით გაიზარდა.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გომინდანის ცეკას, მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბელგიიდან რევოლიუციონერ უცხოელ მუშების გადასახლების და ვრანგელის მომხრეებისათვის თავშესაფარის მიცემის წინააღმდეგ.

პროფკავშირებში მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ჟაკემოტმა**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მასებში იზრდება უკმაყოფილება რეფორმისტების მიმართ. მან განაცხადა, რომ საჭიროა დაახლოვება მთლიანობის ჯგუფებთან, მაგრამ იმავე დროს წარმოებულ უნდა იქნეს ბრძოლა პროფკავშირების პოლიტიკის გარეშე დგომის წინააღმდეგ.

საკო და ვანცეტი

ჯერ კიდევ ციხეში არიან

ნიუ-იორკი, 6 აპრილი. მასაჩუზეტის შტატის უზენაესმა სასამართლომ უარყო საკო და ვანცეტის დამცველთა შუამდგომლობა საქმის გადათვალიერების შესახებ და დაამტკიცა წარსულ წელს გამოტანილი დადგენილება. ეს დადგენილება გამოტანილი იქნა მიუხედავად იმისა, რომ დამცველნი ეყრდნობოდენ სისხლის სამართლის იმ დამნაშავეთა ჩვენებებს, რომელნიც გამოტყდენ იმ ბოროტმოქმედებათა ჩადენაში, რომლებიც საკოს და ვანცეტის ბრალდებათ.

მოძრაობა იტალიის

წინააღმდეგ

რომი, 6 აპრილი. იტალიის გაზეთები იუწყებიან, რომ კირენაიკში (იტალიის კოლონია ლიბიის აღმოსავლეთ ნაწილში) და აგრეთვე ჯებალ-დუზის რაიონში ძლიერდება მოძრაობა იტალიის წინააღმდეგ. 27 მარტს განდეგ-აბიდის მახლობლად თავი მოიყარეს მეამბოხეთა მნიშვნელოვანმა ძალებმა. იტალიის ჯარებმა პირველად შეძლეს მეამბოხეთა გარეკვა, მაგრამ შემდეგ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდნენ. იტალიის ჯარებმა უკან დაიხიეს, რადგან მათ ემუქრებოდათ ალყის შემორტყმა.

ბესარაბიის საკითხი

ჩემბერლენი ბესარაბიის ოქმის რატიფიკაციის შესახებ

ლონდონი, 6 აპრილი. პარლამენტში ჩემბერლენს მისცეს შეკითხვა, მიიღო თუ არა ინგლისის მთავრობამ ბესარაბიის 1920 წლის ოქმის რატიფიკაციასთან დაკავშირებით თავის თავზე ვალდებულება გაუწიოს დახმარება რუმინეთს ბესარაბიის ტერიტორიისათვის რაიმე საფრთხის არსებობის შემთხვევაში. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ შეკითხვის შემომტანს არა აქვს სწორად წარმოდგენილი საქმის ნამდვილი მდგომარეობა: ბესარაბიის ოქმი არ შევა ძალაში, სანამ ის არ იქნება დამტკიცებული იაპონიის მიერ ისევე, როგორც ის დამტკიცებული იქნა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მიერ.

ღამის ცნობები

ამხ. დოვგალევსკიმ ჩააბარა რწმუნების სიგელი იმპერატორს

ტოკიო, 6 აპრილი. 6 აპრილს დილით, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში დოვგალევსკიმ იაპონიის იმპერატორს ჩააბარა რწმუნების სიგელი.

გაფიცვა და ბოიკოტი

ნიუ-იორკი; 7 აპრ. „ასოშიეტედ პრესის" შანხაელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ჩან-შაში (ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქი) გამოცხადდა ანტი ამერიკული გაფიცვა და ბოიკოტი. ჩრდ. - ა. შ. შ. კონსული გადასახლდა სამხედრო გემზე.

კორესპონდენტი იტყობინება აგრეთვე, რომ ცზიუ-ცზიანში გამოცხადებულია უცხოელთა საწინააღმდეგოთ გაფიცვა და ბოიკოტი. (ადს).

კაპიტალის სადარაჯოზე

ვაშინგტონი; 7 აპრ. პრეზიდენტმა კულიჯმა თავის ვეტო დაადო ფილიპინის საკანონმდებლო კრების კანონპროექტს, რომელშიაც გათვალისწინებული იყო პლებისციტი ფილიპინის კუნძულების შეერთებული შტატებისაგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ.

თავის საქციელი კულიჯმა შემდეგნაირად ახსნა:

პოლიტიკური აგიტაცია ფილიპინის დამოუკიდებლობისათვის აბრკოლებს ფილიპინზე თავისუფალი კაპიტალის დაბანდებას. (ადს).

„არ სურთ კომუნისტებთან შეხვედრა"

ვაშინგტონი, 6 აპრილი. ამერიკის შრომის ფედერაციამ უარი სთქვა წყნარ ოკეანეს მუშათა კონგრესის სესიაზე მონაწილეობის მიღებაზე კანტონში, განაცხადა რა, რომ „არ სურს კომუნისტებთან შეხვედრა".

პოლონეთი სესხს დაეძებს

ვარშავა, 6 აპრილი. პრეზიდენტ მოსციცკის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი უცხოეთის სახელმწიფოების მიერ პოლონეთისათვის სესხის მიცემის პირობების განხილვისათვის. თათბირში მონაწილეობა მიიღო პილსუდსკიმ, ბარტელმა, ფინანსთა მინისტრმა ჩეხოვიჩმა და ზალესკიმ.

ჩიკაგოელმა ლოთებმა გაიმარჯვეს

ნიუ-იორკი; 7 აპრ. ჩიკაგოში ჩატარდა საქალაქო არჩევნები, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა სროლას ყუმბარების აფეთქებებს და სხ. ქალაქის თავათ არჩეულია რესპუბლიკანური პარტიის წევრი ტომპსონი, რომელიც მომხრეა მაგარი სასმელების თავისუფალი ვაჭრობის და აზარტულ სათამაშოთა და პროსტიტუციის საწინააღმდეგო ზომების შესუსტების. (ადს).

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

გერმანიის 300 მილიონიანი კრედიტი დაბანდებულია

მოსკოვი; 7 აპრ. როგორც ვაჭრობის სახალხო კომისარიატში იტყობინებიან, საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობამ სავსებით დააბანდა გერმანიიდან მიღებული 300 მილიონიანი კრედიტი. სულ მრეწველობის სხვადა სხვა დარგებისათვის დაკვეთები შეადგენენ 315 მილ. მარკას; ფაქტიურულ ღირებულებით, ე. ი. ყოველგვარ ზედნადებ ხარჯების გარეშე ე. ი. ყოველგვარ ზედნადებ ხარჯების გარეშე დაკვეთები მიცემულია ლითონის, ქვანახშირის, ნავთის, ელექტრო - საალმშენებლო, ელექტრო - ტექნიკური, ქაღალდის, საფეიქრო, ქიმიურ, სატყეო, პოლიგრაფიულ საალმშენებლო და ტყავეულობის მრეწველობისათვის. (ადს).

შეღავათები კანაფის მთესველთ

მოსკოვი, 7 აპრილი. საკავშირო ცაკმა და სახკომსაბჭომ დაადგინეს 1926—27, 1927—28 და 1928—29 წ. განთავისუფლონ ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან კანაფით დათესილი მოედნები.

პროფ. ვავილოვის ექსპედიცია აფრიკაში

მოსკოვი; 7 აპრ. გამოყენებითი ბოტანიკის ინსტიტუტის მიერ მიღებულია ცნობა, რომ პროფესორი ვავილოვი, საბჭოთა ექსპედიციის ხელმძღვანელი აფრიკაში გაემგზავრა თავისი ექსპედიციით ცენტრალურ აბისინიაში. აბისინიის ტყეში; რომელიც მოწყვეტილია მსოფლიოს; ექსპედიცია დაჰყოფს 55 დღეს.

მაისში პროფ. ვავილოვი მოხსენებას გააკეთებს მსოფლიო კონგრესზე იტალიაში თავისი ექსპედიციების შედეგების შესახებ. იტალიიდან პროფ. ვავილოვი დაბრუნდება მოსკოვში. (ადს).

კოლმეურნეობათა საბჭოების სესია

მოსკოვი, 7 აპრილი. გლეხის ცენტრალურ სახლში გაიხსნა კოლმეურნეობათა საბჭოების სრულიად საკავშირო გაფართოებული სესია.

შეღავათები ტურისტებს

მოსკოვი, 7 აპრილი. საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დროულად და საჭიროდ სცნო უცხოეთის ტურიზმის განვითარება საბჭოთა კავშირში. საქმის ორგანიზაცია დაევალა საბჭოთა სავაჭრო ფლოტს. გამარტივებულია ვიზების მიღების წესი. (ადს).

მისასალმებელი დეპეშების გაგზავნის შესახებ

მოსკოვი, 7 აპრ. ნაციონალურ კომპარტიების ყველა ცენტრალურ კომიტეტებს, საოლქო ბიუროებს, საკავშირო კომპარტიის საგუბერნიო და საქალაქო კომიტეტებს და საკონტროლო კომისიებს.

ადგილებზე საბჭოთა ყრილობების შეკრების გამო, საბჭოთა კავშირის და რესპუბლიკების მმართველ ორგანოებს მოსდით აუარებელი მისასალმებელი დეპეშები; რაც დიდ ხარჯებს იწვევს. არასაწარმოო ხარჯების შემცირების მიზნით, ცეკა და ცენტრალური საკონტროლო კომისია ფიქრობენ, რომ პარტიულ, საბჭოთა პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანოების ყოველგვარი მისალმებები შეიძლება გამოქვეყნდეს პრესაში ან გადაგზავნილ იქნენ ფოსტით. დეპეშების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი—ს. კასიორი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის მდივანი—ნ. იანსონი.

საბ. კავშირ

საბჭოთა არჩევნების შედეგები

მოსკოვი, 7 აპრილი. საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ენუქიძის** მოხსენება ამრჩეველთა მონაწილეობის შესახებ ქალაქის საბჭოების არჩევნებში.

წარსულ წელს ქალაქის საბჭოების ამრჩეველთა მონაწილეობა პროცენტებში შემდეგნაირად გამოიხატებოდა: საბჭოთა რუსეთში—48,5 პროც., საბჭოთა უკრაინაში—62,7, საქართველოში—55,5 პროც., მიმდინარე წლის სათანადო ციფრებია: 55,4 პროც., 54,9 პროც., 65,7 პროც. სასოფლო საბჭოების არჩევნებში წარსულ წელს აქტიურობა შემდეგ პროცენტებში გამოიხატებოდა: საბჭოთა რუსეთში—47,2 პროც.; საბჭოთა უკრაინაში—54 პროც.; საბჭოთა ბელორუსიაში—46,5 პროც.; უზბეკისტანში—45,7 პროც.; თურქმენისტანში—36,8 პროც. მიმდინარე წელს სათანადო ციფრებია: 47,4 პროც.; 52,5 პროც.; 46,6 პროც.; 46,2 პროც.; 38,7 პრ. პროცენტის შემცირება უკრაინაში აიხსნება ამომრჩეველთა უფრო სწორი აღრიცხვით. სოფლის მოსახლეობის მონაწილეობის საერთო პროცენტი—47—48. გაიზარდა ორგანიზაციულად დაურაზმავ ამომრჩეველთა და აგრეთვე ქალების მონაწილეობა. საარჩევნო უფლება წართმეულთა საშუალო პროცენტი ნორმალურია: საბჭოთა უკრაინის ქალაქებში—5,6 პროც.; სოფლებში—4,4 პროც.; საბჭოთა რუსეთის ქალაქებში—6.7 პროც.; ბელორუსიის—0,8 პროც.; უზბეკისტანის—1,8 პროც.; საბჭოების შემადგენლობაში გაიზარდა კომუნისტების და კომკავშირელთა და აგრეთვე ქალების პროცენტი.

მრეწველობის ძირითადი კაპიტალი

მოსკოვი, 7 აპრილი. რადგან საბჭოთა კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იწყებს მრავალი მრეწველობის წლიურ გამოკვლევას, ცენ. სტატისტიკურ სამმართველოს სამრეწველო წარმოებების ბალანსის ბიურომ ერთგვარი ჯამი გაუკეთა საკავშირო მრეწველობაში დაბანდებულ ძირითად კაპიტალებს. საკავშირო მრეწველობაში დაბანდებული ძირითადი კაპიტალის საერთო ჯამი დაახლოვებით უდრის 6.200 მილ. მანეთს, აქედან სახელმწიფო მრეწველობაზე მოდის დაახლოვებით 5,900 მილ. მანეთი, კოოპერატიულზე—200 მილ. მანეთზე ცოტა მეტი, საიჯაროზე—60 მილ. მანეთი, კონცესიოზე—დაახლოვებით 13 მილ. მან., კერძო—კაპიტალისტურზე დაახლოვებით 15 მილ. მანეთი.

სწორმა სტატისტიკურმა დაკვირვებამ შემდეგში უნდა ცხადყოს ძირითად კაპიტალების შემადგენლობის დინამიკა სახელმწიფო მრეწველობაში, კერძოდ, იმ მრეწველობაში დაბანდებულ კაპიტალების თანდათანობითი, აბსოლიუტური და შედარებითი ზრდა, რომელიც საბჭოთა საშუალებების ამხადება. (ადს).

ინჟინერთა სრულიად საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 7 აპრ. გაიხსნა ინჟინერთა და ტექნიკოსთა სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელზედაც ჩამოვიდა 574 დელეგატი. საბჭოთა კავშირის ინჟინერთა და ტექნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. სტროევმა აღნიშნა საინჟინერო-ტექნიკურ მუშაობის მნიშვნელოვანი როლი საბჭოთა მეურნეობის განვითარების ახალ პირობებში. ინჟინერთა და ტექნიკოსთა მეორე ყრილობის შემდეგ, 2 ნახ. წლის განმავლობაში, სექციის წევრთა რიცხვი 40-დან 105 ათასამდე გაიზარდა. პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხ. სტალინი, რიკოვი, ტომსკი, რუძუტაკი, კუიბიშევი, ბუხარინი, კალინინი, ვოროშილოვი და შმიდტი. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ამხ. ფრუნზეს, ძერჟინსკის და კრასინის ხსოვნას.

ამხ. რიკოვმა, რომელსაც მთელი ყრილობა ოვაციით შეხვდა, გადასცა ყრილობას სალამი მთავრობისა და საკავშირო კომპარტიის ცეკასაგან. ამხ. რიკოვმა თავის მოხსენებაში გააშუქა საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობა და საინჟინერო-ტექნიკურ პერსონალის როლი მეურნეობის მაღალ ტექნიკურ საფუძველზე მოწყობის პირობებში.

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ტომსკი. საინჟინერო-ტექნიკური მუშაკები—განაცხადა ამხ. ტომსკიმ,—წარმოადგენენ რა მრეწველობის ხელმძღვანელ შემადგენლობას, იმავე დროს შეადგენენ მუშათა კლასის განუყოფელ ნაწილს. სპეციალისტთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლო გახდება მაშინ, როცა გაუმჯობესებულ იქნება მთელი მუშათა კლასის მდგომარეობა. მიმდინარე ყრილობის მუშაობამ უნდა გააძლიეროს კავშირი მუშათა კლასისა და სპეციალისტებს შორის, რომელნიც ერთად აშენებენ სოციალიზმს, ერთად ეწევიან პასუხისმგებლობას ამ აღმშენებლობის მსვლელობისათვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. კუიბიშევი, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირის მეურნეობის ინტენსიური განვითარება, დაწყებული 1924 წლიდან, როცა შესდგა ინჟინერთა და ტექნიკოსთა მეორე ყრილობა.

ყრილობამ მისალმებები გაუგზავნა მთავრობას, საკავშირო კომპარტიის ცეკას, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და ჩინეთის პროფკავშირთა საბჭოს.

პარტიული ცხოვრება

პარტორგანიზაციები და ფასების დაკლებისათვის მუშაობა

მუშაობა არ უნდა შენელდეს

ამჟამად ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებულია ამოცანა ფასების დაკლების შესახებ.

„ცეკას უკანასკნელმა პლენუმმა პარტორგანიზაციებს დაავალა, რომ მთელი თავის ძალ-ღონით შეეცადონ საცალო ფასების შემცირებას სამრეწველო საქონელზე ისე, რომ პირველ ივნისისათვის მივაღწიოთ ფასების შემცირებას არა ნაკლებ 10 პროცენტისა, 1 იანვრის ფასების დონესთან შედარებით და სახელმწიფო ვაჭრობისა და კოოპერაციის აპარატის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების შემცირებას პირველ ივლისისათვის მივაღწიოთ არა ნაკლებ 15 პროცენტისა, 1925—26 წლის ხარჯებთან შედარებით". (იხ. ამხ. ს. ორჯონიკიძის მომართვა).

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის ცეკას ამ დირექტივის გატარებას ცხოვრებაში.

პარტიულ ორგანიზაციებს საკმაოდ ნათლად აქვთ შეთვისებული ამ დირექტივის მნიშვნელობა. ადგილებზე კიდევაც სწარმოებს სათანადო მუშაობა და უკვე ნაყოფიც არის, მაგრამ ამ მუშაობას თან ახლავს ზოგიერთი ნაკლი, რომელიც უთუოდ უნდა იქნეს გამოსწორებული პარტიის ცეკას პლენუმის დირექტივის თანახმად. ფასების შემცირება ათი პროცენტით უნდა გატარდეს პირველ ივნისისათვის. ამ დრომდე ორი თვე არც კი დარჩენილა. ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა უნდა მიიღონ ზომები იმისათვის, რომ დარჩენილ დროის განმავლობაში დირექტივა უსათუოდ იქნეს შესრულებული.

სავაჭრო ორგანოებსა და კოოპერატიულ ორგანიზაციებთან არსებულმა პარტუჯრედებმა განსაკუთრებული სიფხიზლე უნდა გამოიჩინონ ამ მხრივ. მათ უნდა მოსთხოვონ ანგარიში სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელ კომუნისტებს, მისცენ დირექტივები, აქტიური მონაწილეობა მიიღონ ფრაქციების საშუალებით ფასების შემცირების და აგრეთვე აპარატის გადასინჯვის საქმეში, მისი რაციონალიზაციისა და ზედმეტი ხარჯების შემცირების მიზნით.

გარდა ამისა, ამ ორგანიზაციების უჯრედებმა უნდა ადევნონ თვალყური, რათა ფასების დაკლებას არ ექნეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი, რომ ფასები დაკლებულ იქნეს სინამდვილეში და არა მხოლოდ სიტყვიერი განცხადებით. არის აგრეთვე ისეთი შემთხვევები, როცა ფასებს აკლებენ ისეთ საქონელზე, რომელზეც არ არის დიდი მოთხოვნილება, ხოლო მასიურ მოთხოვნილების საგნებზე ფასები ისევ ძველი რჩება.

ფასების დაკლების კამპანიის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმის მეორე მხარესაც. ზოგან, ფასების დაკლების კამპანია ერთგვარ კაბინეტურ ხასიათს ატარებს. მასამ არაფერი იცის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გატარებულია ამა თუ იმ ორგანოს მიერ. ასე მაგალითად, რკინის გზის კოოპერატივს ქუთაისში დაუკლია ფასები საქონელზე, მაგრამ მომხმარებლებისათვის ამის შესახებ არაფერი ეცნობებია (იხ. კორესპონდენცია ქუთაისიდან).

ეს რასაკვირველია, არ ვარგა. მომხმარებელმა უსათუოდ უნდა იცოდეს, რა საქონელზე და რამდენია დაკლებული ფასი. საკითხის ამ მხარეს ვიმეორებთ, უჯრედებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ.

ფასების დაკლების კამპანიას მჭიდრო კავშირი აქვს მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლასთან. ამ მუშაობაში ჩაბმული უნდა იქნეს მშრომელთა რაც შეიძლება მეტი მასა. მუშაობა, რომელიც დაწყებულია ამ მიმართულებით ოდნავადაც არ უნდა შენელდეს, სანამ არ იქნება სავსებით გატარებული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივა.

ბანიძე.

ოზურგეთის მაზრა

ოზურგეთის სამაზრკომის პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საქონელზე საცალო ფასების დაკლების შესახებ. პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მუშაობა ამ მხრივ მაზრაში სუსტი იყო. ის აუცილებელ საჭიროებად სცნობს, რათა მეტი ყურადღება ექნეს მიქცეული ამ საქმეს ყველა კოოპ. გამგეობების მხრივ. უკანასკნელთა კომფრაქციებს ევალებათ მიიღონ ყოველგვარი ზომები რათა ა. წ. 1 ივლისამდე დაკლებულ იქნეს საქონლის ფასი კოოპერატივებში არა ნაკლებ 10 პროც. მაქსიმალურად უნდა შემცირდეს საორგანიზაციო საგზაო და სხვა ისეთი ხარჯები ურომლისოდაც კოოპერატივი შესძლებს [illegible] მუშაობას.

საცალო ფასების დაკლების სისწორით გატარებისათვის პრეზიდიუმი საჭიროდ სცნობს ჩოხატაურის, ნასაკირალის და ნატანების მთელ მომხმარებელ კოოპერატივების გამოკვლევას. ამასთან ერთად პრეზიდიუმი ავალებს კ. პ. სათემო კომიტეტებს ადევნონ თვალყური აღნიშნული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარების საქმეს და ხელი შეუწყონ მის განხორციელებას.

ამავე სხდომაზე გამოყოფილ იქნა შინა ვაჭრობის რწმუნებული მაზრაში ამხ. ნიკოლაიშვილი. მეორე საკითხათ პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია მაღალი ეწერის აგრო კულტურული მეურნეობის მდგომარეობის გამოსარკვევად, რომლის შედეგებზე კომისიას ევალება წარუდგინოს პრეზიდიუმს წერილობითი მოხსენება.

ქედი.

ქუთაისის მაზრა

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ფასების დაკლების კამპანიას. ეს საკითხი სპეციალურად იყო დასმული სამაზრო პარტკომის გაფართოებულ პლენუმზე, სადაც გამოირკვა, რომ ადგილობრივი კოოპერატიული და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების მიერ აღებულია სწორი ხაზი ფასების დაკლების დარგში, პარტიის დირექტივების ცხოვრებაში გატარების საქმეში. ადგილობრივი კოოპერაციის მიერ ჩატარებულია ფასების დაკლება 3-25 პროცენტამდე. მიღებულია ზომები სხვადასხვა ზედნადები ხარჯების შემცირებისათვის, რაც მისცემს კოოპერაციას საშუალებას ფასების უფრო საგრძნობლად დაწევისა. საქონელზე ფასების დაკლებას გლეხობა დიდ აღფრთოვანებით შეხვდა და მრავალი მათგანი ეწერებიან კოოპერატივის წევრად, რაც უფრო აძლიერებს კოოპერაციას კერძო ვაჭრების წინააღმდეგ საბრძოლველად.

უნდა აღინიშნოს ამავე დროს, რომ ფასების დაკლების ირგვლივ ზოგ შემთხვევაში არ გაწეულა წინასწარი აგიტაცია კოოპერაციის წევრთა და მოსახლეობის ფართე მასების შორის. მაგალ. რკინის გზის კოოპერაციას დაუკლია ფასები საქონელზე, ამის შესახებ კი მასას არაფერი გაუგია. ფასების დაკლება, ამ შემთხვევაში დარჩებოდა შეუმჩნევლად, რომ ეს თავის დროზე არ ყოფილიყო შემჩნეული თვით კოოპერატივის წევრთა მიერ.

ერთ-ერთ უარყოფით მოვლენას აქვს ადგილი მაზრაში, რაც ასუსტებს კოოპერატიულ ორგანიზაციების მუშაობას. ეს გამოიხატება ზოგიერთ კოოპერატივების ერთ-მეორესთან კონკურენციაში. მაგალითად სვირის რაიონში რკინის გზის კოოპერაციას აქვს ჩვეულებათ მოულოდნელად ამა თუ იმ სადგურზე ვაგონ-დუქნის ჩამოყენება და ვაჭრობა იმ დროს, როდესაც იქ მუშაობს ადგილობრივი კოოპერაცია, რომელსაც აქვს საჭირო საქონელი. ცხადია, რომ ასეთი მოულოდნელი „თავდასხმა" სხვა კოოპერაციის მოქმედების რაიონში მხოლოდ დაარღვევს მეორეს გეგმიურ მუშაობას მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. ამ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება სათანადო ორგანოების მიერ.

სამაზრო პარტკომის პლენუმზე იქნა გამომუშავებული მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებათა, რომელნიც უზრუნველყოფენ ფასების დაკლების კამპანიის წარმატებით მსვლელობას, საკითხის შესწავლისათვის იქნება ჩატარებული რამოდენიმე სავაჭრო პუნქტის გამოკვლევა მაზრაში. ის ყურადღება, რომელსაც იჩენენ ადგილობრივი ორგანიზაციები ფასების დაკლების კამპანიისადმი და ფართე მასების დაინტერესება ამ საქმით თავდებია იმისა, რომ ეს კამპანია ისეთივე წარმატებით იქნება ჩატარებული, რა წარმატებითაც პარტია ატარებდა სხვა და სხვა კამპანიებს წარსულში.

ი. რუდოვსკი.

რა კეთდება ადგილებზე

თბილისი

ლენინის რაიონში

ლენრაიკომის გაფართოებული პლენუმის სხდომაზე, უჯრედების მდივნებსა და სადუქნო-საკონტროლო კომისიების წევრებთან ერთად, მოსმენილ იქნა ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის წევრის ამხ. მთვარელიძის მოხსენება საცალო ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ.

მოხსენების დასაწყისში ამხ. მთვარელიძემ აღნიშნა, რომ თუ წინად სავაჭრო ფასებს სტიქიურად ხელმძღვანელობდა ბაზარი, ამჟამად ამ ფასებს ხელმძღვანელობს კოოპერაცია და სახელმწიფო მრეწველობა. 10 მარტამდის მთელი საქონლის მასაზე დაკლებულ იქნა ფასები სულ 48.026 მან. რაოდენობით, რაც მთელი გადაფასებული საქონლის ღირებულების 6,53 პროცენტს შეადგენს. ეს დაკლება გატარდა უმთავრესად ა. კ. სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოების ხარჯზე, ვინაიდან სახელმწიფო მრეწველობამ დაუკლო საგასაცემო ფასები ფოთოლეულზე დაახლოებით 3 პროცენტით, ხოლო დანარჩენ საქონელზე კი ფასები იგივე დარჩა.

დაკლება გატარდა უმთავრესად მოგების ხარჯზე, რომელიც 2,83 პროცენტიდან დაყვანილ იქნა 1,5 პროც.

ფასების შემდეგ დაკლებას საქონელზე საკ. კომ. პარ. (ბ) ცეკას თებერვლის პლენუმის მიერ განსაზღვრულ ნორმებამდე, მიმდინარე წლის პირველ ივნისისათვის, ისე, რომ არ მოხდეს საშუალებათა შთანთქვა და რათა დაგროვილ იქნას მცირეოდენი თანხები მაინც, აწარმოებს სპეციალურად მოწყობილი სარაციონალიზაციო ბიურო, ზედნადებ ხარჯების შემცირებისა და საზოგადოებრივი აპარატის რაციონალიზაციის გზით. ამ ღონისძიებებით მიღებული საერთო ეკონომია უდრის 28.000 მანეთს, ანუ 4,6 პროცენტს წარსულ საოპერაციო წლის ადმინისტრატიულ ხარჯებთან შედარებით. ფასების დაკლების უფრო სწრაფ განვითარებას მნიშვნელოვნად ეღობება წინ ფაბრიკატებისა და პროდუქტების არა თავის დროზე და არა თანაზომიერად გასაღება, რაც იწვევს საქონლის დაგროვებას, ხოლო ეს უკანასკნელი კი მის გაძვირებას. მოხსენების დასასრულ ამხ. მთვარელიძემ გააცნო პლენუმი ფასებს იმ საქონელზე, რომლებზედაც გატარდა დაკლება 1927 წლის პირველ იანვართან შედარებით.

კამათში გამოსული 11 ამხანაგი უმთავრესად ჩერდებოდა შემდეგ მომენტზე: 1) დაუსრულებელ ბრძოლაზე კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის;

2) საქონლის შეუფერებლობაზე მომხმარებლის მოთხოვნილებასთან და ნაკლებ მოხმარების საქონლის სიჭარბეზე ასორტიმენტში;

3) ფართე მოხმარების საქონელზე ფასების არა დამაკმაყოფილებელი დაკლება.

4) მომხმარებლის არა სრული დაკმაყოფილება ფართლეულით აიხსნება საზოგადოების ზოგიერთ წევრთა მიერ ამ საქონლის მიყიდვით კერძო პირებზე, რისთვისაც საჭიროა გაძლიერდეს სადუქნო-საკონტროლო კომისიების ზედამხედველობა ამ უკანასკნელთა მუშაობის გაძლიერებით, მათთვის ინსტრუქციების მიცემით და მუშათა საკონტროლო კომისიების წევრთა თათბირების ხშირი მოწყობით.

5) ფასების დაკლების კამპანიის მსვლელობის შესახებ საანგარიშო მოხსენებების გადატანის გზით დაბალ ფენებში, საჭიროა საზოგადოების ყველა წევრები ჩაბმულ იქნან ამ კამპანიის ჩატარებაში.

კამათის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია ფასების შემდეგი დაკლების აუცილებლობა ყველა სამრეწველო საქონელზე 10 პროცენტით. პირველ ივნისამდე. 1927 წლის პირველ იანვრის არსებულ ფასებთან შედარებით, რისთვისაც გატარებულ იქნას ცხოვრებაში რაიკომის პლენუმის მიერ დასახული ყველა ღონისძიებები.

მ. პ—ი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მარგანეცის გატანა

ფოთი, 7 აპრ. მარტში საზღვარგარეთ გავიდა უცხოეთის 12 გემი, რომლებმაც გაიტანეს 62.800 ტონა მარგანეცი. (ადს).

სასპორტო სეზონის დასაწყისი

ფოთი, 7 აპრ. 10 აპრილს გაიხსნება ფეხბურთის საზაფხულო სეზონი. პირველად ერთმანეთს შეხვდებიან ახლად შედგენილი გუნდი „დინამო" და ქუთაის ნაკრები გუნდი. (ადს).

სააღმშენებლო სეზონი

ახალ-სენაკი, 7 აპრ. დაიწყო საამშენებლო სეზონი. საამშენებლო მასალა საკმაოდ მოიპოვება. შენდება ბევრი გლეხების სახლები. შენდება აგრეთვე სკოლები და საზოგადოებრივი შენობები.

მექანიკური სახელოსნო

ჭიათურა, 6 აპრილი. სააქციონერო საზოგადოება „საქართველოს მარგანეცი" აგებს დიდ მექანიკურ სახელოსნოს, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს მთელი საკონცესიო წარმოება. შენობის აგება დასრულდა, დაიწყო დაზგების დადგმა. (ადს)

ადგილობრივ მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

ახალ-ქალაქი, 7 აპრ. სამაზრო აღმასკომმა დაამტკიცა ადგილობრივ მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა. 1927 წლის გეგმის თანახმად აგებულ უნდა იქნეს აგურის, კრამიტის და კირის ქარხნები, უნდა გაფართოვდეს ტყის სახერხი ქარხანა და ელექტრო-სადგური. გარდა ამისა გეგმაში შედის ყველის და კარაქის დამამზადებელი 2 ქარხნის აგება. უკანასკნელნი აგებულ იქნება საქართველოს ს. მ. უ. საბჭოს ხარჯზე. ამ ქარხნებიდან ერთი აგებულ იქნება ტაბაწყურის რაიონში ბეჟანის მახლობლად 50.000 ფუთი რძის პროდუქციით წელიწადში, ხოლო მეორე ტოპორავანის რაიონში სოფ. ვლადიმიროვკაში 25.000 ფუთი რძის პროდუქციით. (ადს).

აჭარისტანი

საექსკურსიო ბიურო

ბათუმი, 7 აპრ. ბათუმში მოეწყო რესპუბლიკანური საექსკურსიო ბიურო, რომელიც ამ უახლოეს ხანში შეუდგება საექსკურსიო ბაზის შექმნას ჰუმანიტარულ ტეხნიკუმებთან, მუშათა კლუბთან და სხვ.

თბილისიდან მოელიან ექსკურსანტების პირველ პარტიას 300 კაცის შემადგენლობით. (ადს).

აფხაზეთი

დამხმარე ელსადგური

სოხუმი, 7 აპრ. კაპიტალური მუშაობა სოხუმის ელექტრო - სადგურის ასაგებად უკვე დამთავრდა და ამჟამად სდგამენ დროებით გენერატორს.

მძლავრი მუდმივ გენერატორს ამზადებს სახელმწიფო ელექტრო ტრესტის ქარხანა. (ადს).

თამბაქოს დამზადება

სოხუმი, 7 აპრ. „ტაბაკსინდი"-მ 1 აპრილისათვის დაამზადა პროგრამით გათვალისწინებული დასამზადებელი თამბაქოს რაოდენობის 90 პროც. დამზადებული თამბაქო გადაიგზავნა ნოვოროსიისკში. (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

კავი შესცვალა გუთანმა

ცხინვალი, 7 აპრ. სამხრეთ – ოსეთის მთიან ადგილებში მიწას აქამდის პრიმიტიული კავით ხნავდენ. შარშან სამხრეთ - ოსეთში პირველად სწარმოებდა მთებში სახნისებით მოხვნის ცდები. ცდებმა ბრწყინვალე შედეგები გამოიღო. წელს [illegible] დიდი პარტიები ყიდულობენ რკინის სახნისებს № 4. კოოპერატიული ორგანიზაციები სახნისებს შეღავათიან პირობებში იძლევიან. (ადს).

საგაზაფხულო არდადეგები ცხინვალში გაუქმებულია

ცხინვალი, 7 აპრ. ცხინვალის სკოლები მთელი იანვრის განმავლობაში დახურული იყო ყელჭირვების ეპიდემიის გამო. გაცდენილ დროის შესავსებათ სამხრეთ - ოსეთის განათლების სახ. კომისარიატმა გააუქმა ცხინვალის სკოლებისათვის საგაზაფხულო არდადეგები. სამხრეთ ოსეთის დანარჩენ ადგილებში საგაზაფხულო არდადეგები არ არის გაუქმებული, (ადს).

წერილები

შინაყმობის მოყვარული

შინაყმობის დრო კარგა ხანია ისტორიის არქივს ჩაბარდა. ეხლა კაცს თავადობა და აზნაურობა დიახაც სათაკილოდ მიაჩნია. აღარ არიან არც ძველი დროის, ნეტარხსენებულ ნიკოლოზის ოფიცრები თავიანთ „დენშჩიკებით" და „კუჩერებით". მიუხედავათ ამისა სახელმწიფო ხარჯზე კარად მოსამსახურის ყოლა ზოგიერთ მუშაკებს მეტად საყვარელ ხელობათ დასჩემდათ.

სახელით ამგვარ მოსამსახურეებს ჩვეულებრივი, თანამშრომელი ჰქვია, საქმით კი ის არაფერით განირჩევა ძველ დენშჩიკებისაგან. ვისაც ამაში რაიმე იჭვი შეეპარება, შეუძლია დარწმუნდეს ავჭალის თემის (თბილ. მ.) რაიმილიციის ილიკო ბაკურაძის მაგალითით. ისღა აკლია რაიმილიციის უფროსს, რომ საკუთარ ჭამა - სმაზე და სხვა ბუნებრივ მოთხოვნილებაზე არ აწუხებს სხვას, თორემ დანარჩენისათვის მას მზათ ყავს ყველაფერში უმცროსი მილიციონერი ბერიშვილი.

გათენდება თუ არა, ბერიშვილმა უნდა მოართვას უფროსს წყალი, პირსახოცი და საპონი; შემოჰკრავს თუ არა სიცივე ბერიშვილმა მაშინვე ცეცხლი უნდა [illegible] უფროსს ბუხარში; დღეში სამჯერ უნდა დაუგავოს ოთახი, რომ უფროსი სიბინძურემ და ცუდმა ჰაერმა არ შეაწუხოს; დილას და საღამოს რძე და ჩაი მზათ უნდა იდგეს უფროსის სუფრაზე. მეტი რაღა გინდათ?

რას აკეთებს თვითონ მილიციის უფროსი? სჭამს, სვამს, სძინავს, ნარდს თამაშობს ფულზე, პაპიროსზე და კვარტიანებზე და კამათელს უწრუპუნებს, რომ დუშაში გაუგოროს. თქვენ კიდევ იტყვით, რომ დენშჩიკობა გადავარდაო? ვფიქრობთ, რომ არა, ასეთები ალბათ სხვებიც მოიძებნებიან აქა- იქ, რომელნიც ბოროტად იყენებენ თავიანთ ადმინისტრატიულ თუ საზოგადოებრივ მდგომარეობას და ძველი დროის შინაყმობის ჩვეულებას ვერ გამოთხოვებიან. მაგრამ მშრომელი მასის თვითშეგნება იმდენად გაიზარდა, რომ ავჭალელი ბერიშვილები დღეს ისე ადვილად აღარ მოიძებნება. რაც შეეხება ბაკურაძის „დენშჩიკურ გადახრას", ვფიქრობთ, რომ ეს პატარა კორესპონდენცია საკმარისი იქნება იმის „ჭკუაზე მოსაყვანათ". დანარჩენ ბაკურაძეებამდიც მიუწვდება ხელი ჩვენს პრესას და ხელისუფლებას.

ჯებირი.

ამხანაგობათა გაერთიანება

(სად. სვირი, ქუთ. მ.)

მარტის ბოლო რიცხვებში სვირის სადგურზე შესდგა მევენახე-მღვინეთა კოოპერატ. ამხ. „სვირი"-ს და საკრედიტო ამხანაგობის რწმუნებულთა გაერთიანებული ყრილობა. ყრილობის მიზანი იყო ამ ორი ამხანაგობის შეერთება. ყრილობას ხელმძღვანელობდენ ქუთაისიდან მოსული ამხანაგები; სამპარტკომის ინსტრუქტორი—კაციტაძე და საქართველოს სამეურნეო ბანკის ქუთაისის განყოფილების ინსპექტორი—გიორგობიანი.

ყრილობას ეტყობოდა საქმისადმი დიდი ინტერესი. ხსენებულ ორი ამხანაგობის შეერთების საკითხს ყრილობა აღტაცებით შეხვდა და ერთხმად მიღებულ იქნა ახლად დაარსებული ორგანიზაციის ასეთი სახელწოდება:

სვირის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „სვირი", რომელიც წევრად უნდა შევიდეს როგორც „საქართველოს ღვინო"-ში, აგრეთვე „სოფლის კავშირში".

მოხსენებისა და კამათის შემდეგ ყრილობამ შეაფასა გამგეობათა მუშაობა:

მევენახე-მღვინეთა ამხ. „სვირი"-ს გამგეობის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, ხოლო საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის მუშაობა—არა დამაკმაყოფილებლად.

ყრილობამ შეადგინა გეგმა და პრაქტიკული მითითებანი მისცა ახალ გამგეობას ცხოვრებაში გასატარებლად.

ბოლოს მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნა გამგეობა ხუთი წევრისა და ორი კანდიდატისაგან. მათ შორის სამი აქტიურია.

საბჭოში არჩეულია თერთმეტი წევრი და ორი კანდიდატი.

საბჭოს საპატიო წევრებად ერთხმად იქნენ არჩეულნი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჯღელი და „სოფლის კავშირი"-ს გამგეობის თავმჯდომარე კ. კაკაბაძე.

დამსწრე.

მეძღლიშვილის „ზურნა"

(საგარეჯო, გარე-კახეთი)

ექიმბაშები ყველა ერთნაირი არ არიან. არის ექიმბაში, რომელსაც ერთი შეხედვით გამოიცნობ რაც შვილია. მაგრამ არიან ისეთები, რომელნიც ცრუმორწმუნეობისა და უკულტურობის უსასტიკეს მტერსაც კი საგონებელში ჩააგდებენ. ეს უკანასკნელნი ეხვევიან მეცნიერების სამოსში, უარყოფენ თანამედროვე მედიცინას იმავე მედიცინის უმაღლეს სახელით და ჰქმნიან უდანაშაულოდ წამებულის შთაბეჭდილებას, რომლის ბუნებრივ ნიჭს გასაქანს არ აძლევენ.

ყველა ექიმბაშს ამის ძალა არ შესწევს, რომ ამგვარი წამებულის, ხალხის წინაღმდეგ გამოსული მეცნიერ მკურნალის შთაბეჭდილება მოახდინოს. ამისათვის საჭიროა იმდენი განათლება მაინც, რომ ცრუმორწმუნეობის ზოგიერთი გულუბრყვილო მტერს თავბრუ დაახვიო და შენს მოსარჩლეთ გაიხადო.

ასეთია მაგალითად გარეჯელი მღვდელი ოქრო მეძღლიშვილი. ის ჩვეულებრივ მღვდლისაგან ჭკუითა და ექიმბაშობით განირჩევა. ისე ოსტატურად მიჰყავს საქმე, რომ სოფელში ბევრს მასთან ივანე გომართელიც კი არაფრად მიაჩნია. ოქრო მეძღლიშვილმა ლათინური იცის, აქვს ბუკინისტებთან შეძენილი ნაყარ-ნუყარი ძველი წიგნები და ბროშურები ავადმყოფობათა მკურნალობის შესახებ. რაკი მამამ ლათინურის წაკითხვა იცის და რაკი მას ბუხრის თავზე წიგნები უწყვია, ვერავის გაუბედნია მისთვის ექიმბაშობის შეკადრება.

როდესაც ვინმე იტყვის, მიდი ჯანმრთელობის კომისარიატში, აიღე მოწმობა, თეთრით დახმარება, შენს ნიჭს და ცოდნას გასაქანს მისცემენ, ის მაშინვე შემდეგ მიუგებს:

„შვილო, მე ექიმებს ვებრძვი, კომუნისტები მენშევიკებს ებრძოდენ. განა კომუნისტი რომ მენშევიკთან მისულიყო და შველა ეთხოვა, რამე ხეირს დააყრიდენ? მე რა უნდა მიშველოს ჯანმრთელობის კომისარიატმა, როდესაც მთელი ჩემი საქმიანობა ექიმების წინააღმდეგ არის მიმართულიო?". შედარება, როგორც ხედავთ მოსწრებულია. ბევრჯერ ეს საბუთი ხორასნის ხმლისოდენ სჭრის. მამაო მეძღლიშვილი კი განაგრძობს „ჯადოებით", ძაღლის და კატის განაგალით, ცხენის ძუით და ზღარბის ნაღველით წამლობას.

ასეთი ექიმბაშები გაცილებით მეტად საშიში და მავნეა, ვიდრე ჩვეულებრივი ექიმბაშები. მეძღლიშვილის ოინბაზობის შესახებ გაზეთშიაც კი არაერთხელ დაწერილა, მაგრამ ის, ყველაფერს აბუჩად იგდებს და ამბობს: „სხვისი ვირიც კი რომ დაფრთხეს, ჩემს ზურნას მაინც არ გავაჩერებო". ნუ თუ მეძღლიშვილის ზურნა იმდენად დაუღლეველია, რომ მისი სამუდამოდ დადუმება მართლა შეუძლებელი გახდა?

გ—ა.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ცაკის პრეზიდიუმის სხდომები

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ახალი შემადგენლობის პრეზიდიუმის სხდომები უნდა სწარმოებდეს ყოველკვირეულად ოთხშაბათობით.

ცაკის მცირე პრეზიდიუმი

საქ. ცაკის პრეზიდიუმთან დაარსდა მცირე პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ამხ. შ. მათიკაშვილი (მდივანი) ლ. ქართველიშვილი, კ. ხომერიკი და ვარძიელი.

ამხ. კ. ხომერიკის დანიშვნა

საქ. ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგეთ დანიშნულია ამხ. კ. ხომერიკი. ამავე დროს ამხ. კ. ხომერიკი რჩება გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარეთ.

შორაპნის მაზრის ცენტრი

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, შორაპნის მაზრის ცენტრი გადატანილია ქ. ჭიათურიდან ზესტაფონში.

ამხ. შ. მათიკაშვილის დანიშვნა

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგეთ დანიშნულია საქ. ცაკის მდივანი ამხ. შ. მათიკაშვილი.

ლიკანის სასახლე

ბორჯომის ლიკანის სასახლე გადაცემულია საქ. ცაკის განკარგულებაში.

ჩვენი მრეწველობა

ფერო-მარგანეცის ქარხანა

ვინაიდან ფერო-მარგანეცის წარმოება მოითხოვს იაფ ენერგიას საქართველოს ს.მ.უ.ს. ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას ჭიათურაში შეუდგება რიონის ჰიდრო-სადგურის აგების შემდეგ.

აგურის ქარხნები

შორაპანს, ზუგდიდსა და კახეთში საქართველოს ს.მ.უ.ს. გადაწყვიტა ააშენოს რამდენიმე აგურხანა. ეს ქარხნები დანიშნულია საამშენებლო მასალების დამზადებისათვის ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

საკონსერვო ქარხანა

ს.მ.უ.ს. შეუდგა ახალ, დიდ საკონსერვო ქარხნის აგებას გორში.

კირის ქარხანა

ს.მ.უ.ს. განზრახული აქვს მიმდინარე წელს შეუდგეს ქუთაისში კირის ქარხნის აშენებას. ქარხნის ასაშენებლად უკვე გაღებულია თანხები.

ცემენტის ქარხანა

მოსამზადებელ მუშაობას (მისასვლელი გზები, საწყობები, მუშათა სახლები და ბარაკები) ცემენტის ქარხნის ასაშენებლად კავთისხევში ს.მ.უ.ს. შეუდგება გაზაფხულიდან.

ცემენტის ქარხნის პროექტის შედგენა ს.მ.უ. ს.-მ დაავალა მოსკოვის სამშენებლო ბიუროს.

ლითოგრაფიული ქვა

ქუთაისის მაზრაში აღმოჩენილ ლითოგრაფიულ ქვის დამუშავებას საქართველოს ს.მ.უ.ს. შეუდგება მიმდინარე წლის გაზაფხულიდან.

ქაღალდის ფაბრიკა

შამგონის რაიონში, სადაც განზრახულია ქაღალდის ფაბრიკის აგება, საქართველოს ს.მ.უ.ს. ამჟამად აწარმოებს ადგილის დაგეგმვას.

ფაბრიკის საბოლოო პროექტი შედგენილი იქნება მოსკოვში.

მოსამზადებელი მუშაობა, — მისასვლელი გზების, საწყობების და სხვ. აგებას,—ს.მ.უ.ს. დაიწყებს მიმდინარე წლის გაზაფხულზე ან ზაფხულის დასაწყისში.

ნედლეულად ქაღალდის დამზადებისათვის ამ ფაბრიკაში გამოყენებული იქნება სოჭი. ფაბრიკის ასაგებ რაიონში, მდინარე ენგურის ნაპირებზე, გაშენებულია სოჭის ტყე.

ცეცხლგამძლე თიხა

ცეცხლგამძლე თიხის მარაგის აღმოჩენის გამო, საქართველოს ს.მ.უ.ს. სამთო განყოფილებამ ოზურგეთში მოახდინა ახალი გეოლოგიური გამოკვლევები.

ეს გამოკვლევები წარმატებით დასრულდა. აღმოჩენილია ცეცხლგამძლე თიხის ახალი საბუდოები. ამის შემდეგ ოზურგეთისა და ძირულის აგურხანები უზრუნველყოფილი იქნებიან ნედლეულით და ახლო ხანში დაიწყება ცეცხლგამძლე აგურის გამოწვა.

მაუდის ქარხანა

ს. მ. უ. ს. საამშენებლო განყოფილებამ მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ თბილისის მაუდის ქარხნის ასაგები პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა უკვე დამტკიცებულია საკავშირო ცენტრალური ორგანოების მიერ.

ამასთან დაკავშირებით განყოფილებას წინადადება აქვს მიცემული დაჩქარებით აწარმოოს ქარხნის ასაგები სამუშაოები.

ელექტროფიკაცია

აჭარისწყალის და აბაშის ჰიდრო სადგურების გამოკვლევა

თბილისში დაბრუნდა სპეციალური კომისია, შემდგარი საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის, ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს და ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელთაგან, რომელმაც მოახდინა აჭარის-წყალის და აბაშის ჰიდრო-სადგურებზე სამუშაოთა გამოკვლევა.

კომისიის წევრმა, ამიერ-კავკ. ფინ. სახ. კომისარიატის საალრიცხვო განყოფილების გამგემ ამხ. ნეჟინცევმა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა შემდეგი:

„აჭარის-წყლის ჰიდრო-სადგურის სამუშაოთა მდგომარეობის დეტალურად გამოკვლევის შემდეგ კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველა სამუშაოები, დაკავშირებულნი ძირითად პროექტთან, სავსებით ნორმალურად მიმდინარეობენ. აჭარის წყალზე მომხდარ კატასტროფას არავითარი გავლენა არ მოუხდენია მუშაობის მსვლელობაზე. ამჟამად უკვე თავდება კლდის სამუშაოები: საფსკერო გვირაბი უკვე გაყვანილია სრული განკვეთით, შესავალი პორტალის გამონაკლისით. გვირაბის კედლების ყველაზე უფრო სუსტი ადგილები შელესილია და არ არსებობს ჩამონგრევის საფრთხე. მუშაობას მდინარე აჭარის-წყალის გასაყვანად საფსკერო გვირაბში აბრკოლებდა მხოლოდ და მხოლოდ თოვლის სწრაფი დნობა და წყლის დონის ამაღლება მდინარეში; ეს სამუშაო შესრულებული იქნება უახლოეს ხანებში.

კომისიამ, მიიღო რა მხედველობაში სამუშაოთა მდგომარეობა, საჭიროდ აღიარა იშუამდგომლოს ცენტრის წინაშე, რომ 26-27 წ. უკვე გაღებული (1 მილ. მან.) თანხის დამატებით კიდევ გადაიდოს 625.000 მან.; რათა სადგურის აგება დამთავრდეს ამ.-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში, ე. ი. 1928 წ. ბოლოს.

აბაშის სადგურზე, რომელმაც ენერგია უნდა მიაწოდოს სენაკის მაზრას და სამტრედიის და ფოთის რაიონებს, უკვე აშენებულია ჯებირი, საწნეხი აუზი და გენერატორული სადგურის შენობა. დარჩა მხოლოდ აგრეგატის დადგმა, საწნევი მილების და ენერგიის გადამცემი ხაზის გაყვანა აბაშის ელსადგურიდან ქ. ფოთამდე.

სამუშაოები ტეხნიკური მხრით სავსებით სწორედ არის შესრულებული. აბაშის სადგურის დასამთავრებლად ა. წ. სექტემბრისათვის ბიუჯეტით უკვე გადადებული თანხის 200.000 მან. დამატებით 400.000 გაღება.

კომისია თავის მხრივ აღძრავს შუამდგომლობას ცენტრის წინაშე, რომ აბაშის სადგურის აგების დასამთავრებლად გაღებული იქნეს ეს დამატებითი თანხა—400.000 მან. (ადს).

კონტროლის გამარტივება

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაიწყო მუშაობა სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციებში არსებულ კონტროლის სისტემის შესასწავლად.

მუშაობის მიზანია გამომჟღავნებული იქნეს კონტროლის ყველაზე უფრო სუსტი მხარეები. რომელთა გამო აღნიშნულ ორგანიზაციებში ადგილი აქვს პარალელიზმს, კონტროლის მცირე ნაყოფიერებას და მოუმზადებლობას; სისწორით გამორკვეული იქნება იმ ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც აქვთ კონტროლის და რევიზიის უფლება; ამასთანავე ამ ორგანიზაციების რიცხვი შემცირებული იქნება მინიმუმამდე; სრულიად და სისწორით გამორკვეული იქნება საკონტროლო ორგანოების უფლებები და შემუშავებული იქნება კონტროლის, რევიზიის გამოკვლევების მტკიცე წესი. საკითხის შესწავლის პროცესში მიღებული მასალების მიხედვით მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შემუშავებული იქნება კონტროლის სისტემა.

გამოკვლევის მიზანია აგრეთვე გამორკვეული იქნეს, თუ როგორი საკონტროლო-სარევიზიო ორგანოები არსებობენ ამჟამად, რა ჯდება მათი შენახვა, როგორია მუშაკების კვალიფიკაცია, კონტროლის როგორი წესები და და მეთოდია შემოღებული, როგორია მუშათა ორგანიზაციების როლი და კავშირი მასებთან და სხვ.

თათბირი

ადგილობრივ მეურნეობის შესახებ

ს. მ. უ. ს. მიერ 19 აპრილისათვის მოწვეული ადგილობრივი მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკანური თათბირი გადადებულია 27 აპრილისათვის, რის შესახებაც ადგილებს უკვე დაეგზავნათ შესაფერი ცნობა.

თათბირის მოწვევის მიზანი არის ცოცხალი კავშირის დამყარება ადგილებთან, პროვინციაში კვალიფიციურ მუშა ხელის სიმცირის გამოკვლევა და ადგილობრივ მშენებლობის წინაშე მდგარ ამოცანებთან უფრო დაახლოებით გაცნობა.

მომავალ თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის აღსანიშნავია ადგილობრივ მრეწველობის განვითარების გზები, მოხსენებები ავტონომიურ ოლქებიდან, და მოხსენებები ოთხი მაზრიდან — ლეჩხუმის, თელავის, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებიდან. თათბირზე გარჩეულ იქნება აგრეთვე სხვა საკითხები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ადგილობრივი მრეწველობის მშენებლობის საქმის განვითარებისათვის.

თათბირს დაესწრებიან ყველა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარენი და ყველა სამაზრო აღმასკომების ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებათა ხელმძღვანელები. გარდა ამისა თათბირზე მოწვეული არიან აგრეთვე ს. მ. უ. ს. ძირითადი ორგანოების ყველა ხელმძღვანელები.

ავიოლატარია

სრულიად საკავშირო ავიალატარიის გათამაშების დროის მოახლოების გამო (ლატარია გათამაშებული იქნება 1 მაისს), საქართველოს თავდაცვის და ავიაციის ხელშემწყობ საზოგადოებამ ცენტრიდან მიიღო უკანასკნელი პარტია ლატარიის ბილეთებისა—2.000 ცალის რაოდენობით.

ბილეთები გაიყიდება არა საზოგადოების წევრებზედაც.

პური საქართველოსთვის

პურის შემოზიდვა საქართველოში შემცირდა

თბილისის საქონლის ბირჟის საპროდუქტო სექციის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა პურის ბაზრის მდგომარეობის საკითხი.

სხდომაზე გამოირკვა, რომ პურის შემოზიდვა საქართველოში უკანასკნელ ხანებში ძალზე შემცირდა. ამჟამად იყენებენ მხოლოდ დარჩენილ ფქვილის მარაგს.

სექციამ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და დაადგინა მიმართოს თხოვნით შინა-ვაჭრობის კომისარიატს, რათა მან მიიღოს ზომები ჩრდილოეთ-კავკასიიდან საქართველოსათვის პურის გადმოგზავნის დასაჩქარებლად.

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების მეექვსე ყრილობა

მეექვსე სხდომა

7 აპრილის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ათოევის საბოლოო სიტყვა. ორატორი დაწვრილებით შეეხო ყველა ოპონენტების მიერ გამოთქმულ აზრს და განმარტა ყველა ის საკითხები, რომელთაც ყრილობაზე დავა გამოიწვიეს. საბოლოო სიტყვის დასრულების შემდეგ მორიგ მოხსენებით გამოვიდა საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. ანდრო კალანდაძე.

ამხ. ა. კალანდაძის მოხსენება

მომხსენებელმა თავის სიტყვაში შეეხო საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებებში მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარების შედეგებს. მან აღნიშნა რომ მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას დიდის ინტერესით ადევნებს თვალყურს მუშა.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია სისტემატიურად აწარმოებდა მმართველობის აპარატის გამოკვლევებს და ღებულობდა ზომებს ამ აპარატის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. გამოკვლევების დროს აშკარა ხდებოდა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ნაწილი თვით აპარატის შენახვაზე იხარჯებოდა. ხოლო აღმშენებლობისათვის კი ნაკლები თანხები მიდიოდა. გამოკვლევებმა გამოაშკარავეს აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი დეფექტებიც.

მომავლისათვის მუშათა და გლეხთა ინსპექციას განზრახვა აქვს გადადგას მთელი რიგი ნაბიჯებისა მომჭირნეობის რეჟიმის უფრო ზედმიწევნით ჩასატარებლად. ამ მიზნებით გადასინჯული იქნება საბანკო ქსელი წარმომადგენლობებით და სხვ. მთელს საბჭოთა კავშირში ამჟამად მომხსენებლის თქმით დაარსებულია 1.420 სხვადასხვა ბანკი, ხოლო მარტო თბილისში 70 წარმომადგენლობაზე მეტი იყო მიმდინარე წლის დასაწყისისათვის. ჩვენი მრეწველობისათვის შედგენილ ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ვარაუდით საქართველოში აღარ უნდა დარჩეს არც ერთი უმუშევარი, ვინაიდან ახალ ფაბრიკა ქარხნებში მუშა ხელზე ძალიან დიდი მოთხოვნილება იქნება. წარსული წლის განმავლობაში მომჭირნეობის რეჟიმის ჩატარებიდან სახელმწიფოს დარჩენია წმინდა შემოსავლად 863.000 მან.

კამათი

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამოდენიმე ორატორმა. მოკამათენი აღნიშნავდენ, რომ მმართველობის აპარატის რაციონალიზაციისათვის საჭირო იქნება მათი მუშური ელემენტებით შევსება, ეკონომიური თათბირების მუშაობის გამოცოცხლება და სხვა.

სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი ამხ. ა. კალანდაძე.

მეშვიდე სხდომა

ყრილობის მეშვიდე სხდომა გაიხსნა შინავაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ათაბეგოვის მოხსენებით ფასების დაკლების კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ორატორმა განმარტა ფასების დაკლების კამპანიის მნიშვნელობა, როგორც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ისე მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მომატებისათვის. მომხსენებლის აზრით საჭიროა, რომ გაიაფებულმა საქონელმა უსათუოდ მიაღწიოს სოფლის მომხმარებლამდე, ვინაიდან ეს გამოიწვევს სოფლად არსებულ ნედლი მასალის გაიაფებას.

ფასების დაკლების კამპანიის დაწყებიდან ანუ გასული წლის 1-ლი მაისიდან 1927 წლის იანვრამდე ვერ მოხერხდა წინასწარ დასახული ამოცანის მთლიანად შესრულება, ხოლო პირველი იანვრიდან მიმდინარე თვის დაწყებამდე კი დიდი შედეგებია მიღწეული. 5 მარტს გამოცემულ იქნა მთავრობის დეკრეტი მანუფაქტურაზე ზედნადები ხარჯების შემცირების შესახებ. დეკრეტის გამოცემის დღიდან 1-ლ აპრილამდე საშუალოთ ფასების დაკლება გამოიხატა 5.93 პროცენტში მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის დარგში, ხოლო სახელმწ. ვაჭრობაში გატარდა 4 პროც. დაკლება და „ტიფტორგის" ხაზით—3 პროც. დაკლება. ფასების დაკლება ხდება უმთავრესად ზედმეტი მოგების ზედნადები ხარჯების შემცირების და აპარატის გამარტივების ხარჯზე.

ფასების დაკლების კამპანიის შედეგების შესახებ პროვინციიდან უკანასკნელი თვის განმავლობაში არ მოსულა ცნობები, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ სოფლად ფასების დაკლება გადააჭარბებს 3 პროცენტს.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი სავაჭრო დაწესებულებები ამახინჯებენ ფასების დაკლების ლოზუნგს და ფასების დაკლებას ატარებენ იშვიათ მოთხოვნილების საგნებზე.

მოხსენების დასრულების შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი.

მუშათა ცხოვრება

წინ წასწიეს

„ზეთსახდელ საპნის ტრესტში" მუშაობს ამხანაგი ვანო ნაფეტვარიძე 1915 წლიდან, ე. ი. განუწყვეტლივ 12 წელიწადი ზეინკლად და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. როგორც მუყაითი და პირნათელი მუშა—მცოდნე ის წინ წასწიეს და გადაიყვანეს „ერ მაზის" დირექტორის



ამხ. ვანო ნაფეტვარიძე

თანაშემწედ, რომელმაც ძალიან ენერგიულად მოჰკიდა ხელი თავის მოვალეობის ასრულებას.

ამხანაგი ვანო ბიჭიასძე ნაფეტვარიძე ახალგაზრდა კაცია, მაგრამ მიუხედავად ამისა 27 წელიწადია დაქირავებული მუშობს. იმედია, ახალ მოვალეობას გაათკეცებული ენერგიით გაუძღვება და სამაგალითო იქნება წინ წაწეულთა რიგებში.

მაქრო ნავთლუღელი.

ჯიუტობაა თუ გამოუცდელობა

19 მარტს, საღამოს 6 საათზე თბილისიდან ბათომისაკენ გაგზავნეს სატვირთო მატარებელი № 340 წონით 75 ათასი ფუთი. ორთქლმავალზე მემანქანეთ იყო მოქ. ვერეჟენკო. მცხეთაში ჩასვლისთანავე მემანქანე ვერეჟენკომ განუცხადა სადგურის მორიგეს, რომ თუ არ დამიკლებით მატარებლის შემადგენლობის რიცხვი, აქედან ფეხს არ გადავდგამო. მემანქანე ვერეჟენკომ ათ საათზე მეტი შეაჩერა მატარებელი სადგ. მცხეთაში და ბოლოს სრულებით თავი მიანება მატარებელს და დაბრუნდა უკანვე თბილისში ცალი ორთქლმავლით. საყუდში არსებობს ეგრედ წოდებული შეკეთების წიგნი, სადაც იწერება თუ რას შეკეთება სჭირდება ორთქლმავალს. ვერეჟენკომაც ჩასწერა ხსენებულ წიგნში, თუ რა იყო შესაკეთებელი. მაგრამ მისი შეკეთება არ იყო შესრულებული, რადგანაც ორთქლმავალს არავითარი შეკეთება არ სჭირდებოდა. მეორე უბნის უფროსმა გამოუძახა მეორე მემანქანეს ამხ. წიწვიძეს და მასთან ერთად გაგზავნა იმავე ორთქლმავლით მცხეთისაკენ, მცხეთაში დატოვებულ მატარებელი მოება ხსენებულ ორთქლმავალს და უმტკივნეულოდ ჩაიყვანა ხაშურში. ეს მატარებელი დღესაც მუშაობს, როგორც ყოველთვის ჯანსაღი.

ძალაუნებურად იბადება კითხვა: რისთვის დაიწუნა მოქ. ვერეჟენკომ ხსენებული ორთქლმავალი? აქ აშკარად უნდა ითქვას, რომ მოქ. ვერეჟენკოს ასეთი მოქმედება ან არის ჯიუტობა, ან უცოდინარობა, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება და ხელმეორედ უნდა იქნეს მოქ. ვერეჟენკო გამოცდილი.

მუშკორი ნაშიდური.

რა უშლის ხელს კედლის გაზეთების გამოცოცხლებას

ხშირად გაიგონებთ: ჩვენს კედლის გაზეთში მუშები არ იღებენ მონაწილეობას, კედლის გაზეთის გამოშვება უმთავრესად ორ-სამ კაცს უხდება. ამას ჩივიან არა რომელიმე საბჭოთა დაწესებულების მომუშავენი, არამედ დიდი წარმოების მუშები, სადაც სამ ათასამდე მუშაა. ასეთ წარმოებაში 2—3 კაცი სცემს კედლის გაზეთს, დანარჩენი მუშები კი განზე არიან დამდგარი, თითქოს ეს კედლის გაზეთი მათ არ ეკუთვნოდეს, მათ ჭირ-ვარამზე არ მოგვითხრობდეს, მათი წარმოების მტკივან ადგილებზე არ მიგვითითებდეს, ამ წარმოების მიღწევებს არ გვიშუქებდეს.

რით აიხსნება მუშათა მასების ასეთი გულგრილობა კედლის გაზეთისადმი?.. ზოგიერთი ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ იმ მუშებს, რომლებიც შენიშვნებს ათავსებენ კედლის გაზეთში ამა თუ იმ ნაკლის შესახებ, სდევნის ადმინისტრაცია, ითხოვს სამსახურიდან, გადაჰყავს ერთი ადგილიდან მეორეზე და სხვა. ამან ერთხელ დააშინა მუშები და ამის შემდეგ აღარ უნდათ მონაწილეობა მიიღონ გაზეთში. ამბობენ კიდევ, რომ კედლის გაზეთში მოთავსებულ შენიშვნებს არავინ ყურადღებას არ აქცევს, ნაკლი გამოუსწორებელი რჩება. ამან გული გაუტეხა მუშებს და ჩამოაშორა კედლის გაზეთს.

ამ მიზეზებთან ერთად სახეში მისაღებია, რომ ერთობ მოისუსტებს პარტიული და პროფორგანოების ხელმძღვანელობა კედლის გაზეთებისადმი. ამ ორგანოებმა ისე ვერ მოაწყვეს საქმე, რომ ადმინისტრაცია პატივისცემით ეპყრობოდეს კედლის გაზეთს და მუშებშიც განმტკიცებულიყო კედლის გაზეთის ავტორიტეტი.

რით უშველით ახლა საქმეს? უნდა დავაარსოთ მუშკორთა პატარა წრე მკითხველთაგან, რომლებიც აქტიურად იმუშავებენ კედლის გაზეთში. შემდეგ ამ წრეში თანდათან უნდა ჩავითრიოთ რაც შეიძლება მეტი მუშები. შემდეგ, აუცილებელია პარტიულ და პროფორგანოებმა გააძლიერონ სწორი ხელმძღვანელობა: შეებრძოლონ მუშკორთა მალულ დევნას, მუშკორთა შენიშვნები უყურადღებოდ არ უნდა რჩებოდეს. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს საერთოდ კულტურული მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს კედლის გაზეთის გამოცოცხლებას. საჭიროა ამ გზით მუშაობის წარმართვა, რომ შევძლოთ კედლის გაზეთებში მუშების ჩაბმა.

ორთქლმავლები არ იწმინდება

ვინ არ იცის, რომ დაზოგვის პოლიტიკა ერთ ერთი მთავარი საგანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად გამაგრებისათვის, მაგრამ იმგვარი ეკონომია, რომელსაც ზიანი მოაქვს წარმოებისათვის, უნდა დაგმობილ იქნეს. მაგ. თბილისის რკინის გზის საყუდში უკვე სამი თვე გადის არ ღირსებია ორთქლმავალთა საწმენდი მასალა ძენძები, ჩვრები და სხვ. ორთქლმავლები უსუფთაოდ არიან. კაცი ვერ გაარჩევს რა მასალისგან არის გაკეთებული მისი ნაწილები. ყველა მოძრავ უძრავ ნაწილებს ციდა სისქე ტალახი აზის. ტეხნიკური დებულება მოითხოვს, რომ მანქანის მოძრავი ნაწილები მუდამ უნდა იწმინდებოდეს, რომ დაზიანებული ადგილი დასანახი გახდეს მემანქანისათვის და მოსალოდნელი მარცხი აცილებული იქნეს. ეხლა კი არამც თუ გაბზარული, გაპობილიც კი გაჭირდება დაინახოს კაცმა ისეთ შელესილი სქელი მაზუთიანი ტალახით ყველაფერი. გუნდებს სახლიდან მოაქვთ ჩვრები. ამის გამოსასწორებლად იწუხებს თავს ვინმე? არავინ. საყუდის უფროსების საყვარელი ფრაზა არის: „როგორმე იოლად წადით". შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ მთავარ სახელოსნოში მასალის ნაკლებობა იქნებოდა. ეს არაა მართალი. მასალა საწყობში საკმარისია, მაგრამ საყუდისათვის ნორმა შეამცირეს იმ ზომამდე, რომ მიმდინარე აპრილის თვისათვის არ დარჩა არც ერთი გირვანქა საწმენდი მასალის მიღების იმედი.

ამის შესახებ საყუდის კედლის გაზეთშიაც იწერება, მაგრამ რა, მას ანგარიშს არავინ არ უწევს.

ბელარა მემანქანე.

უბილეთო მგზავრების შესახებ

მრავალი იწერება და კრებებზეც ისმება საკითხი იმ თავგასულ უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ ზომების მიღების შესახებ, რომლებიც დაამუხრუჭებენ შემადგენლობას და თავისუფლად ჩამოსხდებიან. ამას მოსდევს მთელი უბედურება—შემადგენლობის გაჩერება, მისი გაწყვეტა, მატარებლის შეჩერება, განრიგების არევ-დარევა და სხვა.

სამმართველომ ამისათვის გამოჰყო მცველთა რაზმი, რაც აუარებელ ხარჯებს თხოულობს. ჩვენდა საუბედუროდ ზოგი სადგურის მორიგე თავიანთ ნათლიმამებისათვის მზად არის, თუ გინდათ მთელი შემადგენლობა დაამსხვრიოს. 1 აპრილს სადგ. გრაკალის მორიგემ გამოიჩინა გულკეთილობა თავის ნათლიმამის წინაშე, გააჩერა მატარებელი, დასვა შიგ თავისი ნაცნობი და შემდეგ მოგვცა წასვლის ნიშანი.

ამავე დღეს სადგ. გორში საგზის № 322 მიაწოდეს კვერთხი, რომ მას შეუჩერებლივ გაევლო გორი, მაგრამ მგზავრებმა ბოლოდან 15 ქვაბზე გადახსნეს სახელური და მთელი შემადგენლობა შეაჩერეს.

აი, რას სჩადიან უბილეთო მგზავრები და ამაში ხშირად ხელს უწყობენ სადგურის მორიგეებიც.

როდის მოეღება ბოლო.

მუშკორი შავსოფლელი.

პასუხად „ჟანს"

„კომუნისტი"-ს №—70-ში მოთავსებულია მოქ. „ჟანის" შენიშვნა სათაურით: „ფასების დაკლება სახელგამში". ავტორი სწერს:

„ამ დღეებში სახელგამმა შეიძინა ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობიდან სახაზავი ქაღალდი ცალი 32 კაპ., ხოლო სახელგამი ჰყიდის მანეთად ცალკე მოწაფეებზე და სასწავლებლებზე 10 პროც. დაკლებით". ბოლოს იგი დასძენს: „ვინც ფასების საკითხს ისე უდგება, როგორც სახელგამი, მათ—„ჭკუა" უნდა ვასწავლოთ და „მადა" შევუმციროთო".

სახელგამს საჭიროდ მიაჩნია შემდეგი აღნიშნოს: ვატმანის ქაღალდი მას ა.-კავკასიის სხვა სახელგამებთან ერთად მიღებული აქვს, როგორც საიმპორტო საქონელი. ზემოხსენებული ქაღალდი მზადდება საბჭოთა კავშირშიაც და სახელგამი დიდს უმეტესობას აქაურ ბაზარზე ყიდულობს. უკანასკნელი ნასყიდობა მას დაუჯდა ფურცელი 76, 211 კაპეიკად, ასე რომ 1 მანეთი ფასი სრულიად არაა ძვირი; პირიქით, ეს არის მინიმუმი რაც სახელგამმა უნდა აიღოს, რათა არ იზარალოს. (იხ. 1927 წლის მარტის 23 მომართვა „Международная Книга"-სი). ქაღალდი მიღებულია სულ 301 ფურცელი ზომით 72×108—მაშინ როდესაც ადგილობრივი ქაღალდები, რომელიც ზომით 50×80-ს. იყიდება მანეთად. საერთოდ ამ უკანასკნელ დროს სახელგამმა ყველა საქონელზე ფასები დაუკლო საშუალოდ 5 პროც. ცხადია, საბჭოთა კავშირის სავაჭროებს არ შეუძლიათ შემთხვევით შეძენილი საქონელი გააიაფონ და ამით კავშირის მრეწველობას ძირი გამოუთხარონ. მოქ. „ჟანს" ეს უნდა სცოდნოდა, სანამ ასეთი ბრალდებებით გამოვიდოდა პრესაში.

სახელგამის გამგე ბ. ბიბინეიშვილი.

მუშათა ქრონიკა

— **საღამო ჟურნალ „მიზნის" ფონდის გასაძლიერებლად.** შაბათს, 9 აპრილს, საღ. 8 საათზე მუშა მწერალთა ჟურნალ „მიზნის" ფონდის გასაძლიერებლად რესპუბლიკის სახალხო მსახიობის ნიკო გოცირიძის მონაწილეობით ლენინის სახელობის ტყავტრესტის მუშათა კლუბში (ორთაჭალა) გაიმართება საღამო. ირიდ. რჩევა დარიგდება.

წითელ ჯარში

თავდაცვის საქმე და ქალთა მონაწილეობა მასში

საქართველოს ტერიტორიაზედ მრავლად არის სამხედრო კუთხეები, სამხედრო საქმის შემსწავლი წრეები და თ. ხ. ს—ავიოქიმის უჯრედები, რომელთა საშუალებითაც მოსახლეობა იძენს სამხედრო ცოდნას და ემზადება ქვეყნის დასაცავად მტრების თავდასხმისაგან.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, მოსახლეობა იჩენს დიდ ინტერესს სამხედრო საქმიანობისადმი და შეგნებულად ეწერება ამათუ იმ წრეში და საზოგადოების უჯრედში.

ამავე ცნობებიდან ჩანს, რომ სამხედრო საქმიანობაში ქალები სრულიად არ არიან ჩაბმულნი და არ იღებენ არავითარ მონაწილეობას სამხედრო კუთხეების მუშაობაში. მაშინ როდესაც სოფლის და ქალაქის ახალგაზრდობა მრავლად არის ჩაბმული სამხედრო ცოდნის წრეებში და თავდაცვის საზოგადოების უჯრედებში ქალები სდგანან განზე და არ იძენენ არავითარ სამხედრო ცოდნას.

ეს, უეჭველია, არის დიდი ნაკლი, რომლის გამოსწორებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ეს ნაკლი გამომდინარეობს იქიდან, რომ ქალებისათვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები სამხედრო კუთხეებში და თ. ხ. ს.—ავიოქიმის უჯრედებში. მათთვის არ მოიპოვება იქ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულება შეეძლებათ მათ.

სამხედრო კუთხეების და თ. ხ. ს.—ავიოქიმის ვალია შექმნას ისეთი პირობები, რომ ქალებს ჰქონდეთ საშუალება იარონ მეცადინეობაზე და შეიძინონ ისეთი ცოდნა, რომელიც გამოადგება მათ ომის დროს.

სამხედრო საქმიანობაში მთავარი ყურადღება დღეს მიქცეული აქვს სასროლო საქმეს, ის უეჭველია ვერ დააკმაყოფილებს ქალებს.

უპირველეს ყოვლისა სამხედრო კუთხეებთან და თ. ხ. ს.—ავიოქიმის უჯრედებთან შექმნილ უნდა იქნეს სამხედრო-სანიტარული წრეები. ამ წრეების საშუალებით ქალებმა უნდა გაიცნონ დაჭრილთა მოვლა და პირველი დახმარების აღმოჩენა ბრძოლის დროს.

შემდეგ ქალები უნდა ჩაიბან ქიმიურ წრეების მუშაობაში. უნდა შეისწავლოთ ქიმიური ბრძოლის წარმოება და საშუალებანი, ნიღბების ხმარება და მოვლა გაზებით მოწამლულების. ეს საჭიროა იმიტომ, რომ მომავალი ომი იქნება ქიმიური.

იმ წარმოება-დაწესებულებებში და ნაწილებში, სადაც თავმოყრილნი არიან ქალები შექმნილ უნდა იქნეს სამხედრო საქმის შემსწავლელი წრეები და მიღებულ უნდა იქნეს ზომები ქალების მეტი რიცხვის ჩასაბმელად მათ მუშაობაში.

ი. ა.

გასამხედროების ფრონტზე

სამტრედიის რკინისგზის კლუბთან დაარსებულია სამხედრო კუთხე, სადაც რკინის გზელები იძენენ სამხედრო საქმეს. მუშაობას კუთხეში ხელმძღვანელობს ადგილობრივი სამხედრო ნაწილი, რომელსაც ამისათვის გამოჰყოფილი ჰყავს მეთაური.

ამ რამოდენიმე დღის წინათ კლუბში შესდგა რკინის გზელთა საერთო კრება, კრებაზე მოსმენილ იქნა მოხსენება მოსახლეობის გასამხედროების შესახებ და ამოცანების შესახებ. მოხსენებამ გამოიწვია დიდი ინტერესი, მუშების მხრივ იყო მრავალი შეკითხვა.

კრებამ დაადგინა, რომ რკინის გზის კლუბთან ჩამოყალიბებულ იქნას თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის უჯრედი. ამისთვის უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები, არჩეულია 7 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა უჯრედის მოწყობა და შეძენა სათანადო მასალების და ლიტერატურის.

სამკორთა შორის

(№ ქართ. მხრ. დივიზია)

ბოლო დროს სამკორთა საქმიანობა დივიზიაში შესამჩნევად გამოცოცხლდა. სამკორთა წრეები აწარმოებენ გაცხოველებულ მუშაობას. ახალწვეული წითელ არმიელნი იჩენენ დიდ ინტერესს საქმისადმი და ეწევიან ენერგიულ მუშაობას წრეებში.

ამჟამად დივიზიაში არსებობს 22 სამკორთა წრე, მათ მუშაობაში ჩაბმულია 336 არმიელი, რომელთა შორის 210 კაცი ახალწვეულია.

წრეებში სწავლობენ საგაზეთო საქმეს, კორესპონდენციების წერას და კედლის გაზეთის ტეხნიკას.

წრეები მეცადინეობენ წინასწარ გამომუშავებულ გეგმის თანახმად, გამოცდილ ამხანაგების ხელმძღვანელობით.

ყოველ ასეულს აქვს თავისი საკუთარი კედლის გაზეთი. ამჟამად დივიზიაში გამოდის 35 ასეულის და 3 ლეგიონის კედლის გაზეთი.

სამკორთა საქმიანობაში წითელ არმიელთა გარდა ჩაბმულნი არიან მეთაურნი და პოლიტ-შემადგენლობა.

ხშირად ლეგიონის ფარგლებში იმართება სამკორთა მეთოდიური თათბირები, რომლის საშუალებითაც სამკორნი ეცნობიან ერთი მეორეს და იძენენ საქმისათვის გამოსადეგ ცოდნას.

რ.

წვევამდე მზადება

(სიღნაღის წერტი)

წვევამდელთა მომზადებამ დიდი ნაყოფი მოიტანა. სიღნაღის წერტზე მეცადინეობა მოთავდა თებერვლის დამლევს და დაიწყო გამოცდები წვევამდელების მიერ შეძენილ ცოდნის გამოსარკვევად.

გამოცდები ჩატარდა სასურველად, როგორც სამხედრო, ისე პოლიტ - ცოდნაში. 80 პროც. ჩააბარა კარგად, 15 პროც. დამაკმაყოფილებლად, 5 პროც. სუსტად. გამოცდების შემდეგ წვევამდელები განთავისუფლებულ იქნენ და მათ მიეცათ სათანადო მოწმობები. წერტზე დაიწყო ახალი მზადება 1906 წ. დაბადებული წვევამდელების შესახვედრად.

ვაჟ.

მოხალისეების მიღება წითელ ჯარში

მიმდინარე წლის 25 თებერვლიდან დაიწყო მოხალისეების მიღება წითელი ჯარის რიგებში. მიღება იწარმოებს 1 მაისამდე.

მოხალისეთ მიიღებიან ახალგაზრდები, დაბადებულნი 1903, 1904 და 1905 წლებში, რომელთაც წინათ არ უმსახურიათ ჯარის რიგებში.

სპეციალური ბრძანება, გაცემული კავკასიის წითელ დროშიანი არმიის სარდლის მიერ, განსაზღვრავს მოხალისეთა მიღების წესს.

არ მიიღებიან მოხალისეებათ მოქალაქენი, რომლებიც იმყოფებიან სასამართლოს ან გამოძიების ქვეშ, უფლება აყრილნი სასამართლოს დადგენილებით, ადმინისტრატიული წესით გადასახლებულნი და უვარგისნი წითელი ჯარისათვის ჯანმრთელობის მხრივ.

მოქალაქენი, მიღებული მოხალისეებათ [illegible] ვალდებულნი არიან იმსახურონ [illegible] 1 წელი და გაიწვევიან უვადო შვებულებაში მორიგ [illegible] ერთად, ე. ი. 1928 წლის შემოდგომაზე.

მოხალისეთა მიღების უფლება აქვს ნაწილის უფროსს შტატის ნორმების ფარგლებში.

მოხალისეები მიიღებიან მხოლოდ სამწყობრო ნაწილებში და სამწყობრო თანამდებობაზე.

იმ მოქალაქეთ, რომელთაც სურთ მოხალისეთ შესვლა და აქვს ამისი უფლება, უნდა მიმართონ სათანადო განცხადებით იმ ნაწილის უფროსს, რომელშიაც მათ სურთ სამსახური.

აგარაკი მუაში

(სვანეთი)

აგარაკი მუაში მდებარეობს ქვემო-სვანეთის და ლაშხეთის თემში.

თავის სამხრეთ ნაწილით ის მთაგრეხილს ეყრდნობა, დანარჩენი მისი ნაწილები კი გაშლილია და მთელს ლაშხეთის ხეობას ამაყად გადაჰყურებს. აქედან თვალს საუცხოვო პანორამა ეშლება და მაყურებელი განცვიფრებაში მოყავს დიდ მანძილზე გაშლილ ბუნების სილამაზეს. თვალს იტაცებს ცხენის-წყლის ორთავ, საკმაოდ გაშლილ ნაპირებზედ გაშენებული ლაშხეთის თემის, 13 სოფლის მდებარეობა.

მაღალი ხშირი ტყით დაბურვილი ქედები და შავი ზღვის სიახლოვე ხელშემწყობ პირობებია გაზაფხულის ხშირი წვიმების. ამ ხანში, ჰავაც, წელიწადის სხვა დროსთან შედარებით, უფრო ნესტიანია. წვიმიან დღეთა რაოდენობის უმეტესობა გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულის პირველ თვეებში ხვდება. დანარჩენი წლის თვეები საკმაოდ მშრალი და მზიანია. ივლისის პირველ რიცხვებში შემჩნეულ ხშირ წვიმებს ჩქარი, გარდამავალი ხასიათი აქვთ. ნისლიან დღეთა რაოდენობაც ზაფხულის პირველ თვეებში ძლიერ კლებულობს და სეზონის განმავლობაში იშვიათი მოვლენაა.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთით, თანდათანობით ერთმანეთს მისდევს შქერის თავივით მაღალი, კოხტად ავარდნილი სალი კლდეები, ღობისა და ჩიხარეშის მთები, აგრეთვე მაღალი, ჯიხვით და არჩვით ქებული ორად გაყოფილი კლდოვანი ხუდონის მთა და ყინულიანი ზესხვა. შემდეგ მარჯვენიდან მარცხნივ მიემართებიან ძალზე რადიაქტიული დადიშისა და ფიჩხორის ნახევარ რკალოვანი შავი კლდეები, გორვაშის ოსმალოს კეხის მაგვარი მთა, ლატფარის, მუშურისა და ლასილის ზემო-სვანეთის გადასასვლელები, რომელთა პანორამები თავიდანვე იზიდავენ მგზავრთა ყურადღებას.

აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმდინარე ცხენის-წყალი ლაშხეთსა და მის მთაგრეხილებს შუა არღვევს და დასავლეთის ქედებში იმალება. მთები, თვალუწვდენელი კონცხებითა და თხემებით, ვაკეები, ფიჭვ-ნაძვნარის ტყეები, დაკლაკნილი, ვერცხლივით მზის შუქზე მოელვარე გიჟი მდინარეები და მრავალფრად ამწვანებულ - აყვავებული მდიდარი სოფლები და აქვე ამომდინარე ფურცხუნა მჟავე წყლები, იშვიათი სილამაზითაა ერთმანეთში შეზავებული.

პირველი პლატო მდებარეობს 1.400 მ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან. აქვე გაშენებულია მოაგარაკეთათვის საცხოვრებელი ბინები რიცხვით—40 ფიცრული ოთახი. ასეთივე პლატოები რამოდენიმე ათეულია, მათ შორის პირველი პლატოს ზედაპირის სივრცე ყველაზე მეტია, სადაც შეიძლება მოთავსდეს რამდენიმე ათასი მოაგარაკე. პირველი პლატო, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მოთავსებულია განსაკუთრებულად წინ გამობურთულ გორაკზე და ეყრდნობა მთის კალთას მხოლოდ მისი სამხრეთ ნაწილით, დანარჩენი მისი მხრები გაშლილია და ქვემოდ მდებარე სოფელში საკმაო დაგუზებით ეშვებიან. მისი ამდაგვარი მდებარეობა ფრიად სასურველია ერთის მხრივ იმ პირობებისა გამო, რომ სხვა მთის ფერდოები მას მზისაგან არ იფარავენ და მზე დილას შედარებით ადრიანად და უხვად ანათებს მას. საღამოობით კი გვიან სცილდება.

ნაძვის და ფიჭვის ტყე, რომელიც ამკობდა აგარაკის ისედაც დიდებულ ჰაერს და კიდევ მაღლა სწევდა მის მკურნალობით ძალას, ამჟამად თითქმის განადგურებულია და დღისაც ისპობა. აღმოსავლეთით აგარაკს თან ახლავს, მშვენიერი მინდვრები ლამაზი ყვავილებით, რომელთა სინაზე და მიმზიდველი სუნი საამურ საყნოსველად ხდის აგარაკის ჰაერს.

აგარაკის მკურნალობითი ძალა და მნიშვნელობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ აქვე გავითვალისწინებთ აგარაკის შუა პლატოში მიწის სიღრმიდან გამუდმებით ამომჩქუხვარე ტუტე-კირიან წყაროს, რომელმაც უხსოვარი დროიდან მოუხვეჭა ლაშხეთს მკურნალობითი სახელი. ორგანიზმში ის კატალიზატორის როლს თამაშობს; რამაც ძალზე უნდა ასწიოს წყაროს მკურნალობითი ეფექტები. ამ წყაროს მკურნალობით ძალას და მნიშვნელობას კარგად გრძნობდენ და აღნიშნავდენ ყველა ისინი, რომელთაც ერთხელ მაინც უგემიათ და განუცდიათ მისი შედეგები.

ამავე აგარაკის ზემოთ, 300-400 მეტრით დაშორებით პლატოზე გამომდინარეობს კიროვან-რკინიანი წყლები, ერთ ლიტრ წყალს, რომელიც იხმარება სისხლნაკლულოვანობისა და სხეულის სხვადასხვა მიზეზებისგან გამოწვეულ ქავილის დროს დადებითი შედეგები მოაქვს. რკინიანი წყაროები, გაცილებით უფრო მეტი რკინის შემადგენლობით მრავლად მოიპოვება ამავე თემში და ლეჩხუმის სხვა თემებშიაც.

საქართველოს ფართო მშრომელ მასის ჯანმრთელობისათვის ზრუნვა გადაუდებელ ამოცანად უყენებს სახელმწიფოს ხსენებულ აგარაკს შესაფერი ყურადღებით მოეპყრას, რაც არამც თუ დიდ მეცნიერულ ინტერესებს წარმოადგენს, არამედ ამდენადვე დიდს პრაქტიკულ ხეირიანობასაც.

არდევან აჭვლედიანი.

მუზეუმში

ძველი ფულების შეწირვა

საქართველოს მუზეუმს ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ გადასცა ოთხი ძველი სპილენძის ფული, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ წარსული საუკუნეების შესწავლისათვის. სპეციალისტების აზრით აღნიშნული ფულები ეკუთვნიან თამარ მეფის ხანას.

„მუზეუმის მოამბე"

იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა „საქ. მუზეუმის მოამბე" № 8, რომელშიაც მოთავსებულია სხვადასხვა გამოკვლევები, ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჰერბარიუმი

მუზეუმმა სომხეთის უნივერსიტეტს დასამუშავებლად გადაუგზავნა ბოტანიკურ ჰერბარიუმი.

ერევნის უნივერსიტეტიდან მუზეუმში სამუშაოთ მოვლინებული იყო ასისტენტი, რომელმაც თბილისში დაყო 8 თვე.

რკინისგზაზე

ახალი რონოდების გამოცდა

ა. კ. რკ. გზამ გზათა მიმოსვლის კომისარიატიდან მიიღო ახალი, ოთხ ღერძიანი რონოდები, დამზადებული საბჭოთა კავშირში.

ამ რონოდების გამოცდამ ა. კ. რკ. გზებზე დადებითი შედეგი გამოიღო.

კაზანცევის მუხრუჭების ცუდად ხმარებისათვის

კაზანცევის მუხრუჭების გამოცდამ დადებითი შედეგი გამოიღო, მაგრამ ზოგიერთი რკინისგზელების მხრივ მუხრუჭებისადმი ცუდი მოპყრობა და მისი თვისების უცოდინარობა ზოგჯერ არასასურველ შედეგებს იწვევს.

ასეთ ცუდ მოპყრობას მუხრუჭებისადმი ადგილი ჰქონდა მემანქანე ზაგრებინის და მზეთავ ბაშიროს მხრივ.

ამის გამო ა. კ. რ. გზ. შემთხვევებთან მებრძოლ საგზაო კომისიამ მემანქანე ზაგრობინი ჩამოაყენა მემანქანის თანაშემწის თანამდებობაზე. ხოლო მზეთავი ბაშირო მოხსნა სამსახურიდან და გადაიყვანა საყუდის სამუშაოებზე.

ქრონიკა

ფართლეული ა.-კავკასიისათვის

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატში მოსკოვიდან მიღებული ცნობით, ამიერ-კავკასიაში მიმდინარე წლის მესამე მეოთხედში შემოტანილი იქნება 250 რონოდა ბამბეულის ქსოვილება.

ფასების დამკლებ საქ. კომისიის სხდომა

ორშაბათს ა.-კ შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბინაზე შესდგება საქართველოს საუწყებათაშორისო ფასების დამკლებ კომისიის სხდომა.

კომისია განიხილავს ფასების დაკლების შედეგებს პირველი მარტისათვის.

ცეკავშირის საბჭოს სესია

10 აპრილს შესდგება ცეკავშირის საბჭოს პირველი სესია.

სესია მოისმენს მოხსენებებს: ცეკავშირის მუშაობის და ფასების დაკლების შესახებ. ამასთანავე სესიაზე განხილული და დამტკიცებულ იქნება გამგეობის მოქმედების გეგმა წლის მესამე მეოთხედისათვის.

ვაზის მყნობა

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილებამ შეადგინა სახელმძღვანელო ამერიკულ ვაზის მყნობის დარგში. ეს სახელმძღვანელო გამოყენებული იქნება ამერიკულ ვაზის მყნობის კურსებზე ლექციების და საუბრების დროს.

ლარინგოლოგების ყრილობა

ჯამრთელობის სახალხო კომისარიატმა მიიღო მოწვევის ბარათი, ყურის, ყელისა და ცხვირის ავათმყოფობათა მკურნალობის (ლარინგოლოგების) სრულიად საკავშირო ყრილობაზე. ყრილობა მოწვეულია მოსკოვში 26 აპრილისათვის და მასზე დასაწესებლად მოწვეული არიან ყველა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

ვენახის წამლობა

მიწათ-მოქ. სახ. კომისარიატმა დაბეჭდა 10.000 ცალი წიგნაკი, სადაც დაწვრილებით ახსნილი და განმარტებულია, თუ როგორ უნდა უწამლონ გლეხებმა ვენახებს ობით და ნაცრით დაავადების დროს. წიგნაკები უფასოდ დაურიგდება მევენახე გლეხებს. წიგნი დაწერილია მდაბიო ენით.

მფრინავ გარაყანიძის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი სპორტსმენი-ავიატორი ამხ. გარაყანიძე.

22 იანვარს ამხ. გარაყანიძე მოსკოვიდან გაფრინდა, მის ხელმძღვანელობით აგებულ ჰაეროსტატზე. მფრინავმა ჰაერში დაჰყო დაახლოვებით 16 საათი და უაღრესად არახელსაყრელ პირობებში გაიარა 1.000 კილომეტრი.

თავისი გაფრენით ამხ. გარაყანიძემ დაამყარა ჰაეროსტატით ფრენის მსოფლიო რეკორდი.

თბილისის ბირჟის ბრუნვა

თბილისის საქონლის ბირჟის ბრუნვა მარტში, თებერვალთან შედარებით გაიზარდა 31 პროცენტით. თუ ბრუნვა თებერვალში უდრიდა 5.800.000 მანეთს, მარტში იგი გაიზარდა 7.600.000 მანეთამდე.

ბრუნვები გაიზარდა როგორც სამრეწველო, ისე სასოფ.-სამეურნეო ჯგუფების საქონელზე და ნედლეულზე.

ბრუნვის შემცირებას ადგილი ჰქონდა ტყავეულზე.

თბ. აღმასკომში

◆ **ადგილობრივი გადასახადების** გადახდის ვადის გაგრძელება, გადასახადის განაწილების, ან ნარჩენის ჩამოწერის უფლება გადაეცა სამაზრო საგადასახადო კომისიას, ხოლო გადასახადის შესახებ აღძრული საკითხები გადასაწყვეტად გადაეცემა თბ. აღმასკომის პრეზიდიუმს.

◆ **ავიოქიმის** ა.-კ. საზ-ბას კომუნალურ და საიჯარო ქირაში მიენიჭა 50 პროც. შეღავათი.

◆ **თიანეთის ხე-ტყის ქარხნის** გასაფართოვებლად გადადებულია 3.000 მან.

◆ **შეფასებითი გადასახადის** შეტანა შეიძლება ორ ნაწილად. პირველი ნაწილი შეტანილი უნდა იქნას 15 ივნისამდე, ხოლო მეორე ნაწილი 15 აგვისტომდე.

◆ **ზაჰესის სკვერი.** ზაჰესკომმა შუამდგომლობა აღძრა აღმასკომის წინაშე, ზაჰესში სკვერის გაშენების შესახებ. სკვერი გაშენებული იქნება აუზის იქითა მხარეს.

◆ **საგეგმო კომისიასთან** დაარსდა ფასების მომწესრიგებელი კომისია.

◆ **ამხ. ლადო სუხიშვილის** საკავშირო ყრილობაზე მივლინების გამო, მისი მოვალეობის ასრულება დაეკისრა ამხ. მესხს.

◆ **მცირე პრეზიდიუმი.** გამოყოფილი იქნა მცირე პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **სუხიშვილი** (თავმჯდ.), **ივანოვ-კავკასკი** (მოადგილე), წევრებად: **თხილავა, მესხი, ვართაპეტოვი.**

მეხილეობა

გორის მაზრაში ამჟამად მიმდინარეობს კამპანია ხეხილების სავალდებულო წამლობის შესახებ. ეწყობა გლეხებს შორის ლექციები და საუბრები. ნაწამლი ხეხილების ნაყოფის 70-80 პროცენტი გამოსადეგია საექსპორტოდ.

ტრამვაი

◆ **მთელ ქალაქში** ამჟამად მუშაობს სულ ტრამვაის 156 ვაგონი, მათ შორის 145 სამგზავრო.

◆ **ახალი ხაზი.** ლენინის რაიონში, საბჭოთა ქუჩაზე შეუდგენ ტრამვაის ახალ მეორე ლიანდაგის გაყვანას.

◆ **ორთაჭალაში** ეწყობა ტრამვაის პარკი, პარკი გაშენებული იქნება ენგელსის ძეგლის ახლოს და დაიტევს 40 ვაგონს.

◆ **ახალი რონოდები.** ტრამვაის სამმართველომ რუსეთში შეიძინა 110,000 ფუთი რონა ახალი ლიანდაგების გასაყვანად და ძველების შესაცვლელად.

◆ **სახელოსნოს გაფართოება.** ტრამვაის სახელოსნოებში მოეწყო ახალი ლითონის ჩამომსხმელი განყოფილება.

◆ **ახალი ვაგონები.** ტრამვაის სამმართველო ივნისის პირველ რიცხვებში მიიღებს მოსკოვიდან 20 ახალ ვაგონს.

კრებები და მოხსენებები

◆ **კვირას, 10 აპრილს,** შუადღის 12 საათზე 58 აუდიტორიაში დანიშნულია პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც დოც. **ს. დანელია** დაიცავს სადისერტაციო შრომას: „ქსენოფანე კოლოფონელი. თბილისი. 1926 წ.“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან დამსახ. პროფ. **გრ. წერეთელი,** პროფ. **შ. ნუცუბიძე და პროფ. დ. უზნაძე.**

შესვლა ბილეთებით. ბილეთების მიღება უფასოდ შეიძლება ყოველ დღეს 10—3 საათამდე სტუდენტთა საქმეების მდივანთან, უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

სახელგამის ახალი გამოცემანი

გამოვიდა და იყიდება სახელგამის მაღაზიებში **ვ. მ. მოლოტოვის**—„მე-15 პარტიული კონფერენციის შედეგები“. წიგნი შეიცავს 84 გვ. და ღირს 50 კაპ. და **რაჟდენ კალაძის** — „ეგნატე ნინოშვილი“ (ბიოგრაფია) წიგნი შეიცავს 190 გვერდს, ღირს 1 მან.

შემთხვევები

◆ **გაზეთების გამყიდველს** (რუსთაველის გამზირზე) ეგიშე ნაზარიანცს უცნობმა გაზეთის მყიდველმა მაგიდის უჯრიდან მოპარა 12 მანეთი.

◆ **კარის გატეხის** საშუალებით დიაცთა ველი, № 30, გაქურდეს გრიგოლ ვარდოსანიძის ბინა.

◆ **შეპყრობა.** 6 აპრილს ქურდობისათვის დააპატიმრეს ვინმე სარჩენკო.

◆ **პროფკავშირების შენობიდან** დომენტი კანდელაკს 6 აპრილს მოპარეს პალტო.

◆ **„ტიფტორგის“** სამმართველოდან დამლაგებელს აპოლონ ხეჩოევს მუშაობის დროს მოპარეს ტუჟურკა სხვადასხვა საბუთებით და ფულით.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით რიყის ქ., № 60, გაქურდეს მარიამ პოპოვას ბინა.

◆ ამავე საშუალებით მელიქოვის ქ., № 7, გაქურდეს აშოტ გრიგორიანცის ბინა. ქურდი ალექსანდრე მანუკოვი შეპყრობილია.

◆ **ადუღებული სამოვარის მოპარვა.** 6 აპრილს კლარა ცეტკინის ქ., № 128, არტაშეს ავეტისოვის ბინის დერეფნიდან მოიპარეს ადუღებული სამოვარი.

◆ **მკვლელობა.** სოფ. ჯანდარის მახლობლად (ყარაიას რაიონი) მოკლულ იქნა მწყემსი ყურბან მუსტაფა-ოღლი. მკვლელები აბიდ მამედ-ოღლი და ბაჰრამ მამედ ალი-ოღლი შეპყრობილნი არიან.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავენი.** 6 აპრილს ქურდობისათვის დააპატიმრეს მცირე წლოვანი გეურქ ლაზინოვი და ლევან ნასყიდოვი.

◆ **დაჭრა.** მოქ. მახმუდ ისა-ოღლის დაჭრისათვის შეიპყრეს ჯამალ ქიაბალ-ოღლი და მამედ სოიუნ-ოღლი.

◆ **გრამოფონის** მოპარვა. 6 აპრილს გორის ჩიხი, № 2, დარია ტერ-ავაქოვას ბინიდან მოიპარეს გრამოფონი.

◆ **სხვადასხვა ქურდობის** ჩადენისათვის 6 აპრილს შეიპყრეს მოსე გივნერი.

◆ 6 აპრილს როსტოვის ქ., № 22, ეკატერინე ალისარაშვილის ბოსლიდან მოიპარეს მოზვერი.

უბედური შემთხვევა სცენაზე

გუშინ, რუსთაველის თეატრში მიდიოდა რუსული დასის წარმოდგენა „შტორმ“-ი. წარმოდგენის დროს ერთ-ერთმა მსახიობმა პიესის მსვლელობის მიხედვით გაისროლა თოფი, რომლითაც უცაბედათ თეხში დაჭრა მსახიობი კოლომენსკი. მსახიობი დაჭრილია მსუბუქად. ის წაიყვანეს სასწრაფო დახმარების ეტლით საავადმყოფოში. წარმოდგენა შეწყდა.

ხილის სახმობი ქარხანა

მიწათმოქმედების კომისარიატის ხელმძღვანელობით გორის მაზრაში ეწყობა ხილის სახმობი ორი ქარხანა: ერთი შინდისში და მეორე—მეჯვრისხევში, რომლებშიაც ყოველდღიურად დამზადებული იქნება 300 ფუთი მშრალი ხილი. ქარხნებისთვის საჭირო მანქანები გამოწერილია გერმანიიდან. ამას გარდა გორში ეწყობა კოლექტიური საკონსერვო ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად გადაამუშავებს 200.000 ფუთ ნედლ ხილს. ამ საკონსერვო ქარხნის მოწყობილობაც აგრეთვე შეძენილია გერმანიაში.

აღნიშნულ ქარხნებში დამზადებული ხილი განზრახულია გატანილი იქნას საზღვარგარეთ და საბჭ. რესპუბლიკებში, რაც ძლიერ შეუწყობს ხელს გორის მაზრაში მეხილეობის განვითარების საქმეს.

ხორცის ბაზარზე

თბილისის საქონლის ბირჟის ხორცის პროდუქტების სექციის უკანასკნელ სხდომაზე გამოირკვა, რომ თბილისის კერძო ბაზარზე ხორცის პროდუქტებზე ფასების აწევა გამოწვეულია, საკლავ საქონლის შემორეკვის სეზონური შემცირებით (გაზაფხულის თვეებში საქონლის შემორეკვა ყოველთვის მცირდება).

სხდომაზე აღინიშნა ისიც, რომ ასეთი მოვლენა დროებითია. უკვე მიღებულია ზომები და ხორცით ვაჭრობის სააქციო საზოგადოება ამ დღეებში ჩრდილო - კავკასიიდან და სპარსეთიდან მიიღებს საკლავ საქონლის დიდ პარტიას. შესყიდულია 4.000 სული საქონელი.

საქონელი უკვე ჩამორეკილია ჯულფაში.

ხელოვნება

ბეთჰოვენის კვირეულის შედეგები

დიდი ბეთჰოვენის გარდაცვალების ასი წლის თავი აღნიშნულ იქნა მთელი რიგი საზეიმო კონცერტებით და კრებებით. ზეიმს საერთოდ სახელმწიფოებრივი ხასიათი ჰქონდა.

ბეთჰოვენის კვირეულის ჩატარებაში დიდი დამსახურება მიუძღვის განათლების სახალხო კომისარიატს რომლის ენერგიული მუშაობის წყალობით ზეიმი დიდი აღფრთოვანებით ჩატარდა.

კონცერტებში მონაწილეობა მიიღო თბილისის საუკეთესო ძალებმა. ზეიმი დაიწყო სტრადივარიუსის სახელობის ლენინგრადის კვარტეტის კონცერტით. შემდეგ, კონცერტებზე საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი ბეთჰოვენის ნაწარმოებების და ანსამბლების შესრულებას. აღვნიშნავთ, პიანისტ-ქალის დანილჩუკის, პროფ. ვილშაუს, მინიარის და მომღერალ-ქალ მიხალსკაიას შესრულებას. სახელმწიფო კონსერვატორიიდან კონცერტებში მონაწილეობა მიიღო პროფ. ტერ-სტეფანოვამ (ფორტეპიანოს მეხუთე კონცერტი) და პიანისტმა-ქალმა რეიმანმა

საინტერესო კონცერტი გაიმართა ვერის მუსიკალურ ტეხნიკუმში, სადაც გამოვიდენ პიანისტი-ქალი ცატუროვა და ვიოლინოზე დამკვრელი ჯალუშოვი. ნიჭიერმა არტისტებმა შეასრულეს სონატა ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის. პიანისტმა გროსმანმა და პიანისტმა ქალმა—პოლტარაცკაიამ შეასრულეს კრეიცერის სონატა. როგორც ვიოლინის, ისე სკრიპკის სონატა დამთავრებულად იქნა შესრულებული. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ასეთ საზეიმო კონცერტზე კრეიცერის სონატა მთლიანად არ იქნა შესრულებული.

მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ბეთჰოვენზე კუკის მუსიკალური ტეხნიკუმის დირექტორმა შოტნიევმა.

ბეთჰოვენის კვირეული დამთავრდა სიმფონიური კონცერტით, რომელზედაც შესრულებული იქნა ცნობილი მეცხრე სიმფონია. ორკესტრს დირიჟორობდა სახალხო არტისტი ვანო ფალიაშვილი. მეცხრე სიმფონია განმეორებული იქნება ამ დღეებში.

პ. გ.

მირა ელიავას (ვოლ-ლევიცკაია) კონცერტი

მირა ელიავა (სცენაზე ვოლ-ლევიცკაია) სამაგალითო საოპერო და საკონცერტო მომღერალია; რამოდენიმე წლის წინათ ის მუშაობდა ტფილისის საოპერო თეატრში.

პარიზიდან დაბრუნებისას მირა ელიავამ 6 აპრილს სახელმწიფო კონსერვატორიაში გამართა კონცერტი, რომელიც კამერული ვოკალური ლიტერატურის დამთავრებული მხატვრული შესრულების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

თბილისიდან გამგზავრების შემდეგ მომღერალ-ქალის ხმა კიდევ უფრო გაუმჯობესებულა. სიმღერა ისეთივე მაღალ მხატვრულ დონეზეა, როგორც წინეთ.

განსაკუთრებული სილამაზით შესრულა მირა ელიავამ რუს და ევროპიელ კომპოზიტორების მთელი რიგი ვოკალური ნაწარმოებები (შტრაუსი, დებიუსი, რუს კომპოზიტორებიდან—გრეჩანინოვი, გლაზუნოვი).

მუსიკოსი.

ხელოვნების ქრონიკა

— **რაბინდრანატ თაგორე ქართულად.** რედაქციამ მიიღო ინდოეთის გამოჩენილი მწერლის რაბინდრანატ თაგორეს მოთხრობა „მემკვიდრეობის დარაჯი“. წიგნაკს დართული აქვს ავტორის ბიოგრაფია სურათით, თარგმანი და გამოცემა სილ. თავართქილაძის, შეიცავს 30 გვ., დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 25 კ.

— **ჟურნალ „მიზანი“-ს სასარგებლოდ** შაბათს, საღამოს 8 საათზე, ლენინის სახელობის ტყავტრესტის კლუბში (ორთაჭალა) გაიმართება დიდი საღამო წარმოდგენით. დადგმული იქნება პიესა „მსხვერპლი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი **ნიკო გოცირიძე.**

შემდეგ გაიმართება დივერტისმენტი. მუშა-მწერლები წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს.

◆ **სახკინმრეწვს** თავის პავილიონების გასაფართოვებლად გადაეცა პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ბაღი (№ 166).

◆ **სომეხ მსახიობის ფაფაზიანის** 25 წლის იუბილე გაიმართება ამა თვის 20-ში.

◆ **ამხ. სერგო ამაღლობელის მოხსენება.** დღეს, 8 აპრილს, საღამოს 8 საათზე ხელოვანთა სასახლეში ამხ. ს. ამაღლობელი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე „თეატრი და კინო“.

სასამართლო

მიხ. აბულაძის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **ვეშაგოვის და თედოშვილის** მონაწილეობით გაირჩა **მიხეილ აბულაძის საქმე.**

მ. აბულაძე 1924 წ. წარმოკავშირის გამგეობის მიერ დანიშნული იყო რწმუნებულად ბორჩალოს მაზრაში ბამბის ოპერაციების ჩასატარებლად.

1926 წ. 7 ივლისს, წარმოკავშირის გამგეობამ წერილობით აცნობა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს, რომ წარმოკავშირის სალაროდან აბულაძეს მიღებული აქვს სხვადასხვა დროს 49.773 მან. 28 კ. გლეხებისაგან შესყიდულ ბამბის საფასურში და სხვა ხარჯების დასაფარავად. აბულაძემ წარადგინა მხოლოდ 43.402 მან. 27 კაპ. გასამართლებელი საბუთი.

6.370 მანეთი კი მიითვისა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ

მოწმეების ჩვენებით, აბულაძე კეთილსინდისიერი და ენერგიული მუშაკი იყო.

გამოირკვა, რომ აბულაძემ დაჰკარგა მისი დაუდევრობით 7.500 მანეთის საბუთები და შემდეგ ამ თანხის საბუთები აღადგინა იმ დაწესებულებიდან, რომელსაც მან ეს თანხა გადასცა.

შემდეგ მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

ექსპერტების დასკვნით, დანაკლისი უდრის არა 6.370 მანეთს, არამედ 2.190 მან.

სასამართლომ აბულაძე დამნაშავედ სცნო სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხ. (სამსახურისადმი გულგრილობა) მიხედვით, რისთვისაც მიუსაჯა მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასტიკი იზოლიაციით.

ერთი მანეთის გულისათვის

დასრულდა წინასწარი გამოძიება **იოსებ მაისურაძის და ანატოლი ბუხინის საქმეზე.**

მაისურაძე და ბუხინი ზებუთით შეიარაღებულნი წ. წ. 23 ივნისს, ყოფილ სომხური სემინარიის შენობასთან თავს დაესხენ მოქ. პეტრე ბაუკოვს, რომელსაც წაართვეს 1 მანეთი და პიჯაკი.

მეორე დღეს ბაუკოვი „სალდათის“ ბაზარზე წააწყდა ერთ-ერთ მოქალაქეს, რომელიც ჰყიდდა თავდამსხმელების მიერ წართმეულ პიჯაკს.

ბოროტმოქმედნი: მაისურაძე და ბუხინი დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს მაისურაძემ და ბუხინმა თავი სცნეს დამნაშავედ.

ვატმან გოგოლაშვილის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, დაიწყო ვატმან **ხ. გოგოლაშვილის** საქმე.

გასული წლის ივლისში ბრალდებული გოგოლაშვილი მართავდა ტრამვაის რონოდას (№ 15, მარშრუტი პირველი). კომინტერნის ქუჩაზე რონოდა დაეჯახა ჩაჩიკიანცს 8 წლის ბავშვს და გასრისა.

ბრალს სდებს პროკურორი **გრიგოლია,** ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ლვამიჩავა.**

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

სასამართლო შეუდგა მოწმეების დაკითხვას. განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

ბოროტმოქმედება ა.-კ. რკინის გზების სატყეო განყოფილებაში

1925 წ. 23 ივნისს, ერთ-ერთ ადგილობრივ გაზეთში მოთავსებული იყო წერილი, რომელშიაც ავტორი აღნიშნავდა, რომ ა.-კ. რკინისგზებ. სამმართველოს ტყის დამმუშავებელი განყოფილების კახეთის რაიონის უფროსმა **ავთანდილ ჩილიკვაძემ** ავანსის სახით უკანონოთ გასცა სხვადასხვა პირებზე 7.000 მანეთამდე.

ავტორი მიუთითებდა აგრეთვე მთელ რიგ ბოროტმოქმედებებზე, რომლებიც ავტორის ცნობით, ჩაიდინეს ჩილიკვაძემ და მისმა კამპანიამ.

საქმე გადაეცა პროკურატურას და დაიწყო წინასწარი გამოძიება.

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს უფროსმა გამომძიებელმა ამხ. **ფოთოლაშვილმა** დაასრულა წინასწარი გამოძიება ამ საქმეზე.

ჩილიკვაძესთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემული სატყეო სამმართველოს თანამშრომლები: **პლატონ კასრაძე, ლუკა ებრალიძე** და **გიორგი ოსაძე.**

ოსაძეს ბრალდება ყალბი საბუთების შედგენა, კასრაძეს ბრალდება დაწესებულებისათვის 372 მან. ზარალის მიყენება, ხოლო ებრალიძეს 120 მანეთის მითვისება.

საჩვენებელი პროცესი

ქუთაისი, 7 აპრილი. დამთავრდა ქუთაისის მაუდის ფაბრიკის ადგილკომის მოლარის კუხიანიძის და ვაჟარ ტყაბლაძის საქმის გარჩევა.

საქმის გარჩევა სწარმოებდა მაუდის ფაბრიკაში. ადგილკომის მოლარეს კუხიანიძეს ბრალი ედებოდა მთელ რიგ სიყალბეთა ჩადენაში, ხოლო ტყაბლაძეს ყალბი ანგარიშების გადაცემაში. სასამართლომ დამნაშავედ სცნო ორთავე ბრალდებული; კუხიანიძეს მიუსაჯა დაპატიმრება ერთი წლით სასტიკი იზოლიაციით, ხოლო ტყაბლაძეს 1-ნახევ. წლის პირობითი დაპატიმრება. (ადს).

აფერისტი პროვინციაში

თელავის სახალხო სასამართლოში გაირჩა გ. არუთიუნოვის საქმე.

სასამართლოს სხდომა გამართული იყო მუშათა სასახლეში მრავალი ხალხის თანდასწრებით. საქმის შინაარსი ასეთია: 3—4 თვის წინად კარგად ჩაცმული პორტფელით იდლიაში თელავში გამოჩნდა გ. არუთიუნოვი. ის თავის თავს აცნობდა ყველას ხან სიღნაღის მაზრის აღმასკომის რწმუნებულად, ინსტრუქტორად, ხან საინფორმაციო პუნქტის თანამშრომლად, ხან „ღვინტრესტის“, სახელმწიფო ვაჭრობის რწმუნებულად და სხვ. მისი მოღვაწეობა გამოიხატებოდა იმაში, რომ კერძო ვაჭრებს ჰპირდებოდა ვაგონობით მარილის, რკინეულის მიყიდვას და სხვ., რისთვისაც ართმევდა ბეს. მალე მან ნდობა დაჰკარგა ადგილობრივ ვაჭრებში და ამის შემდეგ ქურდობას მიჰყო ხელი. იპარავდა ყველაფერს, რაც ხელში მოჰყვებოდა: ტყავის, შოკოლადს; ტკბილეულს და სხვ. უკანასკნელად ის დაიჭირეს კონიაკის ქურდობაზე ქეიფის დროს.

სასამართლოში ბრალდებული გამოტყდა ყველა წაყენებულ ბრალდებაში და, აგრეთვე, სახალხო თეატრის სალაროსი და სტამბის ვატეხვაში.

სასამართლომ გ. არუტიუნოვს მიუსაჯა 13 თვის ციხე.

პროკურორი უკმაყოფილო დარჩა განაჩენით და საქმე ხელმეორეთ გაასაჩივრა.

ბიბლიოგრაფია

ГЕНРИ ФОРД „Сегодня и завтра“—გვ. 148. —ფასი 1 მ. 50 კაპ. რუსეთის სახელმწიფო ტეხნიკური გამომცემლობა

ჩვენში ფორდის სახელი თითქმის ყველასათვის ცნობილია, როგორც ამერიკის ერთ-ერთ მილიარდერ-მრეწველის და „ავტომობილების მეფის“. მიუხედავათ ამისა ქართველ მკითხველისთვის ფორდი მხოლოდ ნაწილობრივაა ცნობილი და ფორდზე ბევრს მეტად ცალმხრივი და გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს. ფორდს, როგორც ახალი ქვეყნის (ამერიკის) უდიდეს გენიალურ მრეწველს გვაცნობს ორიოდე წიგნი, რუსულ ენაზე გამოსული ფორდის ავტორობით. 1925 წელს გამოიცა რუსულათ ფორდის პირველი და მეტად საყურადღებო წიგნი **„ჩემი ცხოვრება, ჩემი მიღწევანი“**. ფორდის ეს წიგნი თარგმნილია და ასეულ ათას ეკზემპლიარებშია გავრცელებული მსოფლიოს ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვან ქვეყანაში. მაგრამ ლიტერატურაში ინტერესი ფორდისადმი განსაკუთრებით გაიზარდა მისი მეორე წიგნის **„დღეს და ხვალ“**-ის გამოსვლის გამო.

ეს წიგნი გაგრძელებაა ფორდის პირველი შრომის „ჩემი ცხოვრება და ჩემი მიღწევანი“-ს და დაწერილია ფორდის ლიტერატურულ მდივნის კრაუტერის მიერ.

ფორდისადმი დიდი ინტერესი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ფორდი უპირველეს ყოვლისა გენიალური პიროვნებაა ტეხნიკაში, წარმოებაში. ფორდის წარმოებაში განხორციელებულია წარმოების ძირითადი პრინციპი, სახელდობრ ენერგიის, მატერიის და დროის მაქსიმალური გამოყენება უდიდეს სამეურნეო ეფექტის მისაღწევათ. ფორდი შეუდარებელი ინჟენერია, წარმოების მეტად გამოცდილი ორგანიზატორი, რომლის შესწავლა დღევანდელი რაციონალიზაციის დროს განსაკუთრებითი მნიშვნელობის მქონეა.

მაგრამ ფორდიზმი არ არის ახალი რამ, კაპიტალისტ ფორდის მიერ გამოგონილი, არამედ ის არის სისტემა, რომელიც შრომის განაწილების კანონს შეიცავს და რომელიც კარგა ხანია არის ცნობილი ეკონომიურ მეცნიერებისათვის. მისი პრინციპები ჯერ კიდევ ადამ სმიტმა აღნიშნა, ხოლო ის ვრცლად დაასაბუთა მარქსმა. ფორდიზმი, როგორც ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევა პირველ რიგში აყენებს კონვეიერს, რომელიც წარმოადგენს შინა საქარხნო ტრანსპორტის ავტომატიზაციის და მექანიზაციის ცენტრს და რომელიც არაჩვეულებრივ ზრდის ინტენსივობასა და შრომის ნაყოფიერებას. კონვეიერთან ერთად წარმოების ე. წ. ნორმალიზაციამ და სტანდარტიზაციამ საშუალება მისცა ფორდს მთელ მსოფლიოში უდიდესი მასსიური წარმოების ხელმძღვანელი გამხდარიყო.

ფორდი კიდეც იკვეხნის, რომ მის მიერ გამოშვებული ავტომობილები და ტრაქტორები 1925 წლის 1 დეკემბრისთვის იძლეოდა 300 მილიონ ცხენის ძალას, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო სტაციონალურ დადგმულობით იყენებს სულ 23 მილიონ ცხენის ძალას, ე. ი. 13 ჯერ ნაკლებს. ფორდის წარმოებანი უშვებს წელიწადში 2 მილიონამდე ცალ ავტომობილს, რომელიც რამოდენიმეჯერ აღემატება მთელი მსოფლიოს საავტომობილო წარმოებას ერთი სიტყვით ფორდის მიღწევანი საზღაპროა, ფორდის წარმოებასთან ჭიშპობა დღემდე ვერავის გაუბედნია.

ამიტომ ფორდიზმი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ტეხნიკური მიღწევა, როგორც წარმოების გაძღოლის, მეურნეობაში ეკონომიის დაცვის და უდიდეს სამეურნეო ეფექტის მიღწევის საშუალება. მაგრამ ფორდიზმი არ არის მარტო ტეხნიკური სისტემა, რამდენადაც ფორდი არა მარტო წარმოების ხელმძღვანელად, არამედ სოციალურ „რეფორმატორათაც“ გვევლინება, რომელსაც სურს „სოციალური სამოთხის“ დამყარება. ამის გამო ბევრნი ფორდს ახალი დროის ოუენსაც კი უწოდებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ფორდი ებღაუჭება სოციოლოგიის, პოლიტიკის და მორალის საკითხებსაც. ფორდი ბევრგან თვით სოციალ-დემოკრატიის მიერ აღიარებულია მუშათა კლასისათვის მისაღებ „სოციალურ რეფორმატორათ“, რომელიც ვითომდა აყენებს „სოციალური ფილოსოფიის“ დადებით პროგრამას. ამას არც ფორდი უარყოფს. როგორც პირველ, ისე მეორე — სარეცენზიო წიგნში ფორდი ურჩევს ყველა ქვეყნებს, გაიზიარონ მისი გამოცდილება, შემოიღონ მისი სისტემა.

ფორდს სურს ამგვარად გახდეს მსოფლიო გმირი და ცდილობს მიაღწიოს შედეგებს საზოგადოებრივი გარდაქმნის სფეროშიც. მიუხედავათ ამისა, ფორდს არაფერი არ აქვს საერთო ოუენთან და ის ცდილობს არა რაიმე გაუმჯობესების შეტანას კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, არამედ ეძიებს ახალ საშუალებებს, გზებს და მხარეებს თვისი ექსპლოატაციის განსავითარებლად და გასაღრმავებლათ, რომელიც ასე გაბატონებულია დეტროიტში—ფორდის საავტომობილო წარმოების ცენტრში.

„დღეს და ხვალ“-ის დიდი ნაწილი სწორედ იმის მტკიცებას უკავია, რომ ვითომც მუშები ფორდის წარმოებაში ბედნიერებია, რომ დეტროიტში სრული „სამოთხეა“. ჩვენ რასაკვირველია, რომელნიც ვიზიარებთ **მხოლოდ** ფორდის მეურნეობის ტეხნიკურ საფუძვლებს (და იმასაც სათანადოთ შეცვლილს) უდიდეს თვალთმაქცობათ და მატყუარობათ მიგვაჩნია ფორდის მთელი „სოციალური ფილოსოფია“. ფორდის „თეორია“ „სოციალური სამოთხის“ დასამყარებლად კაპიტალისტურ წესწყობილებაში ბურჟუაზიულ თეორეტიკოსთა ძველი ზღაპარია და „ჰარმონიის სკოლის“ ყველაზე პრიმიტიული და უხეირო გაგებაა. არსად არ არის, ამიტომ ფორდი ისე სუსტი, უსუსური და ხშირად ბავშვისთვისაც სასაცილო, როდესაც ეს „გენიალური ზეიკალი“ თეორეტიკოსობს და მსოფლიო მასშტაბით შრომისა და კაპიტალის სოლიდარობის თეორიას ჰქმნის.

ფორდი სოციალიზმის სასტიკი მტერია, გადაჰარბებული ანტისემიტი, ის დეტროიტს უპირდაპირებს მოსკოვს. ბედნიერება ფორდის ზოგიერთ უნიჭო აპოლოგეტთა თქმით დეტროიტიდან და არა მოსკოვიდან ანათებს, რომ ფორდი პირველი სოციალისტია, რომელიც ნამდვილათ ზრუნავს მუშათა ინტერესებისათვის-ო. ამ სიყალბეს არა ნაკლებ ავრცელებს სოციალ-დემოკრატია, რეფორმისტული პროფკავშირები ამერიკული ფედერაცია. კომუნისტური პარტია კი ყველგან სასტიკათ ებრძვის ფორდიზმს, როგორც საზოგადოებრივ მოძღვრებას, მუშათა კლასის მტერს და სწორი გზიდან ამცდენელს.

გავიხსენოთ ის შეხედულება, რომ კაპიტალიზმი, რომლის უმწვერვალეს გავითარებას შეადგენს კერძოთ ფორდიზმი, ორი მომენტი უნდა გავარჩიოთ: ტეხნიკური მხარე და სოციალური ურთიერთობანი. ჩვენ ვებრძვით კაპიტალიზმს როგორც უვარგისს, ექსპლოატაციაზე დამყარებულ საზოგადოებრივ სისტემას. ჩვენ სოციალური დამოკიდებულებით წინ ვართ კაპიტალიზმზე, მაგრამ ტეხნიკურათ კი ჩამორჩენილი, რომელთაც გვმართებს სწავლა თუ გინდა ფორდთანაც. როდესაც ვლაპარაკობთ კაპიტალიზმის დაქვეითებაზე და დაცემაზე, აქ იგულისხმება კაპიტალისტური მეურნეობის დაშლა საზოგადოებრივ ურთიერთობებში და არა ტეხნიკურის მხრივ. კაპიტალისტური ტეხნიკა დღითი-დღე ვითარდება, სულ ახალ და ახალ გაუმჯობესებათ აღწევს, რომელსაც ჩვენი მეურნეობის დღევანდელი რეკონსტრუქტიული პერიოდში უნდა მივაქციოთ სათანადო ყურადღება. სარეცენზიო წიგნი გაცნობს მკითხველს კაპიტალისტური ტეხნიკის გასაოცარ მიღწევებს კერძოთ ფორდის წარმოებაში, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოს მსჯელობის საგნათაა გამხდარი, ამიტომ ურჩევთ ჩვენ მკითხველს **„დღეს და ხვალ“**-ის წაკითხვას, საიდანაც საბჭოთა მკითხველი აუცილებლად იმ დასკვნას გამოიტანს, რომ ჩვენთვის გამოსადეგია ფორდი ინჟენერი, წარმოების ორგანიზატორი, ფორდი გამომგონი ტეხნიკის რეფორმატორი და არა ფორდი კაპიტალისტი, ფორდი ანტისემიტი და უხეირო „სოციალური რეფორმატორი“.

დ. გ—ვა.

მეცნიერება და ტეხნიკა

გრიპის მიკრობი

წარსულ წელში სმოლენსკში ადგილი ჰქონდა გრიპის საშინელ ეპიდემიას, რომელიც ადგილობრივმა ბაქტერიოლოგიურმა ინსტიტუტმა გამოიყენა სამეცნიერო გამოკვლევებისათვის. ინსტიტუტის თანამშრომლებმა, ექიმებმა **იუდენიჩმა** და **იზაბოლინსკიმ** მიზნად დაისახეს გრიპით დაავადმყოფებულის ნახველში ამ ავადმყოფობის მიკრობის პოვნა. გრიპის მიკრობი ამჟამად დავის საგანს წარმოადგენს (ე. წ. პფეიფერის ჩხირი, რომელიც დღემდი გრიპის მიკრობათ ითვლებოდა, მეცნიერთა უმრავლესობის მიერ უარყოფილია).

გამოიკვლიეს გრიპის ორმოცი შემთხვევა. ვერც ერთი მათგანში ვერ აღმოაჩინეს პფეიფერის ჩხირები. სამაგიეროთ, 25 შემთხვევაში იპოვეს განსაკუთრებული მიკრობი, რომელიც ეკუთვნის სტრეპტოკოკების ჯგუფს. ზემოთ-აღნიშნული მეცნიერები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ თუ მათ მიერ აღმოჩენილი მიკრობი არ წარმოადგენს გრიპის გამომწვევ მიზეზს, ყოველშემთხვევაში იგი რაღაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ავადმყოფობაში.

მღებავი ყუმბარები

ამერიკულ ფლოტში სახმარებლათ შემოიღეს განსაკუთრებული მღებავი ყუმბარები, რომლებიც აადვილებენ ნიშანის აღებას ზღვაში. ასეთი ყუმბარა ზღვაში აფეთქების დროს ზევით ისვრის შეღებილი წყალის დიდ რაოდენობას, რომელიც 30 ვერსის მანძილზე მოსჩანს.

გაქვავებული ტყე

ტეხასის (შეერთებული შტატები) მიყრუებულ კუთხეში, თითქმის მიუწვდომელ ველზე, 150 ვერსის მანძილზე რკინის გზის ხაზიდან, ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ადგილი, დაფარული ვულკანიური ფერფლის სქელი ფენით, რომელშიც მრავლათ ნახეს გაქვავებული ხეები. ეს ტყე, როგორც ჩანს, ძლიერი ძველი წარმოშობის არის, რადგან რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ამ რაიონში ადგილი არ ჰქონებია არავითარ ვულკანურ ამოხეთქას. ხეები მშვენიერათ არის შენახული, ზოგიერთი მათგანის სიგრძე 100-150 ფუტს უდრის. ფერფლში იპოვეს აგრეთვე ხე, რომლის სიგრძე რამოდენიმე ასეულ ფუტს უდრის. ამერიკელი გეოლოგები ძლიერ დაინტერესდა ამ ტყეთ.

რა ჯდება ორთქლმავლის საყვირის მუშაობა

სპეციალისტების გამოანგარიშებით, ორთქლმავლების საყვირების მუშაობა შეერთებული შტატების ყველა სადგურებში ყოველწლიურათ ჯდება 8 მილიონი დოლარი (16 მილიონი მანეთი). ერთი ორთქლმავლის საყვირის განუწყვეტელი მუშაობისათვის საათში საჭიროა 4 ტონა წყალი და 1.200 გირვანქა ქვა-ნახშირი. ამჟამად შეერთებულ შტატებში სპეციალისტები მუშაობენ ორთქლმავლების საყვირების კონსტრუქციის გაუმჯობესებაზე მათი მუშაობის გაიაფების მიზნით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ხვანჭკარის თემის (რაჭის მაზრა) მილიციონერს ამხ. ვანო ყარამ. ლომთაძეს

პასუხი

თანახმად სამილიციო სამსახურის შესახებ არსებულ დებულებისა, მილიციელთა ნორმალური სამუშაო დღე ოცდა ოთხ საათის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს რვა საათს. მიმართეთ სათანადო განცხადებით რაჭის მაზრის პროფბიუროს, რათა თქვენთვის დაცულ იქნეს რვა საათის სამუშაო დღე.

სამსახურობრივი და პროფსტაჟის შესახებ

კავშირის წევრს (წიგნ. № 286.).

პასუხი

დაქირავებული შრომა, სადაც და ვისთანაც არ უნდა მუშაობდეს დაქირავებული მუშა, ან მოსამსახურე, ეთვლება მას სამსახურის სტაჟში და მოხუცებულობის, დასახიჩრების და სხვა ასეთების გამო ინვალიდობის შემთხვევებში ჰქმნის მათ საპენსიო უფლებებს და სხვა. პროფსტაჟი კი იწყება იმ დროიდან, როდესაც მუშა, ან მოსამსახურე, პირველად ჩაეწერება კავშირში. ერთი კავშირიდან მეორეში გადასვლა არ სწყვეტს პროფსტაჟის ნორმალურ დენას.

ბინის ქირის შესახებ

კავშირის წევრს (წიგნ. № 488)

პასუხი

რადგანაც თქვენ სახლს წყალსადენი არა აქვს და იგი ქალაქის განაპირა უბანში მდებარეობს, ბინის ქირას თქვენ გადაიხდით 40 პროცენტის შეღავათით ნორმალურ ქირასთან შედარებით. (ე. ი. თითეულ მეტრზე გადაიხდით ექვს კაპ.) თქვენ მიერ გაცემულ ხელწ. კი იურ. ძალა არა აქვს, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება სამოქ. სამართლის კოდ. მუხ. 166 და 33 და არსებულ საბინაო ტარიფს. ქირას შეიტანეთ ხაზინაში.

ქონებრივი უფლებების შესახებ

ა. კ. რკინის გზ. მთავარ სახელოსნოს მუშას [illegible]

პასუხი

თუ [illegible] თქვენ ოჯახში [illegible] ცხოვრობს თავის დედასთან (თქვენს ცოლთან), როგორც მცირე წლოვანი, ვინაიდან დედა ითვლება მის მეურვედ, მაშინ მამის ქონება უდავოდ ეკუთვნის მას და უნდა მოხმარდეს ბავშვის აღზრდის საქმეს, ან და შეენახოს მას, მანამდე იგი შესძლებდეს თავის ქონების მოვლა-პატრონობას. ბავშვების ბიძას არ ჰქონდა არავითარი უფლება გაეყიდა ობლის ქონება თავის სასარგებლოდ. მისი ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის დანაშაულია და იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით სათანადო სასჯელის მოხდით და სამოქალაქო სამართლის წესით ზარალის ანაზღაურებით. (იხ. სამოქ. სამართ. საპროცესო კოდექს. მუხ. 10 და სისხ. სამ. კოდექს. 192).

საჩხერის (შორაპნის მაზრა) მცხ. კატო ციმაკურიძეს

პასუხი

თუ კი თქვენი ქმრით და შვილებით ცხოვრობდით თქვენი დედის მამულში როგორც მეკომურები და მის სიცოცხლის დროსაც ინახავდით მას, როგორც მოხუცს, მაშინ მისგან დარჩენილი ქონება უდავოდ გადმოვა თქვენზე, როგორც მის ოჯახის წევრზე (იხ. მიწის კოდ. მუხ. 40). თუ კი, პირიქით, მოხუცი დედა თქვენი ცხოვრობდა თქვენი ქმრის მამულში და თავის მამულთან მას ჰქონდა გაწყვეტილი ყოველგვარი სამეურნეო კავშირი სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში (იხ. მიწის კოდ. მუხ. 13),—მაშინ მას თავის სიცოცხლის დროსვე დაუკარგავს ყოველგვარი უფლებები თავის მამულზე და სხვა ქონებაზეც და ასეთი (ქონება) ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს ა. წ. 8 აპრილს საღამოს 6 საათზე აგიტპროპგანყოფილების შენობაში მოწვეულია საგიტაციო წრეების და მიმდინარე პოლიტიკის წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ შაბათს ა. წ. 9 აპრილს საღამოს 5 საათზე რაიკომის ბინაზე (პლეხ. გამზ. 96) მოწვეულია ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების (შეფ-საზოგადოების) გაფართოებული პლენუმი უჯრედების მდივნებთან და წევრებთან ერთად.

სავალდებულოა დასწრება.

— ქვემოდ დასახელებული ამხანაგები უნდა გამოცხადდენ საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში ა. წ. 8 აპრილს.

მანათოვი, გოჯიევი, კარაპეტიანი, ჟუკოვი, გეგენავა, ალექსანიანი, სიხარულიძე, პოპლავსკი.

— პარასკევს, 8 აპრილს, დილის 10 საათზე შესდგება საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა დასწრება კოლეგიის წევრების და კანდიდატების სავალდებულოა დაუგვიანებლად.

— სახ. უნივერსიტეტის კომ. პარტიის და კომ. კავშირის გაერთიანებული უჯრედთა ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, პარასკევს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია აღნიშნულ უჯრედთა გაერთიანებული კრება.

დღის წესრიგი: 1 კომკავშირის ბიურო-კოლექტივის ანგარიში.

2. მოხსენება მასიური მუშაობის შესახებ.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომ. მდივნის ამხ. კახიანის კაბინეტში ა. წ. 7 აპრილს მოწვეული **სახელოვნო კომისიის გაფართოებული სხდომა,** გადადებულია 8 აპრილის დღის 2 საათისათვის ამხ. კახიანის კაბინეტში, რომელზედაც დასწრება აუცილებელია შემდეგი ამხანაგებისათვის: კახიანი, კანდელაკი, ასრიბეკოვი, ელიავა, ჯუღელი, მგალობლიშვილი, (ფინსახკომი) თათარიშვილი, დუდუჩავა, ყურულაშვილი, თოხაძე, მუშიშვილი, ქურიძე, ბუსნიკაშვილი, ბერძენიშვილი, ჩუბინიშვილი, ქაცარავა.

— თბილისის სახ. უნ. ა. ლ. კ. კ. ს. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ პარასკევს 8 აპრილს საღამოს 4 საათზე მოწვეულია ა. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივის სხდომა. დასწრება წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა დაუგვიანებლად. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი განცხადებები არ გაირჩევა.

1. ბახტაძე. 2. ადეიშვილი, 3. ქაია, 4 რუხაძე, 5. კაპანაძე, 6. ქვირია, 7. კივაძე, 8. რუხაძე რაუდენი, 9. პ. თოდრია, 10 დავითაშვილი ალ., 11. იაკობაშვილი 12 ბერიძე, 13 დავითაშვილი გრიგოლი, 14 ასათიანი გ., 15. ფრანგიშვილი, 16 მახარაძე, 17. ცინცაძე ეფროსინე, 18. ქელიძე, 19. გუნია, 20 თოდუა, 21 ბუკიძე, 22 პატარაია, 23 აბესაძე, 24 ყიფიანი, ბაბო, 25 გაბელაია კონს., 26 სოხაძე გიორგი, 27 ჯიმშელეიშვილი, 28 ზაალიშვილი, 29 ნატრიშვილი, 30 ჯალაღანია, 31 ხონელიძე.

ამავე სხდომაზე მოწვეულია ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები.

1 თეოდოსიშვილი, 2. მაშაშვილი, 3. ქიქოძე, 4 ნაროუშვილი, 5 ლეო ესაკია, 6 ბუაჩიძე, 7 რონდელი, 8 ენუქიძე, 9 ბობოხიძე და 10. სულავა.

დამწუხრებულნი: შვილი გრიგოლი, რძალი ქსენია თავართქილაძის ასული სვანიშვილისა, ქალიშვილი ეკატერინა, შვილიშვილები: მაქიმედი, იური, მარუსია, ცუცა და მადონა სვანიშვილები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 4 აპრილს, გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ისიდორე ოქროპირის-ძე
სვანიშვილი

დასაფლავება მოხდება 9 აპრილს, დღითი შაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, ხიდისთავის თემში (გურია) სოფ. ჭაჭიეთში. 2348

ღრმად დამწუხრებულნი: მამა გრიშა სიმონის-ძე კობიძე, უბედური მამიდა ნატაშა კობიძე, ბებია ესმა და ძმა მარლენ კობიძე აცნობებენ ნათესავებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 5 აპრილს საღამოს 3 ს. 40 წ. ხუთი დღის მძიმე ავადყოფობის შემდეგ დაიღუპა მათთვის საყვარელი

ვ.ვი (ღუტუნა) გრიშას-ძე კობიძე

გამოსვენება მოხდება შაბათს, 9 აპრილს, ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან 3 ნახ. საათზე. დაკრძალვა დედის გვერდით კუკიის სასაფლაოზე.

2358 2—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 8 აპრილს უკანასკნელად **დაისი** მაზოვეცკაიას, ქუმსიაშვილის, ვენაძის და სხ. მონაწილეობ.
დირიჟორი ი. ფალიაშვილი

შაბათს, 9 აპრილს, დ. სმირნოვის გასტროლი **ჰუგენოტები**

კვირას, დილით, საბავშვო წარმოდგენა
საღამოს პრემიერა ახალი ქართული ოპერა **განთიადი**
მუსიკა თაქთაქიშვილის

ნ. 906

აპოლლო ტელ. 7—61.
არფასტო ტელ. № 19—22.
სოლეი ტელ. 20—44.
დარბაზი ტელ. 14—03.

მხატვრული შედევრი! ამერიკ. სურათი
,,მეორე ახალგაზრდობა''
ლიუს სტონის და კლეო მადისონის მონაწილეობით

მსოფლიო შედევრი! **ბელლა დონა**
ერნსტ ლიუბიჩის დადგმა
მთავარ როლებში: პოლა ნეგრი, ად. მენჟუ, კონვეი ტირლ

უშიშარნი პირლ უაიტი და ანტონიო მორენო
საუკეთესო სურათში ,,სიძულვილის სახლი''
დღეს და ყოველდღე 1-ლი სერია.

0—4 ნ. 924

ანონსი: ორშაბათიდან 11 აპრილიდან "აპოლო"-ში, „არფასტო“-ში, „სოლეი“-ში—გიული

ცირკი
დამსახურებულ მსახიობების ძმ. ტანტების ხელმძღვანელობით
ტელ. 16—67
1—1 ნ. 967

დღეს, 1927 წ. 8 აპრილს,
განსაკუთრებ. დანიშნულების სანახაობ. ექსცენტრიკულ აკრობატების
კონსტანდი და ჟორჟ ლურისების საღამო
პირველად თბილისში! სასიკვდილო კიბე და სხ. სანახაობა 4 ხეფტის დებიუტი
ჭიდაობს 4 გამოჩენილი წყვილი
გადამწყვეტი შედეგამდე კ. ბული—სკარბე. გადამწყვ. შედეგამდე გურსკი—კრილოვი. წითელი ნიღაბი—ერტნერი. ლურიხი—დემონი
დაწვრილებით აფიშებში წაიკითხეთ!
ადმ. ხელმძღვანელი მ. ი. ტადე.

ხვალ, 9 აპრილს, დღის 12 საათზე,
განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის ქ. № 3),
მოწვეულია
განათლების მუშაკთა კავშირის
უმუშევარ წევრთა საერთო კრება
უმუშევარ წევრთა დასწრება სავალდებულოა.
ნ. 971. ც. გ.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით

ა. წ. 4 მარტის თარიღით № 10, სამთო-ქიმიური კომბინატი და საქართვ. სათბობი მასალის სამმართველო გაერთიანებულია ერთ ტრესტში „საქართველოს სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს სამთო მრეწველობის ტრესტში“ („სამთოტრესტი“)

(პუშკინის ქ. 3, ტელ. 5—23 და 12—76) სამთოტრესტი **სამთოტრესტი**

1) თბ. ყველა საწყობებიდან აწარმოებს გაცემას ვაგონებით, ცისტერნებით და ხითუმად

1. ტყიბულის ქვანახშირს სხვადასხვა ხარისხისას, 2. დონის ანტრაციტს, 3. ქვანახშირის ბრიკეტებს, 4. ნაჭრობით და დაფხვნილ ბარიტს, 5. ცეცხლგამძლე აგურს და თიხას, 6. გლაუბერის მარილს, 7. ხმელ საღებავებს (ოხრას, რკინოვან სურიკს და მუმიას), 8. კირს, 9. ნავთის პროდუქტებს, ნავთის [illegible] მასალას და სპეციალურ საცხობ ზეთს.

2) აწარმოებს

1. ქვანახშირის ამოღებას (ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები), 2. მძიმე შპატის ამოღებას (ბარიტის მადნები ლეჩხუმის, ქუთაისის და შორაპნის მაზრებში), 3. ცეცხლგამძლე თიხის ამოღებას (მადნები შორაპნის მაზრაში), 4. ლიტოგრაფიული ქვის ამოღებას (დამუშავება ალგეთში, [illegible]ტანში და დუშეთში).

3) აქვს ქარხნები

1. კრისტალურ ტეხნიკური, კრისტალურ უწყლო (სულფატი), კრისტალურ საზეითლო და კრისტალურ საექიმო გლაუბერის მარილის დასამზადებლად (მუხროვანში), 2. ხმელი მინერალური საღებავების: მუმია, ოხრა, სურიკის დასამზადებლად (თბილისში), 3. ცეცხლგამძლე ნაწარმოების დასამზადებლად (ძირულაში).

4) აქვს წისქვილები

ქუთაისში—ბარიტის საფქვავი, თბილისში—ცეცხლგამძლე თიხის საფქვავი. ნ. 969

თბილისის აღმასკომის ტეხნიკური განყოფილება აცხადებს, რომ ა. წ. 20 აპრილს, დღის 1 საათისათვის დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მუშაობის გაცემაზე ვერის ხიდის ხის ფილაქნის შესაკეთებლად.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა დღის 12 საათისათვის განყოფილებასთან ჩამოკიდებულ ყუთში უნდა ჩააგდონ წერილობითი განცხადებები დახურულ კონვერტში ხსენებულ სამუშაოზე ფასების აღნიშვნით და ქვითარის დართვით, რომ სალაროში შეტანილია ბე სამუშაოს ღირებულების 10 %-ის რაოდენობით.

მუშაობის შესრულების ვადა—70 სამუშაო დღე.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება განყოფილების კანცელარიაში, ოთახი № 338.

ტეხნიკური განყოფილება წერილობითი ვაჭრობის შემდეგ იტოვებს ზეპირი ვაჭრობის დანიშვნის უფლებას.

ნ. 968. ტეხნიკ. განყ. გამგე—ინჟ. ლეჟავა.

ქართულ მსროლელ დივიზიის სააღმშენებლო კომისია აცხადებს, რომ 9 აპრილს 1927 წ. 12 საათზე ცალკე საკავშირო ასეულის შენობაში, ძნელაძის ქ. № 21, დანიშნულია

სამუშაოს გაცემა საბარგულების შეკეთებაზე

2.000 მან. ღირებულებაზე.

შეჯიბრება დახურულ [illegible] და სიტყვიერი. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებს პირობების გაცნობა შეუძლიანთ იქვე ყოველდღე საათის 8—3-დე

ნ. 965 2—1. სააღმშენებლო კომისია.

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—19

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ცორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 13—1

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის
სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., 852 25—1

ა.-კავკ. რკ. გზების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 18 აპრილს, დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქ. რკ. გზის ფარგლებში) მოხდება ა.-კ. რკ. გზების სხვადასხვა სადგურებზე

მოუკითხავი ტვირთების და ბარგის

გაყიდვა აუქციონით

საბჭოთა კავშირის რკ. გზ. წესდების მე-32-ე მუხლის თანახმად.

პირველი ვაჭრობის დამთავრების და მეორე ვაჭრობის დაწყების დროს გამოაცხადებს კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს ვაჭრობას.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში სამუშაო საათებში, ხოლო ვაჭრობის დღეს ვაჭრობის დაწყებამდე.

დაწვრილებითი განცხადება გამოკრულია თბილისის სალიკვიდაციო საწყობში. ნ. 972

ქ. თბ. მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი ლ. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 11 აპრილს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 13 სომხის ბაზარში, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პეტროს ამბარცუმიანცის მოძრავ ქონებას: ვერცხლის საქონელს შეფასებულს 140 მანეთად, მირზა-რიზა-ზადეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნ. სახალხო სასამართლოსაგან 16 მარტის 1927 წ. თარიღით, № 870 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 2849

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ჩუბინიძის ქუჩაზე, სახლი № 4, დანიშნულია 19 აპრილს 1927 წ. დილის 12 საათზე, **საჯარო ვაჭრობა** ვლადიმერ მეძმარიაშვილის ქონების, ნოხის, კედლის ხალის, ბუფეთის შკაფის, სკამების, მაგიდის და სამოვრის გასასყიდად, რაც შეფასებულია 135 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან და ქონება გაიყიდება ცალ-ცალკე კესარია ჩაჩხიანის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 970

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჩორიშვილი

ამით აცხადებს, რომ 13 აპრილს 1927 წ. დილის 12 საათზე, ქ. ქუთაისში ა. წერეთლის ქუჩაზე გაბუნიას სახლის № 54, ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გრიგოლ ენუქიძის საბარგო ავტომობილის გასასყიდათ, ავტომობილი შეფასებულია 240 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთის „დახმარება“-ს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 970

ექიმი ი. ი. გერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25 | 1

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი

მედმუშაკთა კოლექტივი
აცხადებს, რომ ყველა სპეციალობის **ექიმთა გამოძახება სახლში** მწოლიარე ავადმყოფებთან შეიძლება დილის 9 საათიდან, საღამოს 8 საათამდე შემდეგ პუნქტებიდან:
1) მე-6 საბჭ. აფთიაქი (ყ. ზელკინის) ოლღას ქუჩაზე.
2) ყოფ. ჰეინეს აფთიაქი თავისუფლების მოედანზე.
3) მე-7 საბჭ. აფთიაქი კლინიკური ინსტიტუტის (მიხეილის საავადმყოფო) პირდაპირ.
4) სადგურზე მუშკოპის გვერდით საბარგო სადგურის პირდაპირ.
5) ავლაბარი, მე-9 საბჭ. აფთიაქი, კახეთის ქუჩაზე
ექიმის გამოძახება—60 კ.
საშუალო პერსონალის გამოძახება—35 კაპ.
საფასურის გადახდა პუნქტებზე.
იქვე ექიმების მორიგეობა ღამეობით. 2—15

დავკარგე ქორწინების ქაღალდი და პირადობის მოწმობა მარია ალბელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2350

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 10402 მარიამ ნიკოლოზის ასული თოიძის სახელზე, ჩ. გ. 2351

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 76 | 46 ევგენი ვასილისძე უბირიას სახელზე, ჩ. გ. 2347

დავკარგე პირადობის მოწმობა, გაცემული ქალ. სამტრედიიდან, სამხედრო ნუსხა მე-2 ლეგიონიდან გაცემული, ნიკოლოზ ანდრიასძე კვანტალიანის სახელზე, ჩ. გ. 2354

დავკარგე პირადობის მოწმობა რაჭის მაზრ-აღმასკომის მიერ გაცემული ტარასი ერმილესძე სირაძის სახელზე, ჩ. გ. 2352

დავკარგე პირადობის მოწმობა და ხარის ნასყიდობის მოწმობა, კონდრატი დიმიტრისძე ბენიძეს სახელზე, ჩ. გ. 2353

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ქაღალდი № 56 ფორმა № 4 გაცემული სენაკის სამხედრო კომისარიატისაგან ნოე ნესტორისძე შუბლაძის სახელზე, ჩ. გ. 2354

დავკარგე უვადო პასპორტი გიორგი ედიშერისძე ზუკაკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2357

დავკარგე მატრიკული მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მარიამ ილიას ასული აგლაძის სახელზე, ჩ. გ. 2356

დავკარგე სამხედრო ნუსხა ევსევი გიორგისძე გოდუაძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 970

დავკარგე პირადობის წიგნაკი № 246 გაცემული ნაქალაქევის თემაღმასკომის მიერ ესტატე გაბედავას სახელზე, ჩ. გ. 2355

დავკარგე რეგისტრაციის მოწმობა ნონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2355

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.